

ლიტერატურული გაზეთი

№8 (360) 26 აპრილი - 9 მაისი 2024

ბამოლის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

დავით ქართველიშვილი

გიორგი ბალახაშვილი

შორი ძმა

ფრაგმენტები

მომავალი მაკრო მოთხრობიდან

რეაქცია

შუასაუკუნეების ეპოქის რომანი

ავტორი ამ შემთხვევაშიც ერეტიკოსი იყო. ჰუმანოტი, როგორც მას კოლეგა საიდანაც უნოდებდა.

ხანდახან ძალიან კონკრეტულ ეპოქაში გაჩენილი ძალიან კონკრეტული მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინი, ფრაზა ან სტატუსი დროთა განმავლობაში განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს.

(ეს უცნაურიცაა და ბუნებრივიც, მეტი არაფერი).

ავტორი, ანტიკური ეპიკური პოემების მსგავსად, შუა საუკუნეების ევროპულ სარაინდო პოემებსაც რომანებად თვლიდა. კოლეგა საიდანაც ამ შემთხვევაშიც არ ეთანხმებოდა მას.

„პოემა პოემაა, რომანი — რომანი.“

„და ლექსად დანერგილი რომანები?“ — დაინტერესდა ავტორი

„და პროზაული პოემები?“ — იკითხა კოლეგამ საიდანაც და გაიცინა.

„რომანი თუ პოემა, სულ ერთია. შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურის მთავარი თემა — როგორც ალბათ ანტიკურისა — გზაა, მთავარი გმირი ყოველთვის პუნქტიდან პუნქტისაკენ მიემგზავრება...“

„დარწმუნებული ხართ, რომ სწორად გახსოვთ?“ — კოლეგამ საიდანაც ავტორს ღიმილით შეხედა.

ავტორმა კოლეგას საიდანაც თვალი მოარიდა და ისე იკითხა:

„შუასაუკუნეების ევროპული რომანი?“

ზუსტად ვერ ხვდებოდა, ასე ესალმებოდა თუ ემშვიდობებოდა მას

ავტორმა სხვა აუცილებელი ზარებიც გააკეთა. შემდეგ საათს დახედა. წინ კიდევ საკმარისი თავისუფალი დრო ჰქონდა.

ცდილობდა, არ შეემჩნია, რაც მოხდა და ფუნქციონირება ჩვეულებრივად გაეგრძელებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

ფრაგმენტულად და ქაოსურად ახსენებოდა რაღაცები.

ძმასთან უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ ავტორი მიხვდა, რომ მოლაპარაკებები ჩიხში იყო შესული და დიპლომატია ამ შემთხვევაშიც, როგორც თითქმის ყოველთვის, არაფრისმომტანი იყო. უბრალოდ უნდა ემოქმედა — ცივად და რადიკალურად. და ისიც ამოქმედდა.

ავტორმა ფანჯრის რაფაზე შემომჯდარ ძმას გახედა. გიჟური სისწრაფით და ბლავილით გაემართა მისკენ, მაგრამ უშედეგოდ. ძმა გაქრა.

ფანჯრის რაფას მარჯვენა ხელით შეეხო, მერე ჩამოჯდა ზუსტად ისე, როგორც რამდენიმე წამის წინ მისი ძმა იჯდა და გარეთ გაიხედა.

ავტორის ძმა ახლა გარეთ იდგა და ერთდროულად მზესა და ცას უყურებდა.

ავტორმა უნებურად მარცხენა ხელი აწია და ძმას დაუქნია.

ზუსტად ვერ ხვდებოდა, ასე ესალმებოდა თუ ემშვიდობებოდა მას.

ალფრედოსთან

კოფეინის ახალი დოზა ელოდა


ავტორმა იგრძნო, რომ სახლში ვეღარ ჩერდებოდა და გული გარეთ სთხოვდა გასვლას.

უცებ თავი მოგონებებით აევსო. ყველა მოგონება იყო ფრაგმენტული და დაუსრულებელი.

მოგონებები ერთმანეთში ირეოდნენ.

წვიმები

სინამდვილეში, ეს წვიმები — ფრაქტალებია, უცრად მოვლენ, უცრადვე ალაგდებიან... ერთეულები თუ იგრძნობენ წვიმის შეხებას, დედის ამბორის სიმსუბუქით, დამრეც ეხების მოჩუქურთმებად, უკეთესი, მოვარაყებად, წვიმას პირველნი მასპინძლობენ ოდენ არყები, შემდეგ წიფელი, სულ ბოლოს კი აკაციები, გაცინებენ და გაცილებენ გრადაციებით და გაცილებით ადვილია წვიმის გაცნობა, მზის პირსაბანის, ცის საბანის, მღვრიე ტატნობის მუქარის ტონის, შავ ღრუბელთა ქექა-ქუხილის, თითქოსდა წვიმა გიამბობდეს ჯერაც უხილავ, ჯერაც არსმენილ, არგაგონილ იგავ-არაკებს, წვიმას ვერასდროს გამოიჭერ სალაპარაკოდ, თუ თავად არ სურს, ეს წვიმები — ფრაქტალებია, უცრად მოვლენ, უცრადვე ალაგდებიან...



ქეთევან ნათელაძე

სერაფიმეს ტაძარი

დრომ ხსოვნის ლამაზ ზაფხულებს ვერ წააყარა ნაცარი, მისი მზისფერი კედლები, მისი სარკმელი ერთი მიყვარს და სულ მეყვარება — ყველას აქვს თავის ტაძარი, ის ერთადერთი ტაძარი, სადაც შეიცნო ღმერთი...

რა დაავინყებს ან ხელებს, ან თვლებს დღეებს ჩავლილებს, იმ ტაძარს სერაფიმესი მდგარს უკვდავების ზღვარზე, მაცხოვრის ხატთან ოცნებით, სადაც ვანყოფი ყვაილებს, ღმერთთან მიტანილ ყვაილებს მინდვრის სურნელით სავსეს.

ჩემი პატარა ტაძარი, ჩემი ოცნების ტაძარი, ჰგავს ლურჯ ნაძვებში შეხიზნულ ყველაზე წმინდა მღვიმეს, შენც გენატრება, შენც გახსოვს? შენც აღარ დაგვიწყებია? ტაძარი სერაფიმესი, ტაძარი სერაფიმესი...

დრომ ხსოვნის ლამაზ ზაფხულებს ვერ წააყარა ნაცარი, ნათლის სვეტივით ანათებს, ქრიან ქარები როცა, რაც უნდა ბევრგან ილოცო, ყველას აქვს თავის ტაძარი, ის ერთადერთი ტაძარი, სადაც ისწავლა ლოცვა.



რა თქმა უნდა, ის დღეც გაახსენდა, როდესაც ძმა პირველად ნახა: ჩვილი, თოთო, მძინარე, ციციქნა საწოლში იყო კოხტად მოთავსებული.

დღემდე აუხსნა, რომ ეს თოთო არსება მისი ძმა იყო.

საკუთარი რეაქცია ვერ გაიხსენა.

„ვბერდები“ — გაიფიქრა და გადაწყვიტა, რომ გარეთ გასული კიდევ ერთ ყავას დალევა ალფრედოს კოფიშოპში...

მაგიდიდან სახლის გასაღები აიღო.

ავტორი არ თვლიდა, რომ რომანის, განსაკუთრებით კი იდეალური რომანის, პირდაპირი ან თუნდაც ირიბი ფუნქცია რამენაირად ცხოვრების დეტალური ასახვა იყო.

განსაკუთრებით ისე დეტალურად, როგორც ეს მარსელ პრუსტმა გააკეთა.

ავტორი უშვებდა, რომ პრუსტს მართლაც ასეთი უკიდევანო, თითქმის სრულყოფილი მეხსიერება ჰქონდა და მისი მეხსიერების მიღმა არ რჩებოდა თითქმის არცერთი მცირე დეტალი.

მაგრამ სინამდვილეში, დაშვებების მიღმა ავტორი პრუსტის რომანებში (თუ რომანში!?) მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ ხერხს ხედავდა. რა თქმა უნდა, პრუსტი ერთმნიშვნელოვნად ტოლსტოისაგან, უფრო კონკრეტულად, ტოლსტოის ავტობიოგრაფიული ტრილოგიისაგან იყო დავალებული, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ თავად ტოლსტოი სტენდალის ლიტერატურული დებიტორი იყო, სტენდალი-ტოლსტოი-პრუსტი ანუ მაგისტრალი.

ავტორმა გაიფიქრა, რომ ცუდი არ იქნებოდა, თუ ესეს დაწერდა ასეთი სათაურით. რასაკვირველია, ემილ ზოლას გამოტოვება ცოტა ფრივოლური საქციელი იყო, მაგრამ რადგან საქმე ჯერჯერობით

მხოლოდ ჩანაფიქრის სახით არსებობდა, ასეთი ზედაპირულობა დასაშვებია იყო.

კარის გაღებისას ავტორს გაახსენდა, რომ ძმა არასოდეს იყენებდა საკუთარ გასაღებს, მას მოსწონდა, როცა ვიღაც კარს უღებდა. ეს მოგონება უკვე მათი და მათი ქვეყნის ცხოვრების რევოლუციური, ქაოსურ წლებს ეკუთვნოდა...

ერთხელ ავტორის ძმას ხელში ვერცხლისფერი მოკლე კოლტი ეჭირა.

„ვინმეს მოკვლას აპირებ?“ — კითხა ავტორმა ძმას...

„ვინც ჩემ გენიოს ძმას აწყენინებს, ყველასი...“ — თქვა ძმამ და იარაღი ავტორს მიუშვირა, — „ჩემზე არასდროს არაფერი დანერო, არც ჩვენ ოჯახზე, გაიგე?!“ — და ძმამ იარაღი დაუშვა. შემდეგ ავტორს ზურგი შეაქცია და საკუთარი ოთახისკენ წავიდა.

ავტორი სახლიდან გავიდა. კარი, როგორც ყოველთვის, მიაჯახუნა.

ერთხელ საცხოვრებელი კომპლექსის მენეჯერმა გრძელი მეილიც კი მიწერა. მეილი სავსე იყო ზრდილობიანი საყვედურებით და თხოვნის ფორმატს ამოფარებული მოთხოვნით, რომ ავტორს შეეწყვიტა კარის ასე ხმაურიანად დაკეტვა. ავტორმა კომპლექსის მენეჯერს თავაზიანი, მობოდიშებებით სავსე მეილი დაუბრუნა პასუხად, მაგრამ რეალურად არაფერი შეცვლილა, თუმცა ავტორის გასაკვირად და საბედნიეროდ მისი და მენეჯერის ეპისტოლარული ურთიერთობა არ განახლებულა.

ავტორი კიბეზე დაეშვა...

ალფრედოსთან კოფეინის ახალი დოზა ელოდა.

სულ ერთი წელი დააკლდა, არადა თავისუფლად შეეძლო, ამ დღემდე ეცოცხლა და თავანწყვეტი ეზეიმა 26 მარტის საყოველთაო ბედნიერება. შარშან ამ დროს დედამიწაზე ჯერ კიდევ ყველაზე ჯანმრთელი კაცი მეგონა. ბაკურიანში 2023 წლის ფრისტილის, სნოუბორდის და ფრისკის მსოფლიო ჩემპიონატის (პირველად საქართველოს ისტორიაში) სათხილამურო ტრასა გახსნა. ამას ისრაელში ტელევიზიით ვუყურე. სულ ერთი წლის წინ...

ახლა მარტო ვარ სახლში და ჩემი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მატარებელს ვუყურებ. ტელევიზორში ვარ შემძვრალი. ტაბლოზე 0:0-ია. დამატებითი დრო ჩაირთო. ორივე ყბა ისე დამეჭიმა, მგონია, ყველა კბილი ერთად ჩამემსხვრევა. ანტიკვარულ „ბუფეტზე“ ვადიკას გადიდებული სურათი და პატარა სასანთლე დეკს ვადიკა უდარდელად ილიმება.

— ახლა წესით სტადიონზე უნდა ვიყო, ნუ შენ ხომ — ასიანი...

— აბა, შენ სად გგონივარ? — ჩამესმის ვადიკას ხმა, თვალს მიკრავს სურათიდან და ისევ მილიმის.

— არა, ასე არ შეიძლება, მორჩი ახლა... — ხმამალა ვეუბნები საკუთარ თავს. ვცდილობ, ყბა გაეხსნა.

— დაცა! — ბუხარზე იტალიაში, ბარის წმინდა ნიკოლოზის ტაძარში, დანთებული სანთელი მიდევს და კრიტიკულ მონეტებში ვანთებ ხოლმე. სანთელი ვადიკას სურათთან პატარა სასანთლეში გადამაქვს და ასანთს ვუკიდებ. ტაბლოზე ისევ 0:0-ია. დამატებითი დროც ილევა.

— ვადიკ, დღეს შენი დღეა, დღეს შენი თამაშია, უნდა მოიგო...

ვადიკა მილიმის, თითქოს ეჭვი არ ეპარება მოგებაში. სანთელი აგიზგიზდა.

ტაბლოზე 0:0. პენალტები დაინიშნა. თვალწინ მიდგას მოედანზე ნაქცეული ბუდე ზივ ზივად — მაინც რომ იბრძვის, მიხობხავს და თავით მიაგორებს ბურთს თავისიანებისკენ. ამას არ შეიძლება, ღმერთი არ ხედავდეს.

გვიშველე, უფალო!

1994 წლის ივნისია. მსოფლიო რიგით მე-15 ჩემპიონატი ფეხბურთში აშშ-ში იმართება, მატჩები თითქმის ყველა დიდ ქალაქშია დანიშნული: ლოს-ანჯელესი, სან ფრანცისკო, დეტროიტი, ნიუ იორკი, ნიუ ჯერსი, ჩიკაგო, ორლანდო, ბოსტონი, ვაშინგტონი, ლას ვეგასი, მაიამი, ატლანტა... ჩვენ სამხრეთულ შტატ მისისიპის პატარა ქალაქ ოქსფორდში ვცხოვრობთ — უილიამ ფოლკნერის მშობლიურ ქალაქში, საიდანაც დიდ მწერალს არასდროს ფეხის გადგმა არც უფიქრია, ნობელის პრემიის მისაღებადაც კი. შვედეთში გაგლეჯილი მთვრალი მოტყუებით წაიყვანეს ახლო ნათესავებმა.

პატარა ოქსფორდში ჩემპიონატის არცერთი მატჩი არ მოიპოვებოდა. მე ეს ამბავი დიდად არ მანუხებდა, მაგრამ აქ ხომ ვადიკაა — სულით, ხორციით, ცხოვრების წესით და მსოფლმხედველობით „დიდი მოფეხბურთე, მოთამაშე მწვრთნელი, ანალიტიკოსი და ქომაგების ქომაგი“. საბრალო ვადიკა, რომელიც „აქ და ახლა“, ოქსფორდიდან ფეხს ვერ იცვლის და ღვთით ბოძებული შანსის გამოყენებას ვერაფრით ახერხებს... იცოცხლე, ტელევიზორი კი გვაქვს დიდი — თითქმის კედლის ზომა. ვადიკა რომ ფეხბურთს უყურებს ხოლმე, მგონია, სტადიონი ჩვენს ბინაში გადმოიტანეს. ამიტომ სხვა ოთახში გავედივარ, ანუ ის მინდა, ვთქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროსაც იგივე ბედი მენევა. ვადიკამ მატჩებს სწორედ ამ ტელევიზორში უნდა უყუროს, შესაბამისად, მე 17 ივნისიდან 17 ივლისამდე სადმე სხვაგან უნდა გადავსახლდე.

იმ დილას ვარჯიშიდან დაბრუნებულ ვადიკას ხელში ოქსფორდის ყოველდღიური უფასო გაზეთი „Oxford Eagle“ ეჭირა. ცელოფანის პარკში გახვეულ ამ გაზეთს ფოსტალიონი ყოველ დილას ჩვენი ეზოს გაკრეჭილ მოლზე აგდებდა.

— ამ გაზეთს სპორტის განყოფილება აქვს? — პირველად დასვა ვადიკამ ასეთი კითხვა.

— ალბათ აქვს, ეს მისისიპის შტატის ერთ-ერთი უძველესი გაზეთია, რომელშიც ფოლკნერი ჯერ ამწყობად მუშაობდა, მერე უბრალო რედაქტორად. მისი ცნობილი მოთხრობებიც ამ გაზეთში იბეჭდებოდა.

თუმცა მათ არავინ კითხულობდა, სულ არ იყო პოპულარული თავის ქალაქში, მისი ძმა უფრო მოსწონდათ — კარგი შესახედი, მხიარული და სალმინი კაცი ყოფილა. თავად ფოლკნერი თურმე არავის ესალმებოდა.

— მე გაზეთზე გეკითხები. აბა, ნახე, როგორ ამუქებენ სპორტს? — დამიკონკრეტა ვადიკამ.

თავიდან ბოლომდე ჩავათვალიერე „იგალი“.

— ისე რა, მეტ-ნაკლებად ამუქებენ, — ვეუბნები.

— ფეხბურთზე არაფერს ნერენ? მსოფლიო ჩემპიონატის განრიგს არ აქვეყნებენ?



მანანა ღუმბაძე

ზღაპრის ბოლო კეთილია?!

ნამდვილი ამბავი

— არა, ამ ნომერში მსგავსი არაფერია.

— აბა, დაურეკე კრისს და ვოიჩეკს და სადილად დაპატიჟე, — გადწყვეტით მიხრია ვადიკამ, რომლის გონება ახლა სულ სხვაგან ქროდა.

— ისედაც მოვლენ, როდის გაუცდენიათ? — დავამშვიდე მე.

— დღეს დაურეკე, დღეს გაცდენა არ შეიძლება! — დაჟინებით მიხრია ვადიკამ.

— კარგი, ახლავე დაურეკავ.

ვოიჩეკი პოლონელია, მისისიპის უნივერსიტეტის — „Ole Mis“ — მაგისტრი, აშშ-ში მუშაობის უფლება არა აქვს და ფარულად მაინც შვიდას ადგილას მუშაობს; მგონი, ცოტას თაღლითობს კიდევ. ვადიკას კვირაში ორჯერ ფეხბურთს ეთამაშება, სიმპათიური, ოქროსფერთმიანი, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდაა, კარგი, ირონიანარევი იუმორით, ცოტას გიტარაზეც უკრავს. მოკლედ, ვადიკას რომ მოსწონს, ზუსტად ისეთი ტიპია... შვილივით ვუვლი. კრისი ტიპური სამხრეთელია, მეტიც, ღრმა სამხრეთიდან — ძირძველი ოქსფორდელი და ჩრდილოელების ატანა არა აქვს. მამამისი 70 წელს გადააცილებული ჰიპია და ძველი, დანჯღრეული ჰარლი დეიდსონით დაქრის. კრისიც მოჰიპო ელემენტია, ქალაქის კოლორიტი, დაჟანგულ-გახეხილი, გახუნებული, ძალიან ძველი, მაგრამ საათითი ანყოფილი ლინკოლნ კონტინენტალი ჰყავს და მის მანქანას ჰაივეიზე კილომეტრის მანძილზე ცნობენ. ოქსფორდში ჩასვლისთანავე გავიცანი, ქალაქის ცენტრში ერთი კაფეს წინ ცემენტს ზელდა და ფილებს აგებდა. მეორე გამოვლაზე სხვა კაფეს ღია კარიდან დავინახე, რომ სადღერგლო სამუშაოებს ასრულებდა და ნახერხი გარეთ გაჰქონდა, მესამე ჩავლაზე მკითხა — ვხედავ, აქაური არ ხარ, უნივერსიტეტში მუშაობ?.. ასე გავიცანი კრისი.

მერე, ერთხელ, ჩვენი ავტომობილის შეთვალეობა ვთხოვე, ფული არ გამომართვა და სადილით გავუმასპინდელი; მერე, რამდენჯერმე, მე და ვადიკა ოქსფორდის ერთ ძალიან ჰიპურ კლუბში — „ჰოკაში“ — ნაგვიყვანა, ერთხელაც მის მეგობრებთან ერთად ტბაზე წყლის თხილამურებით სასრილოდ ვიყავით და მას მერე ისე დავახლოვდით, რომ საქართველოში დაბრუნებულს რამდენიმე კვირაში თავზე დავგად-

გა, სექტემბერ-ოქტომბერი ჩვენთან გაატარა და 90-იანი წლების უშუქობა, უგაზობა, უწყლობა და სხვა უბედურებები ჩვენთან ერთად გადაიტანა.

მოკლედ, ორივეს დაურეკე და სადილად დავპატიჟე. ვადიკა დიდის ამბით ემზადებოდა ამ სადილისთვის. „ოქსფორდ იგალს“ ხელიდან არ უშვებდა. საკუჭნაოდან განსაკუთრებული შემთხვევისთვის გადანახული „საფერავიც“ გამოიტანა და გამლილ სუფრაზე დადგა. გემრიელი სუნი დატრიალდა თუ არა, ოთახში ჩვენი სახლის პატრონის სტუდენტი, აფრო-ამერიკელი ლატანია (ზედა სართულზე ცხოვრობდა, სხვენში, და პატრონის არყოფნის დროს სახლს უვლიდა. ჩემი შემყურე ისე გაზარ-

ამ ქალაქში ფოლკნერი ცხოვრობდა და კაციშვილი არ იმჩნევდა?! — გულდანწყვეტით დასძინა კრისმა.

— მაგარი იდეაა, კრის, მოუსმინე, ეს კაცი „სოკერის“ ქვეყნიდანაა, — მიმართა კრისს ვოიჩეკმა

— შენგან ბევრი არაფერია საჭირო. მთელი ოქსფორდი გიცნობს, შენს ოქროს ხელებზეა ამ ქალაქის აღმშენებლობა დამოკიდებული, ყველა პატივს გცემს. „ოქსფორდ იგალში“ წამიყვანე და რასაც იმით შევთავაზებ, იმაში მხარი დამიჭირე, თან სწორედ მითარგმნი, მე გამეცადინებ, — დაუღეჭა ვადიკამ კრისს იდეის არსი.

— „იგალი“? არ პრობლემაა, ნაცყევი, რედაქტორსაც ვიცნობ და გამომცემელსაც. თუ კარგ საქმეს შესთავაზებ ქალაქისთვის, მე რატომ არ უნდა დაგიჭირო მხარი?

— ყველა თამაში უნდა გავაშუქო და გავანალიზო. მთელი თვე ერთი გვერდი მაინც უნდა დაგვიტომონ, მინიმუმ ერთი გვერდი. ნამოვლენ ამბავ?

— ვნახოთ, ერთი გვერდი ბევრი არაა? — პატარა ფორმატია ეგ თქვენი „იგალი“ და ერთი გვერდი შეიძლება, არც გვეყოს, — უკან არ დაიხია ვადიკამ, გეგონება, გაზეთში ადგილი უკვე დათრეული ჰქონდა.

— და ჰორორარი რომ არ გადაგიხადონ?

— კ ჩორტუ ჰორორარი, ეგ არც მიფიქრია. ჰუმანიტარული აქცია იქნება საქართველოსგან აშშ-ს.

ამაზე ვოიჩეკს უნებლიე სიცილი აუტყედა, კინალამ ტოლმა გადასცდა. რას წარმოიდგენდა, აშშ საქართველოს გადასარჩენი თუ გახდებოდა?

— ჰა, რას ფიქრობ, წავიდეთ? — ჩაეკითხა ვადიკა კრისს.

— კარგი, წავიდეთ, ოღონდ წინასწარ გაფრთხილებ, მე ყველა სტატიის თანაავტორი უნდა ვიყო, — ხმას აუწია კრისმა.

— თუ გინდა, ავტორი იყავი, ოღონდ შენ რედაქცია შეახვიე, — ყველაფერზე თანახმა იყო ვადიკა.

— და ეს რაში გეჭირდება? — ეჭვის თვალით გახედა კრისმა ვოიჩეკს, კიდევ ერთი თანაავტორი ხომ არ გვეცილებო?

— ვოიჩეკს აუუხსნი დანერგვებით იმას, რაც შენ უნდა აგიხსნას კარგი ინგლისურით და მერე ერთად დავნერთ ანალიტიკურ სტატიას. ვოიჩეკს ფეხბურთი კარგად ესმის, შენ — არა. მოკლედ სამნი ვიმუშავებთ. ვოიჩეკს თანაავტორობა ისედაც არ შეუძლია, მალვამია, — იცინის ვადიკა.

— კარგად დალაგდა, მომწონს, თქვენც მომწონხართ, სადილიც, ღვინოც, ისლა დაგვრჩა, დალოცოთ ჩვენი წამოწყება! — კრისმა საფერავით სავსე ჭიქა ასწია. ჩვენ ფეხზე წამოვდექით და სავსე ბოკალებით ჩვენი ინტერნაციონალური — ქართულ-უკრაინულ-პოლონურ-ამერიკულ-აფრიკული ეპოქალური წამოწყების წარმატებით დაგვირგვინების სადღერგძელო შევსვით ბოლომდე.

ჭიქები სხვისი იყო და არ დაგვიმსხვრევი.

„ოქსფორდ იგალ“-ის რედაქტორი, ერთობ გამგებანი და გლობალურად მოაზროვნე ჟურნალისტი აღმოჩნდა. კრისი — დაუჯერებლად დამაჯერებელი და პრინციპული. ვადიკას სპორტულმა გამოცდილებამ და „მჭვერმეტყველებამ“, რასაც უზადოდ თარგმნიდა და ასახიერებდა ვოიჩეკი, შემდეგ კი ავითარებდა კრისი, რედაქციისთვის ენითაუწერელი შთაბეჭდილება მოახდინა: პოტენციურ სპორტულ კომენტატორებს გაზეთის მთელი გვერდი დაუთმეს, მეტიც, საჭიროების შემთხვევაში, შუა გაშლილ გვერდსაც დაჰპირდნენ. ასე იმუშავა ვადიკას უნიკალურმა გუნდმა: ზოგმა ველზე (ვადიკა, კრისი, ვოიჩეკი) და ზოგმა ზურგში (მე და ლატანია).

სამუშაო თვის განმავლობაში ლატანია გააძლიერა ვოიჩეკზე და კრისზე ზეწოლა, რასაც მე თავგანწირვით ვეწინააღმდეგებოდი და ხელს ვუშლიდი. ამაზე ლატანია სერიოზულად მსაყვედურობდა, რა გინდა, შენს ქმარს ხომ არ ვერჩიო. მე კი ვერა და ვერ ვაგებინებდი, რომ ახლა ყოველწამს ოქროს ფასი ჰქონდა და ვოიჩეკის და კრისის მოცდენა ლატანის ტოლფასი იყო. ვადიკა 24 საათი ტელევიზორთან ატარებდა, წინ და უკან ახვევდა კადრებს (ამერიკაში ამის შესაძლებლობა მაშინ უკვე იყო) და ყველა თამაშს დეტალურად განიხილავდა. კრისს გამალამინებული მასალა

— მანსი გეძლევა, ისტორიული მოვლენის მონაწილე გახდე, თან უკუდავყო შენი სახელი და ქალაქი, — დამტკრეული ინგლისურით და ძალიან არტისტული ჟესტიკულაციით დაუმარცვლა კრისს მომავლის პროგნოზი ვადიკამ.

ლატანია სკამიდან წამოხტა და ტაში შემოკრა.

— მაინც როგორ? „სოკერმა“ როგორ უნდა გამხადოს ისტორიის ნაწილი, როცა

ყოველდღე „იგალი“ მიჰქონდა დასაბეჭდად. ფოტომასალა შერჩეული ჰქონდათ. სულ მალე „იგალი“ დილაადრიაზე ქრებოდა ოქსფორდ ქალაქის საფოსტო კიოსკებიდან, სუპერმარკეტებიდან, კაფეების კალათებიდან და ეზოებიდანაც. ქალაქი „სოკერის“ ვირუსით დაავადდა. ვადიკაკრისის სტატიები იყო უჩვეულო, მხიარული, ინფორმატიული და შემეცნებითი. „იგალის“ სტატიების შესახებ მალე ხმა მიმდებარე მომცრო ქალაქებშიც გავარდა და კრისი ახლა მოთხოვნადი ზეპირ-მთხრობელიც გახდა.

ჩემი და ვადიკას რეტირება საგრძობლად იმატა სრულიად უნივერსიტეტის რექტორატში და საპროფესორებში, ვოიჩეკის — სტუდენტებში და ახალგაზრდულ კლუბებში. ლატანიამაც რაღაც მნიშვნელოვანს გამოჰქრა ხელი: მგონი, სახლის პატრონის მადლობა და პრემიაც დაიმსახურა სახლის საუკეთესოდ მოვლისათვის. კრისი ამის შემდეგ დიდხანს ეძახდა თავს „ოქსფორდ იგალის“ ფრილანს (დამოუკიდებელი) ჟურნალისტს და საქართველოში ყოფნის დროსაც არაერთხელ წაიტარა ამა სტატუსით და ჩვენი წარმატებული პროექტით.

სურათის წინ სანთელი იწვის, ვადიკა იღიმება, სტადიონი ღმუის. წამიერი სიჩუმე — პენალტების სერიას ქართველები იწყებენ. პირველი ურტყამს ქოჩორაშვილი — გოგოთოთოთოთოთოთოთო, ტაბლოზე — 1:0; მამარდამ აილოოოოოოოო, დავითაშვილი — გოგოთოთო, ტაბლოზე 2:0-ია, ბერძენებს გააქეთ პირველი გოლი — 2:1; მიქაუტაძე — ვაიმევევევევევევევევე, ვადიკა, ბურთი ასცდა ბერძენების კარს! გაგვიტანეს! ტაბლოზეა 2:2, ღმერთო! დავალი — გოგოთოთოთოთო... ღმერთო, ღმერთო. ტაბლოზეა 3:2. ღმერთოთოთოთო, ბერძენმა ააცილა, ვადიკა, ააცილააააააააა, კვეკვესკირი, ღმერთოთოთოთო... გოგოთოთოთოთოთოთო და იქმნა ნათელი! ასრულდა ოცნება! არის, ასრულდა ოცნება!

ვადიკა იღიმება. სანთელი დაილია, თავისით ჩაქრა. დილის ხუთ საათამდე „მარაოს“ არხზე რაღაც ფრანგულ-იტალიურ მელოდრამას ვუყურებ. არაფერი მახსოვს. მგონი, დესიკასი იყო და სოფი ლორენი თამაშობდა. რა მახსოვს... თვალწინ მიდგას ნაქცეული ბუდე ზივზივადი — როგორ მიხობხავს მიწაზე და თავით ბურთს მიაგორებს.

გმადლობ უფალო!.. მეორე დღეს სამსახურში დამაგვიანდა. მეილი გაგხსენი და პირველი წერილი კინაღამ ეგრევე წავშალე. ფიციკი მეგონა უცხო გვარ-სახელით. მაგრამ არა, ეს ხომ ჩემი მეგობარი ჯივანია, 2011 წელს ერთად ვმუშაობდით ავღანეთში — პროექტის უფროსი კონსულტანტი იყო. ამერიკელი, წარმოშობით მალაიზიიდან.


JEEVAN CAMPOS
(28, 2024 at 3:36)
მანანა,

ვიმედოვნებ, კარგად და ჯანმრთელად ხარ. მინდა, მივულოცო საქართველოს ისტორიული მიღწევა — გერმანიაში ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრა. მჯერა, დღეს მთელი ქვეყანა ფეხზე დგას და გუგუნებს — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით — ეროვნული ნაკრებისათვის, რომელმაც ერთიანობის და დიდი ზემოქალაქური მომენტი შექმნა. მე თქვენს გუნდს ვუჭერდი მხარს, რადგან ვიცი, რას ნიშნავს ეს ხალხისთვის, განსაკუთრებით ამ რთულ გეოპოლიტიკურ ხანაში.

გილოცავ კიდევ ერთხელ. ყოჩაღ, საქართველო! თავს გაუფრთხილდით და იცხოვრეთ მშვიდ, უსაფრთხო გარემოში. ჯივან კამპოსი.

P.S. შეგახსენებთ, რომ 1994 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალშიც, რომელიც კალიფორნიაში, ლოს-ანჯელესის მახლობლად, პასადენას სტადიონზე გაიმართა, ბრაზილიამ იტალიას პენალტებით მოუგო — 3:2. ის თამაშიც, დამატებით დროიანად, 0:0 დამთავრდა. მაშინ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში „ფიფამ“ პირველად დაუშვა ფინალზე პენალტების სერია.

ღმერთო, ასეთ ამბავსაც მოგვასწარი და ერთი ამდენს კიდევ ვიცინებებთ ქართველები!



ნინო სადღობელაშვილი

ცრემლი

ედვინება ქართულ ენას

იქმნა სახლი და ქუჩაც იყო და ქვაფენილიანი ბილიკებიც და გზატკეცილებიც, ისინი ქმნიდნენ გზაჯვარედინებს და ერთმანეთთან ქალაქებს აერთებდნენ და იყო ქვეყანა.

მთები იყო და მათ ქვეშ — მდინარეები, ტყეთა ნიავე ქროდა და უდაბნოთა ხორშაკიც და ზღვაც იძვროდა უზარმაზარ ზურმუხტისფერ ნიჟარაში, ქვეყანა იყო.

ქალებიც იყვნენ და კაცებიც, ბავშვებიც თამაშობდნენ და ზოგჯერ დიდებიც თამაშობდნენ ბავშვობაგადაცალაპულები, იყო ჩხუბი და სიყვარული, სიკვდილიც იყო და დაბადებაც და, ქვეყანა იყო.

მაგრამ ცრემლი აღარ იყო ამ ქვეყანაში. არც მწუხარების, არც სიხარულის, არც თანაგრძობის, არც გამარჯვების, მარცხის და სირცხვილის, გმირობის და სიამაყის — ცრემლი არ იყო, აღარ ჩნდებოდა თვალის უპესთან, თითქოს დაწყდა მაცოცხლებელი წყაროსწყალი, მიწის გულში პირი იბრუნა.

თავიდან არავინ უტყდებოდა ერთმანეთს, ფიქრობდა, მხოლოდ მე მჭირსო, დროებით მჭირსო, შეიკრიბებოდნენ, ვთქვათ, სამძიმარზე, დაძაბულად აკვირდებოდნენ — მოთქვამდა ჭირისუფალი, ხელებს თავში იცემდა, მაგრამ ცრემლი არა — მშრალი ჰქონდა თვალიც და სახეც, თევზივით აქერცლილი, იმასაც იფიქრებდი, ხელისგულს თავში იმიტომ იშენს, ცრემლი რომ გააყრევინოსო...

ველარც ლხინი და სიხარული შველოდა საქმეს. ბევრი დილა და საღამო იყო, ერთადეოფნის სიამტკბილობა, სიცილიც ბევრი, მაგრამ ცრემლი არა — ვედარავინ იტყოდა, ცრემლებამდე ვიცინეთო, ცრემლებამდე ვაციხარეთო.

ის კი არა, ხახვის ჭრის დროსაც კი გაძაგრული იდგა მზარეული, საცრემლე ღრუ ყრუდ უფეთქავდა, მაგრამ არ იქნა და არ გადმოდინდა იქიდან წვეთიც.

არც მაშინ, როცა ათასობით კილო ხახვი გაფცქვენს მთავარ მოედანზე, ზედმინევენით ალასრულეს ქალაქის თავის ბრძანება — ცრემლის მოგვრის მასშტაბური ოპერაცია.

ჩვენში რომ ვთქვათ, რა ისეთი საუნჯე ცრემლია, განა უცრემლოდ კაცი ვერ გაძლებს? მალევე სიტყვა, ზოგჯერ ბლანტი, ზოგჯერ არც ჩანს, მოდის საიდანღაც საფეთქლიდან ანაც ყელიდან, ცხვირს აგინავავს, დაგისველებს, ქალს ფერუმარის ჩამოგირეცხავს, კაცს ზოგჯერ არის რო — შეგარცხვენს კიდევ, გულის სისუსტეს გაგიმყრავენებს, რასაც იქნებ მალავდე კიდევც!..

ეჭვი იყო და კამათიც იყო, სიმართლემაც გაშალა ფრთები, მაგრამ ცრემლი რომ არ იყო, იმ ქვეყანაში უცნაურად ჩამოგუბდა ნაღველი. გულის მიდამოებში უჭერდა ადამიანებს, თითქოს თვალისავე ანგებოდა, ამან ბევრი გააღიზიანა, გააბრაზა, ბლევრა-ბლევრით თუ იტყოდა რამეს, ან იყვირებდა.

ბევრმა კი სულაც სიჩუმე შეიჩვია. საქმეს ჩუმად აკეთებდა, არც ვინმესთვის გულის გადაშლის გუნება ჰქონდა, ნავიდოდა სამსახურში, მოვიდოდა, დანებობდა — სულ ეგ იყო, საქმე ხომ შველის უთქმელ

რამეებს, თავზე ასფალტით გადაუფლის ხოლმე და გადაგლისავს რაც ცოცხალია... ისაც შენიშნეს, რომ დიდად აღარც თქმით ან ამოთქმით გამოდიოდა რამე. ენას ანიდან ჰოემდე გაკიდებდნენ, ყბასაც ქაქანი თ მოილიდნენ, მაგრამ თითქოს აღარ გამოჰქონდა სხეულს სათქმელი, რანამს ბაგიდან გადმოვიდოდა, ჰაერში სუსტად აორთქლდებოდა და მოსაუბრეს სახტად ტოვებდა. უმწეო, უგერგილო, უმარილო სიტყვების ტლაპო.

ზოგმა ექიმს მიაშურა (ექიმებიც იმავს უჩიოდნენ), ზოგმა მარჩიელს. ხმა გავრცელდა — ქვეყნის სამხრეთ კიდეში, უდაბნოს პირას წყარო დის, იმ წყაროსწყალს ცრემლის ქიმიური ფორმულა აქვს, დავლით და როგორც მედუქურს — რძეს, ჩვენც ცრემლს მოგვგვრისო.

წყაროს მიაკვლიეს, ზოგს წამლის შუშით, ზოგსაც ზორბა ბოთლით გამოჰქონდა უდაბნოდან. სვეს, მაგრამ ვერა ირგეს რა. უცრემლოდ იყვნენ. სცხვენოდათ ერთმანეთის, ძალი რომ ძალია, ისაც კი ტიროდა, ბოჩოლაც ცრემლით მიბლავლებდა ხოლმე ალაგედნე გადასულ დედას, ცალი ცრემლი ჩიტსაც მოწყდებოდა ცაში და აი, ადამიანი, ქვეყანაში, რომელიც იყო — უცრემლოდ ეგო.

ერთხელ, უცხო კაცი მოადგა აღმოსავლეთის საზღვარს. თხილისფერი ჯვალე ეცვა, ფეხზე გაქუცული სანდლები, ნაჭრის ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. ვაშლის ხესთან ჩამოჯდა, ჩამოსვენა. იქვე ორიოდე კაცი ბორიალობდა. გზა იკითხა, მიასწავლეს.

უცხო კაცმა მთავარქალაქს მიაღწია, ჩანთა ჩამოიხსნა და თქვა:

— ჩემთან ინახებოდა ის, რაც თქვენია და გიბრუნებთ.

შემოეხვივნენ, შეკითხვები დააყარეს — ვინა ხარ ან ეს რაღაც, ჩვენი თუა, შენთან როგორ აღმოჩნდაო?

— თქვენ რომ ამისთვის აღარ გეცალათ, მისი შენახვა მე დამეცალა, ჩემთან დროებით იყო, მაინც უნდა დაგიბრუნოთ, ასეთია პაპაჩემის პაპის ანდერძი.

უცხო კაცმა ჩანთა გახსნა — თხელი თოკით ჰქონდა შეკრული. მილიონი თავი ღია ჩანთისკენ გადაიხარა.

— აჰა ბატონო — ლაჟვარდი! — მშვიდად ამოიღო უცხო კაცმა გამჭვირვალე სიტყვა და ლაჟვარიანი ხელი ჰაერში ასწია.

მანამდე განსხეულებული სიტყვა არავის ენახა, ზოგმა ვერც კი იცნო, ჰაერის სფეროდ მიიჩნია, შუშის სპეკულად...

— ეს კი, ჩინჩხალი! — ისევ მაყურებლის გმინვას ამოაყოლა კაცმა. ჰაერში სიტყვა ჩინჩხალმა გაიკრიალა.

— ესეც არგანი და ზედაზე, ეს ავრეხი, ყვერი და კანთიელი! — ძვირფასი თვლებივით ამოყარა უცხო კაცმა.

ერთმა პოეტმა ხელეუბნაშალა, ეს განძი თუ ჩემი იყო, აქამდე რატო არ ვიცოდი, ხომ უკეთესად მოვემზადებოდი საიუბილეო კრებულისთვისო.

ისაც კი გაიფიქრა — ასე მგონია, მეც ახლა ვილაცის ნაწერში ვარ, ნეტა რა სიტყვად მხედავენო.

— ბჭე და ლიბო როგორია! თვითრჯული და ნაღვარევი, ან — ჭირნახული, ან — წუთისოფელი, გენაცვალე!.. — გაიღიმა უცხო კაცმა.

მაისი იყო, მზე ვარდებში ნებივრობდა, გასხლტა უცებ ერთი სხივი და ვილაცას აერეკლა თვალებში, აბრწყვილა და აციმციმდა. რახანია ასეთი რამ აღარ დამართნოდა, მშრალ ბუდეზე რომელი სხივი აუსხლტებოდა...

იმ ვილაცამ ხელი უცხო კაცის ჩანთისაკენ ფრთხილად წაიღო და ჩუმად, მძიმედ, ამოოხვრით თქვა:

— ჩემი სალბუნიც აქაა?.. ჩემი გულის საქართულო?.. ჩემი უსამანო სიყვარული?.. — და ჩანთაში დაკოჰრილი ხელი მოაფათურა.

ისეთი სიტყვა ამოიღო, გული მტერსაც შეუხტებოდა. სივრცეს დაატოლა, მერე პირთან მიიღო და რაღაცა უთხრა. უხმაურად და უმტკენეულოდ გადმოსდინდა თვალიდან ცრემლი.

დიდხნის უგრძობი სისველე იგრძნო ღანვზე, ცრემლი თითით ნიკაპამდე ჩამოაცილა და გაიღიმა უცხო კაცით.

არ იყო მარტო — მის გარშემო ბევრი იდგა ცრემლჩამდგარი თვალებით, სანათლავად გამზადებული ემბაზივით სავსე ჰქონდათ უპეები, ცოტაც და მზის სხივები შთაეფლობდნენ სამგზის და მეტგზისაც.

— შენი სახელი გვითხარი, — უცხო კაცს მიმართა ერთმა, მცოვანმა. განა არ იცოდა, რომ ყასიდად ჰკითხა, განა პასუხს ელოდა, უბრალოდ, გულით მოუნდა გამოლაპარაკება, თითქოს ეს წუთია, ენა ამოიღდა და შეჰყვა მასლაათს, რომ ეცლიათ, ბარე გათენებამდე იჭუკჭუკებდა, ამ მთისას და იმ ბარისას მოუყვებოდა, ზოგჯერ ცრემლსაც მოიწმენდა — ხან პეშვით და ხანაც იდაყვით...

— აქამდე სად იყავი, შეკაცო, — ერთმა ახალგაზრდამ ესაც შეჰკადრა, — თუ იცოდი, რო ეს გვიშველიდა, აქამდე რატო არ დაგიბრუნე, რაც ჩვენ გვეკუთვნის?

უცხო კაცმა ჩანთა მარჯვედ შეარხია — გეგონება, უფსკერო იყო, შიგ საუნჯე არ იყოდა.

— რაც მეტია საუნჯე, ფასიც მეტია. სჯობს ცრემლით, ვიდრე სისხლით, — და ერთი „ჰუჰ“-ო, ჰაერს ისე დააძგერა, გეგონება საუკუნეთა ნაგროვები ჭავლი ამოაგდო ძვლებიდან.

ყველამ თავისი სიტყვა იპოვა. ერთმანეთს უღიმოდნენ, მხარზე ხელსაც დაჰკრავდნენ ხოლმე, იცინოდნენ — აცრემლდებოდნენ, დაღონდებოდნენ და — ცრემლი იყო მათი მშველელი.

მათი მთავარი მოკავშირე ამ სამყაროს გზაჯვარედინებზე. შეუწყვეტლად ჩქეფდა გულის რუბი. მათ ნაკვეთზე სიცოცხლე ჩნდებოდა, რა კარგი სიტყვაა სიცოცხლე!..

იყო ქალაქები და სოფლები, მთები და მდინარეები, ზღვაც იყო და უდაბნოც მღელვარებდა, ქვეყანა იყო და ენა იყო — მაცოცხლებელი ცრემლის ძალით გამოსყიდული.



გიორგი ბალახაშვილი

თაბაში

მონატრებაა. დაბრუნება. ინანთივით. ყაყაჩოები. ლელიანი. უფლისციხე. მოლოდინია. წერილები. საგულისხმო. აბაჟურები. მტკვარისთანა. მინათებდე. კიდევბია. კლდეებია. ქარაშოტი. განვიმდებთან. ქარაფები. ჯანლიანი. ვენახებია. დამაჭრება. გიღვინდები. ჩახუტებაა. გათენება. ქარაფშუტა.

ბასკლა

პროკრუსტეს ორკესტრის მირაკლი. ჩემს ფეხებს... სიგრძე თუ მიმაკლდა. ღრუბლებში შენყდება ჟღარაუნი. მზე, როგორც იუდა, ჟღარადება. სიცივით დამუნჯდეს სევანი, ათასი მოსკიტის სავანე. სავანე — სილურჯის. მოსკიტთა. მეც შევძლო ქარონის მოსყიდვა და ისე უჩუმრად გავიდე, სიზმრიდან, ლექსიდან, ნავიდან, ქარიდან, წყალიდან, ცეცხლიდან, ნიბლით, კოლიბრით, მერცხლითა.

ბაიეზი

ზაფხული. წვიმა. რემისია. ღრუბლის მსუბუქი პორტოლი. გუბეში მთვარის პროფილია. როგორც ნუმიზმატის, ემისარის, ვერცხლის მიგდებული შილინგივით. ცაზე — მურიცხების მიტინგია. არის ალუჩათა კატაპულტიც, მძაფრი სურნელება — ალუჩათა, ლოდინს დასასრული არ უჩანდა. ყვითელ ბაიებთან — კატაბარდა. აკაციებთან — ბაიები, დილით შენს წასვლას გაიგებენ...

პალკალა

ჩამომიქროლა უცხო ნიავმა და მომახალა: ვალკირია ვარ. ჯერ დედასავით შუბლზე შემეხო, მწვანე თვალბუბუც, აი, შემდეგ ხო სადღაცა გაქრა, მორცხვი ბავშვივით, თითქოს არც იყო, წამით დავეშვიდდი, ძილამდე მიმყვა მისი შეხება, როდესაც სიზმრის კარის შეღება მომეპრიანა და ჩემს უბუბუს, ჰიპნოსმა, ერთმა ურჩმა კრუპიემ, ჩამოურივა წყვილი ასტრალი, ნავენახარი, ნამონასტრალი და ლაბირინთის ნიაღში შეველ, თითო წახნავი და თითო შეველ-ური დავთვალე — ვერტიკალის, თუმც ვალკირიას ვერ ვიკარებდი, ბჭესთან დავტოვე მცირეოდენი იმედის ფთილა. ოდენ ოდინი

მარტო მელოდა კართან — ვალჰალის, მეც ის ქალწული აღარ დავლაღე... ჩამომიქროლა თბილმა ნიავმა და მეამბოხა: ვალკირია ვარ!

უფლისციხესთან

უფლისციხესთან მთვარე იჭმუნება, მეორე დღეა ანგელოზები კი ყვითელ ქარაფებთან იღებენ შხაპს. კრეფენ ყაყაჩოებს გოგო-ბიჭუნები, მოსჩანს სალოცავი, როგორც ობელისკი და წვიმა აგრძელებს მუსიკას. წკაპ. ნაპირთან ლელი და აკაციებია. მაისის წვიმაში გაარჩევ ლელვის სუნს, ჰგვანან ორაგულებს ეს სველი ლოდები. თქვი, ყაყაჩოები რად გაციებულან? თქვი, შენი ნახვა როდისლა მეღირსოს? თქვი, უწინდებურად აღარ მელოდები?

ცხონღე

მკვიდრო — დამტვერილ სერვანდის, ვიდრე მეზობელს გასძახებდე, ბუტაფორიულ ზამბახებით — მიგელს... ნუ დაანევი სერვანტესს, ყურმოტეხილი ლარნაკებით, ხელგამონვდილი აზდაკივით — ფლიგელს. ლექსის პირველი პნკარედიდან გასდღე მერცხლებს — ჰანოიმდე, კარეტითა და კანოეთი. შეგრცხვეს! საკუთარ ჩრდილსაც გაერიდე, ქურდის ქურდივით გშურდეს, ნუ ესვრი შურდულს — მერცხლებს...

ბოლო ზარი

მაისი ყოფილა წვიმების კოლაჟი, სალამოს მთვარისგან აბაჟურს უნთებდა, დილიდან უცდიდნენ ბოლო ზარს სკოლაში, ბავშვები — ოდესღაც მოთხვრილი თუთებით, ახლა კი, დიდობის ბილიკზე შემდგარნი, პერანგზე სურვილთა უთარგმნელ მანტრების ათასი წარწერით: გილოცავ, ეგ არი, მიყვარხარ, გახსოვდე და მომენატრები!

ანის

რალაცნაირად იციან ჩახუტება უმამო ბიჭუნებმა, ძირს ხრიან გიშრის დიდრონ თვალებს და იმორცხვებენ... წყალსაც წაულია ჩაფხუტები. ნიჩბები. ქეიშის კოშკების ნაცვლად მოვუშენოთ მიმოზები — დედას. უმამო ბიჭუნები სამყაროს უცქერენ მათი თვალებიდან. დედის კალთაშივე იძინებენ ნებიერა კნუტებივით, შავთვალა ბიჭუნები ყოველგვარ განსაცდელს აარიდე, ისინი სიყვარულში პირველნი უტყდებიან ერთი დღის სტუმარსაც, მათთან ღამის გასათევად შეკედლებულს...

პოეტი

ყველა პოეტი ლამანჩელია, აპოლოგეტი — დულისინეასი, ეპოტინება ქარის ნისქვილებს... თან დაობლებულ ლექსებს იშვილებს, გადაიკითხავს სტრიქონს მეასედ, სპორადულად და სამარჩიელოდ. ყველა პოეტი მივა ქარონთან, ერთგულად გვიცდის კოჭლი მენავე, რომ გადავცუროთ ვეება სტიქსი, რომ უსასრულო სიზმრებად ვიქცეთ, ისეთად, რომ ვერ აღწერს ენა ვერ, ვიშვით სულების ხმატკბილ გალობად.

ბოგლი-მოგლი

ბოლოს მამამ გამიკეთა. რომ მკითხონ, ბავშვობას რისი გემო აქვსო, დაუფიქრებლად ვუპასუხებ:

მამის ათქვეფილი გოგლი-მოგლის, თქო...

უსინათლოთა

ათასგვარია ლოცვა. ვედრება. უპირველესად: ბრმადშობილთა, უსინათლოთა, ბავშვობიდან... მათ არც კედრები უნახავთ და არც საკუთარი თვალების ფერი, სწორედ ამიტომ ხმა შეიყვარეს პირველ ყოვლისა, ადამიანში. პირველი სინათლის სხივი — მშობლის ხმაა, თუმცა მხოლოდ უსინათლოთათვის არა... ხილულთათვისაც სინათლეა — დედის ნანა. მზეს არ იცნობენ, სახეს უშვერენ მხოლოდ, რომ ქუთუთოებიდან ჩაედვაროთ სითბო თვალეში, შემდეგ ლოყები შეეფაკლოთ და ყვრიმალბებთან ნერწყვი მოადგეთ — მზის ხილვისა. არც ვარსკვლავებს ითვლიან ცაზე, მეჭეჭების გაჩენისაც არ ემინათ... ქარის ხმა უყვართ, თითქოს ხედავენ, ეხებიან კიდევ. ქარიც ხომ უსინათლოა... როცა ამქვეყნიური სიზმარი მორჩება და გაიღვიძებენ, ისინი აუცილებლად იხილავენ სინათლეს, მარადიულ ძილში...

ჭყიმპო

წამოდი ტბის პირას. ისლებში ჭყიმპოა, ჩვენ რომ ბავშვობაში ვეძახდით ჩიბუხას, ამ ერთხელ აგვისტოს ცაც წამოიქუხებს, იჩქარე. დავასწროთ და ჭყიმპო ვიპოვოთ, ბრიალა თვალებით და წვრილი ნისკარტით, თავიდან — ზურგამდე დაყრილი წ ი ნ წ კ ლ ე ბ ი თ... ვიდრე გადაფრენის სეზონი იწყება, ვიდრე არ გაისმა ღრუბლებში დისკანტი: მეხი ვარ! კლაკნილი ხაზებით გასერვის მე ხილვა მექნება უმთვარო, მღვრიე ცის, წამოდი, დილიდან სიგიჟეს მივეცეთ, სიზმრებში ბავშვებად დარჩენას, ასევე, მივაგლოთ ცოტა ხნით სიმძიმე ყოფითი თუ არაყოფითი ფიქრის და წავიდეთ, გახსოვდეს, დუნისა ვერ მოვალთ თავიდან, არც იქ გველოდება საჩრდილოდ კოპიტი და სანამ ისლიდან აფრინდნენ ლალებიც, წამოდი ტბის პირას, წამოდი, ავლელდეთ!

ჩამბის სახლი

ასე, სოხუმშიც გვაგინებდა, გაგრა ნელდება, მორიგი ღამეც უსათუოდ გაგრანელდება, იქ, უპატრონოდ დარჩენილი ენგურის ხიდი, გადაფრინდება ამ ერთხელაც პატარა ჩიტი, ხიდან ხეზე და გადასცდება სული — სამანებს, სადაც სურნელი დაიფრქვევა იასამანის, ერთი მეორეს ეკრობიან მიკოტივით და ილიმიან საზღვრისმცველი იდიოტები, შენ კი, გუშინაც დაგესიზმრა ჩრდილი — პალმების, მშვიდობისმყოფელთ მედიდურად მიესალმები, გადახვალ ხილზე, გამძაფრდება სუნი ციტრუსის, მეტს ვერ მოითმენ, პირველსავე ხეს აეტუზე, რომ მონატრებით გადალილმა ჩუმად იტირო: იქნება დაგხვდეს ჩამბის სახლი. ძველი. ქვითკირის...

მარადიული ბავშვი, უკურნებელი სენით შეპყრობილი, ვერდაბერების.

თოთხმეტი წლისამ დაიწყო წერა და პოეზიაც დაემართა, სენი — მეორე. ზოგიერთებმა ისწავლეს ჭკუა და ვერლიბრების წერა დაიწყეს. ვერლიბრი რომ პოეზია იყოს, ავლაბრელი ტაქსისტი სეროპა ყველაზე დიდი პოეტი იქნებოდა, ვისთვისაც ოდესმე მომისმენია, გაიფიქრა ბავშვმა. განა გინახავთ პოეტი ვინმეს, ორი დიპლომით, წერა-კითხვის უცოდინარი? ზოგიერთებმა ჭკუა ისწავლეს და ვერლიბრების წერა დაიწყეს. ჩვენთან, რეკომენდაციების ქვეყანაში, ჯობს რამდენიმე კარგი ნაცნობი გყავდეს, სხვადასხვა სფეროში, ვიდრე სამი წიგნის ავტორი გერქვას. თუ კოკაინზე გინდა შეჯდომა, მარადონა უნდა იყო ან უიტნი ჰიუსტონი, როგორც მინიმუმ, რომ გასახდელში, ტაიმებს შორის ან პირდაპირ სცენაზე, კულისებს მიღმაც კი არა, იქვე წაისვა ღრძილებზე და გაიყნოსო. მარადიული ბავშვი, უკურნებელი სენით შეპყრობილი, ვერდაბერების და პოეზიის, მან ვერ ისწავლა ტრენდულად წერა: მეძავებზე, ქარხნის მუშებზე, პენსიონრებზე, უფულობაზე, მზის სითბოზე, ღმერთზე და მისთანებზე, რომ გული აუჩუყოს მკითხველს, რომ იყოს ყველაზე გაყიდვადი და ალაგ-ალაგ კითხვადიც. ზოგიერთებმა ისწავლეს ჭკუა და ვერლიბრების წერა დაიწყეს. მარადიული ბავშვი კი დაჟინებით იმეორებდა: ვერლიბრი რომ პოეზია იყოს, ავლაბრელი ტაქსისტი სეროპა ყველაზე დიდი პოეტი იქნებოდა...

ახირება

ახირებაა, მოგონებებს ადგილს უცვლიდე, სახელს უცვლიდე უნიათოდ ყველა ადრესატს, შემდეგ ბავშვივით ყველაფერი იუკადრისო და მიატოვო ჩანასახში ანუ მუცლადადე: დღეები. გზები. სიყვარული. კოცნა. სიგიჟე. საკუთარ თავთან აღარავინ უნდა მიუშვა. ახირებაა, გულისწყრომით წარსულს ქექავედე, ფუჭად ეძებო გამოსავლის ყალბი ვერსია, რადგან შენამდე ახლა ასი წყრთა და ვერსია, რადგან შენამდე ახლა არის ასი დეკადა: მანძილი. სივრცე. პორიზონტი. პოლიგონები. ჩემი თითებიც აღარასდროს მოგიგონებენ. ახირებაა ცუდი სიზმრის წყლისთვის მოყოლა, რომელ მდინარეს ეზმანება ანდა კომპარი, თევზები ათას სისულელეს წამოროშავენ, ქვირითს დაყრიან, დაგაყრიან განა ქოქოლას? მე კი რა მრჩება, არაფერი, ვიჯდე და ვწერო. სანამ აფრინდა ლერწმებიდან ის ბოლო წერო.

ვალჰალა 2

შენ ზიხარ მარტო, ოდენ ოდინი, ჩაბნელებული ჰოლი. ვალჰალა. ვალკირიებიც დუმან. ხარხარის მიზეზი არ გაქვს მცირეოდენი. ხარხარს ვინ ჩივის, ნეტავ, ნეტარო, ღიმილი გქონდეს, თუნდ უნეტარო. მოკითხვას უთვლი ქალღმერთ ფრეიას, სანამდე მოვა ცნობა დალუპვის ომიდან. ცრემლის ზღვა დაპა-ლუპით მებრძოლთა სულებს რომ შეერიოს. სიზმართა უცხო მსტოვარს ერიდე, წვიმას გაყევი ცისარტყელიდან. ოდენ ოდინი, შენ ზიხარ მარტო, მოყინულია შენი ტერფები, თან სიჩუმეში ისე ეფლობი, ვალკირიების დუმილი გართობს თუ სიზმრის მსტოვარს უცდი ანაზღად, ვრცელი კარიბჭე აღარ ჩარაზო...

ქეთევან ნათელაძე



რთველი

ახლოს გრძნობ ზამთარს, რომლის გულშიც სინათლე არ ჩანს, რა იცის შენზე და რა უნდა მოგიყვას თოვლმა, არსად მთავრდება ეს სიზმარი, რომელშიც დარჩა ლურჯი სანდლები და სექტემბრის მცხუნვარე თრთოლვა.

ცის ვარსკვლავებით უეცარი ანთება გშველის, ვინც გულს წურავდა, ფოთლებივით ქარს ატანს ნალევლს, ვინც შეიყვარა, ვისაც ერთხელ ჰქონია რთველი, ვინც ოცნებებში გადაჰყავდა მწყემსების ნამლერს.

დგახარ ამ ცის ქვეშ, მაყვლოვანში, სამყაროს სძინავს, ჩამქარა მთვარე, თითქოს ცასაც მოედო ობი, ის შემოდგომა სავსე იყო ვნებით და ღზინით, ყურძნის სურნელით, თავბრუსხვევით, ნანატრი თრობით.

და ბრმა ცისქვეშეთს უფოთლებო შემორჩე, ვინძლო, და ოცნებებიც გადაიქცეს მდუმარე ლოცვად, ყველა გრძნობისგან გაშიშვლებულ ხეებს ხომ იცნობ, ისინი არსად არ მიდიან, ზამთრდება როცა...

რა დრო გასულა, რაც ამ ხეებს ზამთარი ათოვს, შენი ჩრდილი კი დავიწყებულ ამინდებს ელის, ვინც მზეს უმღერდა, ის არასდროს იქნება მარტო, ვინც შეიყვარა, ვისაც ერთხელ ჰქონია რთველი.

ბევრი ხნის შემდეგ ბნელ ოთახში როცა შედიხარ, იმ ბნელ ოთახში, რომ გაფრთხობდა დიდი თვალებით, და გაშინებდა განაპირა, ბნელი ოთახი თავისი უხმო ღამეებით, იდუმალებით.

იქ ალბათ წესით მოჩვენებას უნდა ეცხოვრა, გაფიქრებაზეც ბოროტს ჰგავდა ყველა სიკეთე, ვინ იცის, გვერდით ჩაუარე ალბათ რამდენჯერ და ოდნავ მოხსნილ კარიდანაც ვერ შეიხედე.

არც საკმარისად მხნე იყავი, არც საკმარისი, და განცალკევდი და სარკის წინ დარჩით შიშვლები, შენ და უკვდავი და ვერასდროს ვერგანდევნილი, მაგრამ დროებით ჩახშობილი შენი შიშები...

საკუთარ თავსაც მერამდენედ იწყებ თავიდან, გზაჯვარედინებს დამორდი და რა ვერ ისწავლე? ახლა რილასი გემინია? დრო ხომ გავიდა? შენი შიშებიც შეიცვალა, შენც შეიცვალე.

ბევრი ხნის შემდეგ ბნელ ოთახში როცა შედიხარ, სულ სხვანაირი, უცნაური შიში იელვებს, რომ შეხვიდე და მოჩვენება იქ არ დაგიხვდეს? რომ შეგრჩეს დიდი, უფერული სიციარილე?

ისეთი რაღაც

იქნებ არც კი ღირს ეს ძიება, გაივლის იქნებ, რაც ღირს ცხოვრება, ჩემს ალქმებშიც შეიძენს იმ ფასს, ვთხრი ჩემს სურვილებს, ჩემს ოცნებებს, სიზმრებს და ფიქრებს,

რომ მათ სამარხში მივაკვლიო ყველაზე ძვირფასს. არ ეკარება გრძელ ღამეებს წამითაც ძილი, თვალებს მნათობთა სარკისებრი ნათება მიწვავს, ხან მტვერს გადავწმენდ ძველ შეგრძნებებს — ჩამომდნარ ჩრდილებს,

ხან მრავალნაირ დავიწყებას გავაცლი მინას... ხან აღმოჩენის ახლოს მყოფი სიცხადე მზაფრავს, ხან ეს სიშლეგე მუდმივ ძებნის აღმიძრავს ეჭვებს, ვთხრი საკუთარ მეს,

როგორც თხრიან ძველისძველ საფლავს, რომ მკვდარ ნიაღში მიაკვლიონ აღმასის ბეჭედს. ზოგჯერ აბაო მოლოდინი მიშხამავს წამებს, და მაინც განძის შეუპოვარ მძებნელებს ვგავარ, იქნებ სიყვარულს, იქნებ იმედს, ან ასეთ რამეს...

რომ ჩემში ერთ დღეს გადავანწყდე ყველაზე მთავარს. მიჰყვება მთვარე ქარებისგან შერისხულ აღმართს, ხეებში ღამის მდინარეა ჩამდგარა მუქი, ვთხრი საკუთარ მეს, რომ ვიპოვო ისეთი რაღაც, რაც აღმასივით დამაბრმავებს თავისი მუქით.

ფოთლაბი

მზე ჩრდილავს ტოტებს ქარისგან დევნილს, ცხოვრებაც მსგავსი სიშლეგით გვცდიდა, თითქოს სამყაროს აწყდებოდა წერვი, როცა ფოთოლი ვარდება ხიდან.

ჩვენც ფოთლებივით ქარდაქარ ვცხოვრობთ, რა დაგვაგინებებს, რამდენჯერ ვეცნეთ, რა აგონდებათ ნეტავი ბოლოს ფოთლებს — სიკვდილის უმწეო მძევლებს.

არ იხსენებენ? სიმწვანეს დიდროს, ზაფხულის ტყეში ჩაქცეულ არილს, რაზე ფიქრობენ ფოთლები იმ დროს, როცა მინისკენ უჭირავთ თვალს.

როცა დეკემბერს მოჰყვება თოში და ყოფნის ბოლო საათებს დათვლის, ვინ მოინატრებს მათ სურნელს თოვლში, ვის ეხსომება შრიალი მათი

და მოლოდინში უდროო ავდრის ყოველი სიტყვა ქცეულა ფიცად, რადგან ერთ დღესაც, პირისპირ ზამთრის, ჩვენც ფოთლებივით ვიქცევით მინად.

მოხუცები

ბების და პაპის ხსოვნას

შეხედე ხეებს, ამ მაღალ და უხეზრდილა ხეებს, აქ ისხდნენ ხოლმე მოხუცები, ჰყვებოდნენ ლალად ამბებს ჩადენილ გამირობებზე, მოგებულ ომზე, თავიანთ ღარიბ ბავშვობაზე და რაზე აღარ...

გაუკრთებოდათ ზოგჯერ ხმაში ეჭვი და შიში, თითქოს წარსულის ინვესტიონ ლანდებს, აქ ისხდნენ ხოლმე მოხუცები, ამ ხეთა ჩრდილში, ილიმოდნენ და დიდ ბავშვებს ჰგავდნენ.

ხეების ჩრდილში, რახანია, არავინ არ ჩანს, თითქოს იფარავთ მუდმივი ნისლი, მათ ველარ ვხედავ და ყურს ვუგდებ ფოთლების შრიალს, ამ ხმაში მათი ჩურჩულიც ისმის.

დღეები ხმელი ფოთლებივით ხელში გეფშხვნება, სავსე ხარ ძველი წერილებით, მკვდარი ფიქრებით, იცეკვე, ვიდრე გადაილო წვიმამ მუსიკის, იცეკვე ცეცხლთან, ვიდრე აქ ხარ, ვიდრე იქნები...

ჯერაც უთქმელი ლოდინების შენში მზე დნება, ქარს მთელი ცივი შემოდგომა შენთვის მოჰქონდა, იცეკვე, ვიდრე საკუთარ ჩრდილს ისევ ენდობი, ერთი ნამდვილი და ხანგრძლივი ცეკვა ოლონდაც!

როცა გზას წამი დასასრულის სუსხით შეფერავს, ალბათ იმ ხანგრძლივ ცეკვის შუქი უნდა გემოსავდეს, ასე ცეკვავდა მთელი ღამე ცეცხლთან პეპელა, რადგან იცოდა, მოკვდებოდა მზის ამოსვლამდე.

ზაფხული

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ, ზაფხულო, შორს წამიყვანდნენ შენი ველები, დაღამებამდე წამეკითხა შენს მწვანე ჩრდილში ბრეხტი, ვერლენი.

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ, ზაფხულო, მოვლბოდა ბოლო მოლოდინს, შენი ღრუბლების — საყვარელი ლურჯი ბატკნების მწყემსად გყოლოდი...

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ, ზაფხულო, ვნებისამშლელი ლელავ ზღვისპირის, მონატრებული მომეძებნა შენი ბილიკი, შენი ნისქვილი.

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ, ზაფხულო, არ ვიცი, შენებრ კიდევ ვინ მგავდა, რადგან მიყვარდა შენი სულით, შენი სისავსით, ვინც კი მიყვარდა.

ყველა სეზონი ყოფილიყავ, ნეტავ, ზაფხულო, მონამლული ვარ შენი ისრებით, ზამთრის ყველაზე უსახო და ცივ ღამეებში შენ მესიზმრები.

ჩამსახლებია ყველა ფიქრში შენი სახელი, მე შენით ვცოდავ, შენით ვმარხულობ, ოცნებისა და სიყვარულის გამომსახველი შენ ხარ ზაფხულო!

მეზობელი და გეოპოლიტიკა ერთმანეთს მოიხვეჭა

საცხოვრებელი კომპლექსის მთავარ გასასვლელთან ავტორს მეზობელი შეხვდა, რომელმაც ავტორის თავდადებული სვლა კოფეინის ახალი დოზისაკენ შეაჩერა.

მეზობელმა ავტორი მოიკითხა და იქვე გლობალური პოლიტიკური საკითხიც წამოჭრა.

„როგორ მიდის ცხოვრება? რა ხდება უკრაინაში?“

მეზობელმა იცოდა, ავტორი აღმოსავლეთ ევროპელი ანუ კომუნისტურ-სოციალისტური ევროპელი რომ იყო და ამიტომ ფიქრობდა, რომ მისგან შესაძლებელი იყო, უკრაინაში მიმდინარე საშინელო ომის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია და ზუსტი ინფორმაცია მიეღო, ვიდრე ის, რასაც ლოკალური მასმედიიდან იღებდა.

„ჩემი ძმა გარდაიცვალა...“ — უთხრა ავტორმა მეზობელს ისე, რომ ზუსტად ვერც გაიაზრა, რატომ: უბრალოდ ვინმესთან უნდოდა მომხდარი ამბის გაზიარება, თუ ასე და ამგვარად უკრაინის ომის თემაზე საუბარს დაადო ვეტო.

მეზობელი, რა თქმა უნდა, ისევე მოიქცა, როგორც ასეთ შემთხვევაში იქცევიან ხოლმე: ავტორს მიუსამძიმრა და იქვე უნებურად საკუთარი ძმა გაიხსენა, რომელიც ვიეტნამის ომში დაიღუპა.

„ჩემი უფროსი ძმა უცნაური შემთხვევა იყო. ბიტნიკებთან და ჰიპებთან ირეოდა. სრული პაციფისტი იყო და უცებ ერთ დღეში შეიცვალა და მილიტარისტი გახდა. ისე დაიღუპა, რომ მისი ტრანსფორმაციის მიზეზი ვერ ამოვხსენით. ვერც მშობლებმა, ვერც ჩემმა დამ და ვერც — მე. მე ოჯახში ყველაზე პატარა ვიყავი.“

ავტორმა მეზობლის უკან მდგომი ძმა დაინახა. ძმას ხელში ნაცრისფერი კნუტი ეჭირა და ეფერებოდა. ავტორმა კნუტი იცნო. წლების წინ ბავშვობაში ჰყავდა ნანახი. ეს კნუტი ერთ დღეს ძმამ მოიყვანა სახლში, მაგრამ მშობლები კნუტის სახლში დატოვების კატეგორიული წინააღმდეგეები იყვნენ და ძმამ კნუტი ტირილით კარს მიღმა გასვა...

„ომი საშინელებაა, ყველაზე სამართლიანი ომიც კი კომარია...“ — მეზობლის ხმამ ავტორი აწყვეტილი დააბრუნა.

ავტორმა რატომღაც დაუშვა, რომ მეზობელს ეგონა, მისი ძმა უკრაინაში მიმდინარე ომში დაიღუპა.

საკუთარი დაშვების სისწორე მეზობელთან არ გადაუმოწმებია. უბრალოდ თავი დაუქნია და გასასვლელისაკენ წავიდა. გონიერი სვლა იყო ის.

ავტორმა მეზობელი და გეოპოლიტიკა ერთმანეთს მოიხვეჭა უკან...

ბიტნიკობა

სოციალური მოძრაობა იყო, სინამდვილეში

არ არსებობს არანაირი ბიტნიკური რომანი

ავტორი კოფეინში შევიდა. კუთხეში მჯდომი ალფრედო შენიშნა, მის გვერდზე ძმა იჯდა.

ავტორი ალფრედოს მიესალმა და მისკენ დაიძრა. ძმა იმწამსვე გაქრა.

ავტორი მიდიოდა და ფიქრობდა: „ცოტას გამოველაპარაკები, გულს გადავავლებ...“

ავტორმა და ალფრედომ ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ გაიცნეს. ავტორი იმ დროს ჯიბეცარიელი და ამიტომ ენაგადმოგდებული ეძებდა სამსახურს და ამ მიზეზით თუ მიზნით ალფრედოს კოფეინში შევიდა.

ავტორი პირველივე წამიდან მიხვდა, რომ ალფრედო არ იყო საშუალო სტატისტიკური მცირე ბიზნესის მფლობელი და ამ ფაქტმა კიდევ უფრო მონათლავა მის კოფეინში მუშაობის დაწყება, მაგრამ ალფრედომ ავტორისათვის სრულიად მოულოდნელი რამ თქვა:

„მე კაცები არ ამყავს სამსახურში, მხოლოდ ქალები,“ — ალფრედომ გაიღიმა, — „რამე ისეთი, როგორ ვთქვა, მანიაკური არ იფიქროს ჩემზე, უბრალოდ ქალებთან მუშაობა უფრო იოლია, რადგან ისინი მამაკაცებზე უფრო გონებაგახსნილები არიან ან მე მეჩვენება ასე, იმიტომ, რომ გვი ვარ და მათთან ინტიმური ურთიერთობა არ მაქვს. სექსი ყველაფერს აფუჭებს,“ — თქვა ალფრედომ და ამოიხარა, — „მე ბეროუ-



ზის საყვარელი ვიყავი ახალგაზრდობაში, თქვენ იცით, ვინ იყო ბეროუზი?“

ავტორმა ჩათვალა (როგორც შემდეგ გაირკვა — ამაოდ), რომ კარიერული წინსვლის შანსი მიეცა.

„კი, რა თქმა უნდა,“ — თქვა ავტორმა. ავტორმა და ალფრედომ ბეროუზისეული მონტაჟის ტექნიკაზე ისაუბრეს.

დაუჯერებელია, მაგრამ მოხდა.

„კი, ბილი ნამდვილად ნოვატორი იყო, კერუაკისაგან განსხვავებით, მაგრამ მათ მანაც აერთიანებთ ორი მნიშვნელოვანი რამ. პირველი სოციალურია, ხოლო მეორე — ესთეტიკური. ვგულისხმობ ყოფით ანტიმატერიალიზმს და თხრობის ფრაგმენტულობას... რა თქმა უნდა, ბილი გაცილებით ღრმა და ორიგინალური მწერალი იყო, ვიდრე კერუაკი. კერუაკი ბილთან შედარებით კოლეჯის ნიჭიერი სტუდენტია...“

ავტორი თვლიდა, რომ ალფრედო აჭარბებდა და სრულიად არაობიექტური იყო, მაგრამ ჩუმად იყო, არაფერს ამბობდა, რადგან მისთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი თავად შექმნილი ვითარება იყო, რომელშიც ის მონაწილე იყო და მასურებელიც.

ალფრედომ განაგრძო: „ბიტნიკობა სოციალური მოძრაობა იყო, სინამდვილეში არ არსებობს არანაირი ბიტნიკური რომანი.“

და ავტორს ძმის დაწყნარებული სახე დაუდგა თვალნი

მატარებლით სამი დღე უნდა ემგზავრა, დანიშნულების ადგილამდე რომ მიეღწიათ და დაესვენათ.

სწორედ ამ სამდღიანი მგზავრობისას მოხდა ამბავი, რომელმაც ავტორს სულსხვა ძმა დაანახა — მგრძობიარე, ფაქიზი და დაუცველი.

უკვე წლების შემდეგ ძმის მიერ თუ გამო შექმნილი უამრავი პრობლემისაგან გაბრაზებული და გადაღლილი ავტორი ხშირად თუ არა, ყოველთვის იხსენებდა ამ ამბავს.

ეს ამბავი ავტორს ახსენებდა ფაქტს, რომ სინამდვილეში მისი ძმა ძალიან მგრძობიარე, ფაქიზი და დაუცველი ადამიანია.

მერე ერთ დღეს — მრავალი წლის შემდეგ — ავტორი მიხვდა, რომ ეს მოგონება აფერხებდა და ამიტომ მისგან უნდა გათავისუფლებულიყო (გათავისუფლდა კიდევ: მთლიანად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც) და ძმისგან დისტანცირება გადაწყვიტა და შორს გაიქცა. იმ მომენტში ფიქრობდა, რომ უკანმოუხედავად გარბოდა, მაგრამ დედის გარდაცვალებამ ავტორი მარილის სვეტად აქცია.

ერთხელ ავტორმა კოლეგას საიდანღაც უამბო მატარებელში მომხდარი ამბავი. ლიტერატურაში ბავშვობის მოგონებების მნიშვნელობაზე საუბრობდნენ. მაშინ ავტორის ძმა ცოცხალი იყო და იმ წუთას ავტორის მისგან ორი გამოტოვებული ზარიც

მოეპოვებოდა ტელეფონში, თუმცა ავტორი ძმას მანაც უფრო ხშირად მესიჯებით ეურთიერთებოდა:

„გმუშაობ, მერე დაგირეკავ. ფულს 25-ში გამოგიგზავნი.“

„მეც კარგად, მეც მიყვარხარ. აბა, შენს მეტი მეც ვინ მყავს.“

„კი, ვიცი, რომ კაზინოში წააგე ყველაფერი, მაგრამ ეგ არაფერი. ამოვძვრები.“

მატარებელში მომხდარი ამბის მოსმენის შემდეგ კოლეგამ საიდანდაც მხოლოდ ეს იკითხა:

„და მამა როდის გამოჩნდა?“

„მალევე მოულოდნელად დაძრული მატარებელი რომ დაინახა, ბოლო ვაგონზე შეხტომა მოასწრა.“

და ავტორს ძმის დაწყნარებული სახე დაუდგა თვალნი.

ავტორმა

ყავის ფინჯანში ჩაიხვდა

ავტორი ალფრედოს გვერდზე ჩამოჯდა. იქ, სადაც რამდენიმე წამის წინ მისი ძმა იჯდა.

ალფრედომ ავტორი მოიკითხა.

„ჩემი ძმა გარდაიცვალა“ — როგორღაც თავისთავად და დაუგეგმავად გაანდო ავტორმა ალფრედოს მომხდარი ამბავი.

ასე შეიტყო ალფრედომ, რომ თურმე ავტორს ძმა ჰყავდა, რომელიც თურმე გარდაიცვალა.

„მეც მყავდა ძმა. ვძულდი იმის გამო, რომ გვი ვარ. გამიყვანდა და მირტყამდა. კარტელზე მუშაობდა, უფრო კონკრეტულად გადაზიდვებში და ერთხელაც, მორიგი გადაზიდვისას, დააჭედეს შუბლში. მე ვძულდი იმიტომ, რომ გვი ვიყავი. საერთოდ, ბილი რომ არა, ჩავრჩებოდი მეხიკოში. მაგრამ ჩემ ძმას მე მართლა ვძულდი, ვარცხვენდი.“

„მე ვიცი, რომ ჩემ ძმას არ ვძულდი და არც მე მძულდა ის.“

„ეტყობა, ერთმანეთის სიძულვილის მიზეზები არ გქონდა...“ — თქვა ალფრედომ.

ავტორმა ყავის ფინჯანში ჩაიხვდა.

სინამდვილეში იცოდა

ახალ ენობრივ სივრცეში მოხვედრილი ავტორი, ცოტა არ იყოს კი არადა, გვარინად დაიბნა. ინგლისურენოვანი მსოფლიო მისგან ძალიან კონკრეტული ტიპის ინფორმაციას ელოდა, ხოლო ამ ინფორმაციის გამოთქმის ფორმატი წინასწარ მკაცრად განსაზღვრული იყო.

„წარმატება ამ ქვეყანაში წინასწარ განსაზღვრული სქემით მიიღწევა. ჩვენ შენგან მეშვარებას ველით. შენი ამერიკული ოცნების ისტორიას,“ — უთხრა ადგილობრივმა კოლეგაქალმა.

„მე არანაირი ამერიკული ოცნება არ მაქვს,“ — თქვა ავტორმა და ერთდროულად უხერხულად და ირონიულად გაიღიმა. „მაშინ რატომ ხარ აქ? ვერ ვხვდები.“

ბედს თუ არ ეძებ, აქ რა გინდა?“

ავტორი და მისი ადგილობრივი კოლეგაქალი ლას ვეგასში მიდიოდნენ ხელისმოსანერად.

„მე მგონი, მაინც უფრო პოლიტიკური თავსესაფრის გზით წასვლა აჯობებდა,“ — უთხრა კოლეგაქალმა და განმარტა, რატომ ფიქრობდა ასე, — „დისიდენტებს ბევრი ბენეფიტი აქვთ ამ ქვეყანაში. უცებ იშოვიდი რომელიმე კოლეჯში მასწავლებლის ადგილს. გექნებოდა სხვადასხვა ფინანსური შეღავათი. შენ წინგნებს თარგმნიდნენ. რატომ არ მოინდომე, ვერ ვხვდები.“

„არც მე ვიცი,“ — თქვა ავტორმა და ამჯერადაც ერთდროულად უხერხულად და ირონიულად გაიღიმა.

სინამდვილეში იცოდა.

და პლაჟა შეპარავილი იოგის ენთუზიასტის ჯგუფს შეხვდა

ერთი შეხედვით საქმე პარადოქსთან გვექონდა, რადგან დასახელებასა და რეალურ მოცემულობას შორის თვალსაჩინო განსხვავება იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბრიტანული რომანის პრაქტიკოსები და კონტრიბუტორები არა მხოლოდ ბრიტანელები იყვნენ, არამედ სხვადასხვა ეტაპზე ამერიკელები, ინდოელები, იამაიკელები, ავსტრალიელებიც, ნიგერიელებიც, სამხრეთ აფრიკელებიც და ასე შემდეგ. ავტორების ეთნიკური სიჭრელე ბრიტანული იმპერიალიზმით აიხსნებოდა, თუმცა მიუხედავად ასეთი ეთნიკური მრავალფეროვნებისა ბრიტანული რომანი თავისი ბუნებით მაინც საკმაოდ ერთფეროვანი იყო ან, შესაძლოა, ავტორს ეჩვენებოდა ასე.

ბრიტანული რომანის ისტორიაში — რომლის სრულყოფილ ცოდნაზეც ავტორი, რა თქმა უნდა, არანაირ პრეტენზიას არ აცხადებდა — იყვნენ საოცარი გამოწვევის კლინებიც. მათ შორის რამდენიმე საოცრებათა საოცრებაც კი იყო, თუნდაც ვირჯინია ვულფი და ლორენს სტერნი. ასეთი არაქრონოლოგიური თანმიმდევრობა იმიტომ, რომ ავტორი ქრონოლოგიაზე მალევე ეტიკეტს აყენებდა. Ladies First.

ავტორი იმედოვნებდა, რომ ოდესმე დაწერდა ვრცელ ესსეს ვირჯინია ვულფისა და ლორენს სტერნის შესახებ და ის ამ ესსეში ძირითადად მათი პროზის ინოვაციურ არქიტექტონიკაზე ისაუბრებდა.

„ვირჯინია ვულფი და ლორენს სტერნი,“ — დაფიქრებით თქვა კოლეგამ საიდანდაც, როდესაც ავტორმა მას საკუთარი ჩანაფიქრი გაუხილა, — „საინტერესო, მაგრამ საშინლად არაკომერციული თემა,“ — თქვა კოლეგამ საიდანდაც და პლაჟაზე შეკრებილი იოგის ენთუზიასტების ჯგუფს შეხვდა.

ავტორი იმედოვნებდა, რომ ოდესმე დაწერდა ვრცელ ესსეს ვირჯინია ვულფისა და ლორენს სტერნის შესახებ და ის ამ ესსეში ძირითადად მათი პროზის ინოვაციურ არქიტექტონიკაზე ისაუბრებდა.

ზღაპარი დასრულდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს

ბრბო დედამ შენიშნა და იქვე ინსტინქტურად დაინტერესდა ხალხის შეკრების მიზეზით და ამ უცაბედ დაინტერესებას მოყვა მარშრუტის უცაბედი ცვლა.

ავტორი და მისი ძმა დედასთან ერთად იყვნენ. ისინი დედას ასაკის გამო სრულად ემორჩილებოდნენ. ავტორიც და მისი ძმაც შეკრებილი ხალხისაკენ დაძრულ დედას გაჰყვნენ. მათაც აინტერესებდათ, რა ხდებოდა, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც უდევლად დარჩენის შიში იყო.

ერთხელ ავტორმა ანტიფანსი დე სენტ ეგიპტიუსის პოლიტიკური შინაარსის მოკლე წერილი მიწერა: ანტიფანსი, ბავშვობიდან კი არ მოვდივართ, არამედ ბავშვობაში ვრჩებით.

ავტორი თვლიდა, რომ, ძმისაგან განსხვავებით, პირადად მას ლალი ბავშვობა ერგო. ის ძმაზე თითქმის 5 წლით იყო უფროსი და, მისგან განსხვავებით, ავტორი უკვე ზრდასრული იყო, როდესაც ზღაპარი დასრულდა, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

იროტიკული რომანი

ხელმოწერის შემდეგ ავტორი და მისი კოლეგაქალი სასტუმროში დაბრუნდნენ და რადგან პრინციპში ერთმანეთთან სასაუბრო არაფერი ჰქონდათ ლიტერატურის გარდა, დაიწყეს საუბარი ლიტერატურაზე.

ინიციატორი She იყო და მან რატომღაც ვლადიმერ ნაბოკოვს ახსენა. ის „ლოლიტას“ — იხსენებდა.

სსპანური რომანი 98

„პირველი ეგზისტენციალური რომანი, ჩემი აზრით, — თქვა ერთხელ კოლეგამ საიდანდაც და ავტორს გამოცემულად შეხედა. ცდილობდა, გაერკვია, უსმენდა თუ არა და რადგან დარწმუნდა, რომ უსმენდა, განაგრძო, — „უნამუნოს ბურუსია. ეს რომანი ამავე დროს პოსტმოდერნის ერთ-ერთი ადრეული ნიმუშიცაა, უცნაური, ალოგიკური, მაგრამ ჯიუტი ფაქტია: პოსტმოდერნი მოდერნთან ერთად წარმოიშვა...“

ავტორი არ იზიარებდა ამ მოსაზრებას, მაგრამ მოცემულ მომენტში მისთვის ინტელექტუალურ დაპირისპირებაზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური სინთეზი იყო, რადგან კოლეგამ საიდანდაც ავტორისათვის მნიშვნელოვანი ესპანელი მწერალი ახსენა.

ავტორმა თემის ოდნავ განვრცობა გადაწყვიტა.

„არა მხოლოდ უნამუნო, არამედ მთელი თაობა 98 გენიალური იყო: ასორინი, პიო ბაროხა, ვალიე ინკლანი, — ავტორი გაჩუმდა.

აღმოჩნდა, რომ კოლეგა საიდანდაც ცუდად იცნობდა ამ ავტორებს. ავტორს ამის გამო გული დაწყდა, თუმცა თავად ფაქტი არ გაჰყვირებდა.

არსებობდა ლიტერატურის ისტორიაში რამდენიმე საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც, ავტორის აზრით, უსამართლოდ არის იგნორირებული და ერთ-ერთი ასეთი მოვლენა სწორედ თაობა 98 და მისი ესთეტიკურ-ფილოსოფიური ძიებები იყო.

ქუჩა, შიდარეა, თაბაში

ავტორმა — უფრო ინსტიტუტურად ვიდრე გააზრებულად — მარჯვენა ხელი აწია და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგომ ძმას დაუქვია. საკუთარი შესტის ზუსტ მნიშვნელობას ჯერჯერობით ვერ იაზრებდა: რა უნდოდა? უბრალოდ ესალმებოდა ძმას თუ ამ შესტით სთხოვდა რამეს, მაგალითად: შემამჩნევს ან იქნებ ერთდროულად ერთსაც და მეორესაც. არც ის იყო გამორიცხული, რომ სულ სხვა, ავტორისათვის ჯერჯერობით უცნობი, აზრი (მნიშვნელობა) იდო ამ შესტში.

ძმამაც დაუქვია ხელი.

ავტორი მიხვდა, რომ ძმა შორიდან შესტების ენაზე ურთიერთობის წინააღმდეგი არ იყო.

გაუხარდა.

და ამჯერად უკვე გახარებულმა ძმას იმავე ხელის განსხვავებული მოძრაობით ანიშნა, კითხვა, როგორ ხარო...

ძმამაც.

და ავტორი მიხვდა, რომ ძმა მას ძველისძველ, ზავშეშობის დროინდელ თამაშს ეთამაშებოდა. თამაშს ერქვა „ისე, როგორც სარკეში.“ თამაშის შინაარსი, მისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია.

ავტორმა მარცხენა ფეხი განა განზე. ძმამ — მარჯვენა, ისე, როგორც სარკეში.

ავტორმა მარცხენა ფეხი საწყის ნერტილზე დააბრუნა, ძმამ — მარჯვენა, ისე, როგორც სარკეში.

ამასობაში ავტორი მიხვდა, რა უნდოდა სინამდვილეში ძმისგან, არა ამწუთას, არამედ ადრე, მთელი, უკვე დასრულებული, ცხოვრების განმავლობაში — მისი სრული მორჩილება.

„სწორად ვერ მიტანდა...“ — აღიარა ავტორმა.

აღმოსავლეთი

ეპროკული ლიტერატურა

„მე შენამდე ერთ სერბ ბიჭს ვხვდებოდი,“ — უთხრა ურთიერთობის დასაწყისში ადგილობრივმა კოლეგაქალმა ავტორს, — „მოთხოვრებებს წერდა, რა თქმა უნდა, თავის ენაზე და მე რე თვითონვე მითარგმნიდა. მოთხოვრებები, ძირითადად, იუგოსლავიის ომს ეხებოდა. არ იყო ცუდი, მაგრამ არ გადავრეულვარ,“ — აღიარა ადგილობრივმა კოლეგაქალმა.

ავტორმა ჯერ გაიფიქრა: ნეტავ ჩემზე რას იტყვის მომავალში? შემდეგ ისეთი რამ თქვა, რასაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა წამის წინ გაფიქრებულ ალბათ მაინც უფრო რიტორიკულ შეკითხვასთან.

„ეროვნული თემატიკით ტექსტების გადატვირთვა აღმოსავლეთ ევროპული ლიტერატურის პრობლემაა. მე სპეციალისტი

დავით ქართველიშვილი

შორი ქმა



არ ვარ, მაგრამ რაც ვიცი იქიდან გამომდინარე გეტყვი, რომ ამ მხრივ უნგრული ლიტერატურა ყველაზე ნაკლებად პროვინციულია...“

„ჩემთვის სულერთია ტექსტის გენეზისი, მთავარია, ტექსტი თავად იყოს მალა-ლმხატვრული...“ — თქვა ადგილობრივმა კოლეგაქალმა და მაცივარი გამოალო, მაგრამ იქვე ხელი ჩაიქვია და მაცივრის კარი მიკეტა.

ამ დროს ისინი სუპერმარკეტში იყვნენ.

ქუჩა, უსახლკარო, მინიშნება

ავტორმა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მობრუნდა უსახლკარო შენიშნა. უსახლკარო ფეხშიშველი იყო. ტანზე პლემი ჰქონდა მოხვეული და ბოლო ხმაზე იგინებოდა და ინყევებოდა.

ავტორი აღელდა. დაუშვა, რომ აგრესიულად შემოიღო უსახლკაროს ძმისთვის რამის დაშვება შეეძლო.

„მაგრამ როგორ? ჩემი ძმა ხომ მკვდარია...“ — გაიფიქრა ავტორმა. მძიმედ ამოისუნთქა და ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს გასაქცევს ეძებდა. „მაღელ გავიდე რა ეს დრო...“ — უიმედოდ ინატრა ავტორმა, მაგრამ ამავე დროს უკვე ამკარად აღარ სჯეროდა, რომ ითხზაბათობის არგადადება კარგი აზრი იყო. ძმის გარდაცვალების ამბავი სულ უფრო და უფრო მეტ სიცხადეს იძენდა და ეს მომატებული სიცხადე გულს უკუმშავდა.

ავტორმა დაინახა, რომ უსახლკარო ძმის გვერდზე გაჩერდა.

ძმამ უსახლკაროს შეხედა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი უსახლკაროსაკენ გაიშვირა. შემდეგ იგივე თითი საკუთარ თავს მიუშვირა. ავტორი ხვდებოდა, რას ეუბნებოდა ძმა. ეს უსახლკარო მე ვარ, სანამ მოვკვდებოდა.

ავტორი და ძმა ყოველთვის მხოლოდ აუდიო ზარითა და მოკლე ტექსტური შეტყობინებებით ურთიერთობდნენ. ავტორმა არც კი იცოდა, როგორ გამოიყურებოდა მისი ძმა უკანასკნელი წლების განმავლობაში. ავტორი მხოლოდ კითხულობდა და ისმენდა ძმის ცხოვრებას, მაგრამ მას თვალს არ ადევნებდა, რადგან მოყოლილისა და ნაკითხულის დანახვა, თუნდაც მხოლოდ გვერდიდან, დანახვა არ სურდა. თვალის გასწორებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ავტორმა ემოციური გადაწყვეტილება მიიღო უცებ და ამიტომ საკმაოდ სახიფათოდ, მაგრამ მშვიდობიანად გადაჭრა ქუჩა და უსახლკაროს მიუახლოვდა და სადილის ყიდვა შესთავაზა, თუმცა დრო ჯერ სასაუზმე იყო.

ამასობაში ძმა გაქრა.

„ბუნებრივია...“ — გაიფიქრა ავტორმა და უსახლკაროს შეხედა.

ლათინო ამერიკული რომანი

(ბუმი)

„ეს მოხდა ერთხელ მექსიკაში.“ კოლეგა საიდანდაც უკვე ოკეანეს უყურებდა, ხოლო ავტორი — მას. მექსიკის ხსენებაზე ავტორს თვალწინ ძმა დაუდგა. მის გვერდზე თავად იდგა, მაგრამ ეს უფრო იცოდა, ვიდრე ხედავდა. მხოლოდ ძმას ხედავდა და კედელზე გაკრულ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას. ამ სურათმა ოკეანის მაცქერალი კოლეგა საიდანდაც სრულად გადაფარა.

ავტორმა იმ წელს სკოლაში გეოგრაფიის შესწავლა დაინიშნა და ახალი ინფორმაციით — რომელიც მას ცოდნა ეგონა — დამუხტული ძმას ესპანურენოვან ქვეყნებს უთვლიდა. ავტორმა არ იცოდა, რომ ეს ინტელექტუალური კომუნიკაცია მასა და ძმას შორის დიდხანს აღარ განმეორდებოდა, ალბათ დაახლოებით კიდევ 20

წელი, იმ დღემდე, როდესაც ძმა მასთან დონ კიხოსს ახსენებს და ასე დაახასიათებს ერთი დაკარგული, მოხეტიალე კაცი იყო, ყველაფერს მიეღ-მოეღო და ისე მოკვდა, რომ მაინც ვერაფერი გაიგო. სინამდვილეში ძმამ არა დონ კიხოსი, არამედ მათ საერთო მშობლიურ ლიტერატურაში ძალიან ცნობილი პერსონაჟი ახსენა: აბრაგი, რომელშიც მართლაც იყო რაღაც დონ კიხოსტური, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ილეგალურ ცხოვრებას ეწეოდა, დონ კიხოსისაგან განსხვავებით, ხმის გამცემი, თანამოსაუბრე და მსმენელი საჭურველ-მტვირთველი არ ჰყავდა. დონ კიხოსი დი-ალოგია, ხოლო მშობლიური ლიტერატურის კლასიკური ნიმუში — მონოლოგი. ავტორი განზრახ არ ასახელებს სათაურს, რადგან მშობლიური ლიტერატურის მცოდნეებმა ისედაც იციან, ხოლო უცხო თვალმა, დაე, თავადვე მოიძიოს; საკმარისზე მეტი მინიშნებებია გაცემული.

ძმამ შეხედა რუკაზე გამოსახულ მექსიკას და თქვა: „ზევითა ქვეყანა უფრო დიდია და სუ-ზევითა ყველაზე დიდია...“

ავტორმა კვლავ დაინახა ოკეანის მაცქერალი კოლეგა საიდანდაც. ის თურმე ლაპარაკობდა, ავტორმა ყური დაუდგო და მიხვდა, რომ ამბის დასასრულს მიუსწრო და დასაწყისი გამოტოვებული ჰქონდა, კოლეგა საიდანდაც ამბობდა: „...დღეს ახალი ტიპის დიქტატორებთან გვაქვს საქმე...“

ავტორმა იგარაუდა, რომ კოლეგა საიდანდაც ამტკიცებდა, რომ ლათინო ამერიკული ლიტერატურის მიერ შექმნილი დიქტატორის ტიპაჟი აღარ შეესაბამებოდა რეალობას, რადგან დღეს ახალი ტიპის დიქტატორებთან გვაქვს საქმე.

ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდი იყო, რასაკვირველია.

სახლი, მზადა, ყველაზე დიდი სიყვარული ავტორი უსახლკაროსთან ერთად დაბრუნდა სახლში. უსახლკარო სააბაზანოში შევიდა, ხოლო ავტორი სკამზე ჩამოჯდა და ძმაზე განაგრძო ფიქრი. ახსენდებოდა რაღაცები. ახსენდებოდა ქაოსურად და ფრაგმენტულად.

რამდენიმე წუთში უსახლკარო სრულიად შიშველი გამოვიდა სააბაზანოდან და ავტორს უთხრა: „რამე ტანსაცმელს ხომ ვერ მომიყვდი. ამ წუთას ფული არ მაქვს, მაგრამ მაღელ ცხოვრებაში დავბრუნდები, ფულის გამოშვებებს და ვეღვაფერს დაგიბრუნებ. ჩემი დღევანდელი მდგომარეობა, გარწმუნებთ, დროებითია...“

ავტორს უნდოდა, ეთქვა, რომ ზოგადად ყველა მდგომარეობა დროებითია, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩათვალა ამ არაფრის-მომცემი საუბრის გაგრძელება და გვერდითა ოთახში გავიდა ჭინჭების გამოსატანად.

უსახლკარო სრულიად შიშველი იდგა და საკუთარ სხეულს უცნობი, ჯერ კიდევ სრულიად აუთვისებელი რუკასავით ათვალიერებდა და თან მძიმედ სუნთქავდა.

ავტორი ამ დროს კარადასთან იდგა. უფრო უსახლკაროსაგან სიმორეში დრო გაჰყავდა, ვიდრე ტანსაცმლის ძიებაში, რადგან ეს უკანასკნელი უკვე ხელში ეჭირა: მაისური, ბოქსერი, წინდები და ჯინსი...

„ფეხი რა ზომა გაქვს?“ — გაძახა უსახლკაროს.

„9-9/2...“ — იყო პასუხი.

„გაგიმართლა, მეც...“

ავტორმა ტანსაცმლის კარადის კარი ფრთხილად, თითქმის უხმოდ მიკეტა. არ

არის ეს ჩემი ძმა, თავს ვიტყუებ... ამის დახმარებით მე ვერაფერს ვუშვები ჩემ ძმას, ვერაფერს შევცვლი და ყველაზე დიდი სიმართლე ის არის, რომ...

„მოდხარ თუ არა, შიშველი დგას ადამიანი და გელოდება...“ — გაიგონა ძმის დაძახილი ხმა და, როგორც ყოველთვის, ასეთ დროს ნაბიჯს ინსტინქტურად აუჩქარა...

ოთახში დაბრუნებულმა ავტორმა ტანსაცმელი უსახლკაროს გადასცა და ოთახს თვალი მოავლო. ძმა არსად იყო და ფიქრი ზუსტად იმ წინადადებიდან განაგრძო, რომელზეც რამდენიმე წუთის წინ შეწყვიტა...

ყველაზე დიდი სიმართლე ის არის, რომ...

მაგრამ ფიქრის გასრულება ვერც ამ ჯერზე მოახერხა.

ეს არ მომხდარა უმიზეზოდ...

ავსტრიული რომანი

არსებობს მოვლენები, რომლებსაც ადამიანის კერძო წარმოსახვაში უფრო მეტი კავშირი აქვს, ვიდრე კოლექტიურ რეალობაში (რომელიც ალბათ, ძირითადად, მაინც ფიზიკური კანონზომიერებებისა და ადამიანების საერთო წარმოსახვის ჰიბრიდია).

ავსტრიული რომანიც რაღაც ასეთი იყო. ასეთი მოვლენა ობიექტურად არსებობდა, მაგრამ არა ისე მჭიდროდ, მონოლოტურად დაკავშირებული (განსაკუთრებით დროში) როგორც ავტორს წარმოედგინა.

თავდაპირველად, ძლიერ ახალგაზრდა ავტორი ავსტრიულ ლიტერატურას საერთოდაც გერმანული ლიტერატურის ნაწილად თვლიდა. რა თქმა უნდა, ეს ყოველად არასწორი, ზედაპირული, უპატივებლად მცდარი დასკვნა დაფუძნებული იყო მათ გერმანულენოვანებაზე.

საკუთარი შეხედულების სიმცდარე პირველად და სრულად ავტორმა შტიფტერის პროზის ნაკითხვის შემდეგ გაიზარა და მიხვდა, რომ აქამდე ნაკითხული სხვა ავსტრიული მწერლები უნდა გადაეკითხა, ხოლო ახლებს მაქსიმალურად კარგად გასცნობოდა.

ასე დაინიშნა ავტორის ცხოვრებაში პერიოდი, რომელსაც მომავალში თავად მან „ჩემი ცხოვრების ორი ავსტრიული წელი“ უწოდა.

ავტორის წარმოსახვაში შტიფტერი, კაფკა, დოდერერი და ელინეკი ერთდროულად ქმნიდნენ რომანებს, ეს მოჩვენებითი ერთდროულობა ავტორის თვალში ავსტრიულ რომანს მსოფლიოში უძლიერესად აქცევდა. რა თქმა უნდა, რეალურად ეს ასე იყო და შტიფტერისა და ელინეკის პუბლიკაციებს შორის დაახლოებით 150 წლიანი დაშორება იყო.

წესრიგი

ავტორს ფიქრი ტელეფონის ზარმა შეანწყვტინა. ავტორმა ზარი მიიღო და ტელეფონი ყურთან მიიტანა. კოლეგა საიდანდაც უჩვეულოდ წყნარი ტონით მიესალმა და მოიკითხა ავტორი.

ავტორმა უსახლკაროს შეხედა. უსახლკაროს გვერდზე ძმა იდგა და ავტორს ხელების მოძრაობით უხსნიდა, რომ უსახლკაროს თავად მიხედავდა და ძმამ და უსახლკარომ ავტორის ბინა დატოვეს. ავტორისთვის მოულოდნელად ფანჯრიდან და შემოსასვლელი კარიდან.

„დღეს უნდა მაპატიოთ...“ — თქვა კოლეგამ საიდანდაც, — „შეხვედრამ ვერ მოვალ. ცუდი ამბავი მოხდა, ჩემი ძმა დაიღუპა ავტოავარიამო და... ხომ ხვდებით?! მაპატიეთ.“

ავტორმა ამ წამს წარმოიდგინა, რომ კოლეგა საიდანდაც ოკეანეს უყურებდა.

„რა თქმა უნდა... ვწუხვარ...“ — და გაიმეორა, — „რა თქმა უნდა... ვწუხვარ...“

და მოულოდნელად მიხვდა, რომ უკანასკნელი რამდენიმე საათი თურმე სხვისი ცხოვრებით იცხოვრა, თან ისე, რომ საკუთარი არსებობა საერთოდ აღარ ახსოვდა. ეს დიდი პროფესიული წინსვლა იყო. ავტორს ახლა მხოლოდ ისლა უნდა გაერკვია, კოლეგა საიდანდაც მართლაც არსებობდა თუ — არა.

„კონტაქტები უნდა შევამოწმო.“ ავტორმა ტელეფონის ძებნა დაიწყო, რომელიც წესით ხელში უნდა სჭეროდა.



ნატალი დარასელია

ქალის მოწოდება სარკის წინ

მე შენს წინ ვდგავარ, ვერცხლისფერო, მტვრიანო სარკვე, და პროტესტია, რომ მტვერს არ გნმენდ, რადგან ქალი ვარ, არ ავიღებ ყოველდღე ჩვარს და სარეცხს და გამჭვირვალე სითხეს ბოთლიდან არ მოგასხურებ გულნასული ქალივით ფერმკრთალს, როცა ჟალუზებს თვალებიდან ჭრილით ავწევ და გავეფრთხავ ცრემლებს, არ მოვაშორებ კედლის ღრიტოებს ობობას ქსელებს და ამის ნაცვლად დავჯდები და სიგარეტს მოვწევ. აღარ მოვუშუშავ ცხელ ტაფაზე ბროკოლს და ნიორს, არ შევეყრი საცვლებს მანქანაში და არც საყვარლის ძვირიან პერანგს გავეუსვამ უთოს მოწინებით.

არ ავალაგებ არეულ სანოლს და არც ზენრებს და ბალიშისპირებს აღარ ჩავაღებო ქლორიან წყალში. არ ავალაგებ სხვის დასვრილ თევზებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალი ვარ.

არ შევთავაზებ მეზობელ ქალს ყავას და ნამცხვარს, გავანყვევტინებ ლაყბობასაც, რადგან ასე მსურს და არ მოვუშემენ შემოსული კაცის გინებას და თავს არ დავხრი იმის გამო, რომ მე ქალი ვარ.

არ ამოვიქნი ცხვირის თავზე ამოსულ წარბებს, არც მკლავებიდან დავიცლი ქინქლებს და აღარც ფეხებს დავისერავ საპარსით „ბიგი“, დღეიდან ისე მოვიქცევი, როგორც მე მინდა და არა ისე, როგორც მკარნახობს ირგვლივ ყველა: „ქალი ხარ და ხამს“.

მოვწევ სიგარეტს, დავლევ ყავას და ყავის ნალექს წავისვამ სახეზე, ვიცეკვებ ფერად თეთრეულში საკუთარი თავისათვის, დავტკებე ყოველი ნაკვითი, ჭორფლითა და ცელულიტით, რადგან მე ისე ვარ ლამაზი, როგორც ვარ.

 აქ ყველაფერი ქალადისაა. ეს არის სცენა, მოვილტვოდი თურმე რისკენაც. სადღაც აინთენ ვარსკვლავები, როგორც შანდლები და მე, ძვირფასო, გემშვიდობები და მე გშორდები. ან შეიძლება ისე ითქვას, რომ შენ კი არა, საკუთარ სიზმრებს მოვშორდები, ნეტარ ზმანებებს, ლითონად ქცეულ უშენობას, როგორც იარაღს, შუბლთან მივიბჯენ. გაიღვებენ მთვარის შუქზე ბასრი დანები. ნუ შეგაშინებს ჩემი სიგიჟე. წინ ვრცელი ტყეა. სოკოები. ეს ტყე ის არის, სადაც სავარცხლით გაძვრა ნიქარა. მე კი გოგო ვარ.

მე გოგო ვარ და მე იქ არ ვარ, სადაც დაჭრილი შენ ეცემი და დარდს იქარვებ. ჩემი ქალადის პლანეტები, ჩემი ქალადის ორბიტები მიდიან და თავს განებებენ. ვწევარ ცარიელი მოღებრტივით. ცისფერი გრძედი და განედები შენამდე სავალ გზას გამოედო. აღარაფერი საიმედო. ალბათ დავდნები და დავნებდები. ასანთის კოლოფი. ჭიანჭველა მიათრევს მძიმე ტვირთს. დამშვიდდი. ჩემს შიშებს ვერაფრით მიგაჩვიე და მეც უბინაო ბავშვივით ვათენებ. ვაღამებ. ვთამაშობ. მძიმეა, გითხრა რომ ვკვდები და საკუთარ საფლავებს ვმაღავ შინ და მაინც მეღვრება მკერდიდან რძისფერი სიტყვები. მჭირდები. არ მინდა ისეთი დიდობა, რაც ადრე სხვებივით მინდოდა. მივდივარ, არა მაქვს ვისაგ ზლო, არ მრჩება არავინ შენგან და არ მიდის ის, ვისაც წინ აქვს გზა და მინდა, ჩემი გზა შენ განდო. მივდივარ. სინათლემოშლილი. მივდივარ ცხოვრებამოშლილი. უბინო და მუცელმომოშლილი. მივდივარ შეშლილი. მშობელი — ღმერთი და მე — შვილი. რა გითხრა, მეტი რა. სიტყვა ვარ მე თვითონ და უნდა ვიტირო. ცეცხლი და გოგირდი. ვუყურებ შორიდან, რომ ჩემი სამყარო იხრჩობა და კვამლში ვერ ვარჩევ ფიგურებს: აქ სახლში მოდიხარ. აქ ჩვენი პირველი შვილი წევს აკვანში. ბოდვია. ლანდია. გონება ამებლანდა. გუბურა. გუბურის მეფეა ამება. რჩება ფერფლიანი ჭერი და ზედაპირი და ამაოებია. რა სასონარმკვეთი ქარია და ქარის ულაცს მიაგვლებს უთავო მხედარი. ქალადის მგლებმა კი ეშვები დაყარეს და მგლები ხედავენ რომ: სადღაც აინთენ ვარსკვლავები, როგორც შანდლები. მე კი, ძვირფასო, გემშვიდობები, მე კი გშორდები. მე შენს მტვრიან გზას დავეცემი, როგორც მიხაკი, ეს ოლონდ მე, ცოტა მე, მაგრამ ახლა კი გემშვიდობები. ვწყვეტ შენს ტერფთან დაბმულ ლოდინის და მოლოდინის ფერად ჭიპლარს, ნიშნად მარცხისა. შენი ცოდვები მირონივით მხრებზე მაცხია და შენი ოდნავ სუსტი მკლავები უკანასკნელ გზას დამივარცხნიან.

 თბილისის სიო, თბილი დილა — თუჯის ქვაბივით ცხელი, აჭრილ რძესავით თეთრი და მწარე, რომელიც ისე იზიდავს მწერებს, რომ მათზე უნდა წერო და წერო და არ აუშვა კალმიდან ხელი. როცა თენდება და შავი ძაძის ფარდა იხსნება ქალაქში, სადაც ქარი ეძახის ვიღაც თურქ ადას, მე ვხედავ ისე მკვეთრად და ცხადად, რომ ეს ქალაქი — მრავალთა ძიძა — რომელიც მოგვავს მიხაკის ღეროს, იწყებს სიმღერას: ნარინჯისფერი მეეზოვეთა ჯადოსნურ ცოცხით, რომელიც ყინვის თილისმებს კოცნის. შენც, თითქოს, ამგვარ ხილვით ისჯები და უნდა დადგე და შენც იმღერო. ქალაქში, სადაც მოხუცის მუჭი ლიმონთა ყვითელ ცეცხლში იხრთობა, ქალაქში, სადაც მოხუცი ფიცრის ლანგრის ღრიტოში ქალადებს ჭმუჭნის და ზედ ბანანებს აწყობს და აწმყოში დააქვს თავის მარადისობის სხივი. ქალაქში, სადაც ქარსაც კი ვერ დააქვს მძიმე ქართული ტენო-რი, სადაც ხელი არსაკიძისა გადაადნეს და გაალითონეს. ქალაქში, სადაც უხვია ქინძი, კამა, ცერეცო და ისპანახი, სადაც არავის არ აქვს ნანახი ჭირი და ჭმუნვა დარისპანისა. ჭიამაიავ! პირი დარისკენ!

პური მოყვრისკენ, ხმალი მტრისაკენ, ქალაქში, სადაც ცაა კედარის, სადაც მტკვარს დააქვს თავის ცხედარი. გამოცხადება: დილა თუჯის ქვაბივით ცხელი, შედედებული რძესავით მწარე, რომელიც ისე იზიდავს მწერებს, რომ არ აუშვა კალმიდან ხელი, უნდა და უნდა დადგე და წერო...

ამაჰ

დღესაც დაასწრებ ყვილს მამლისას. ჩაიცვამ ტანზე ნარინჯისფერ ჟილეტს, მაისურს და ამოიცვამ მონაცრისფრო შარვალს და სანამ სახლიდან გახვალ, ჩემო ძვირფასო მამილო, გუშინ საღამოს დაჩეხილი ნაფოტებისგან შვილებისათვის ღუმლიდან ყვითელ მზეს ამოაგორებ. მე რე კი გახვალ. შემოდგომაა. სველ ასფალტზე ხმელი ფოთოლი ისე წევს, როგორც მოკლეული მტრის ჯარისკაცი. ჯერაც ბნელში გარინდული ლამპიონები შეკრთებიან შენი ხილვისას და მათ ქვეშ როცა მოექცევი, ისე ანათებ, როგორც დავინყებულნი ციციანთელა, გაზაფხულზე რომ შეენატრით ხოლმე. დავილი ნამიან ქუჩებს, საგულდაგულოდ მოასუფთავებ. ყინვას შენს თითებს შეაგებებ — ბავშვს სანუნ კანფეტს. და ჩაგეჭრება სხეულში რაღაც სისხლისგამყინავი ნუხილი. მე რე კი, როცა მამალი იყივლებს, შენს ამოყვანილ მზეს ცივი საძინებლიდან გამოქცეული შენი შვილები რომ მიუშვებენ მიშველ ზურგებს, ჩაიცვამენ და იმ ქუჩაზე ჩამოვივლიან, სადაც შენ დგახარ,

თვალს აარიდებ, თავს დაუხრი და გაიფიქრებ, წამით მხოლოდ, იქნებ, შერცხვეთო. ისინი კი ხმამალალი დაძახილით გამოიქცევიან და გაგრძნობინებენ

მადლიერებასა და სიამაყეს თითოეული დამსახურებული ლუკმისათვის. სად წავიღო ეს სიყვარული? რატომ არის, რომ მხოლოდ გულია მისი ადგილი? იქნებ, ძუძუში ჩამდგარიყო ხსენივით მაინც, გამოვავლოვდი სისხლის ნვეთებს დახეთქილი ძუძუსთავებიდან და გავთავისუფლდებოდი... იქნებ, საკვებივით შემძლებოდა მისი მონელება: — გადავყლაპავდი კარგად დაღეჭილი ლუკმასავით, ერთხელ, მეორედ, მესამედ და მივასევი ნანლაგურ ფლორას, რომ აღარაფერი არ დარჩენილიყო მისგან. იქნებ სხეულის რომელიმე ნაწილში სანარჩენე ბუნკერივით მოფუნქციონირე ორგანო გვქონოდა: გულის სახელურზე დავკიდებდით სანაგვე პარკებს, ჩავყრიდით გამტყდარი ჭიქასავით ბასრ სიყვარულის ნარჩენებს, ბანანივით გაფცქვნილი ტყუილების ქერქს, ჩვენს სიყვარულში შემოხეტებულ არამკითხეთა ლიმონივით მჭავე სიტყვებს და მაშინ, როცა ეს ნაგავი აყროლდებოდა, შეგავახსენებდა მის არსებობას, ავდგებოდით და ამ სანარჩენე ბუნკერში გადავუძახებდით. რა იქნებოდა, ლამით განასკვილი ნავის პარკით, რომელსაც დილას ხელს ვაყოლებთ ხოლმე, სიყვარულის გატანაც შეიძლებოდა გულიდან?

მშვიდად იყავი. მე მივდივარ. შენ ამ წამიდან არ დაილღები ჩემი ყოფით, სევდით. ასე რომ, უნდა შევძლო და სიცოცხლიდან დღესვე წავიდე და შენ თამამად გაგიღიმო და საარსებოდ ჩემი ლექსები დაგიტოვო. ცოტა ნიგნები — სარა კეინი, ენ სექსტონი, პლათი, ენჯელო, რომ ყოველ ჯერზე ჩემი სულის შეძლო მიგნება, სულში ხელები მიფათურო და ვერ იმსჯელო, როგორ გავძელი, ან შევძელი. ერთი ბენვია, თუ გზა იპოვე, სიმშვიდისკენ თუ სვლა დაიწყე, მე ჩემი შობა არავისთვის არ მიხვენნია და ახლა ისლა დამრჩენია, გულზე დავინყო ჩემი ფურცლები. დღიურები. ხმელი ცირცველი. მშვიდად იყავი. არ მოგიწევს ჩემი ტარება მხრებით და ისე მარტოსული გარდავიცვლები, ანგელოზებმა რომ მიტირონ და სატანებმა. მშვიდად იძინე. სასთუმალთან ჩემ წილ მტვერს ვტოვებ დარჩენილ დღეთა, დროებათა, წამთა... ასე რომ, სანამ ამ ღამეს ტოტებიდან ჩამოვემტვრევი და სანამ პირში სული მიდგას, სანამ ვარსებო. მშვიდად იყავი. მე მივდივარ. შენ ამ წამიდან მიხსნი კისრიდან, სინდისიდან. ერთი. ორი და მორჩება ჩემი ოცნლიანი მძიმე წამება და მე ყოველთვის შევეცდები, აღარ მოვიდე შენს ფრთხილ სიზმრებთან, ფრთხილ ტუჩებთან და ფრთხილ თვალებთან.



მურად მთვარელიძე

აღსარების ათი მცნება

დასაწყისი

ათი მცნება აქვს უძინარ ფიქრებს და ათივე შუალამის უფსკერო ქვევრში ანუ ჩემს გულში ისე ბობოქრობს, ლამისაა მაჭაროვით დაიდუღოს და გადმოხეთქოს გულის ქვევრის ყველა სარქველი, ყველა ძგიდე გამოანგრის, რომ იქცეს ჩემი უძილო ღამის თავსამკაულად და მე კი, როგორც ერთი ვინმე ძალადმაცხოვრე, თეთრ ღამეს ვებრძვი და თან იმედებს ვებლაუჭები, რომ შუალამის მზეში თვალი ვკიდო მაცხოვარს...

მცნება პირველი

მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარემე.

დაბეჯითებით მეუბნება და მეც მინდა, რომ დავიჯერო, რომ დავერწმუნო, რომ ვმორჩილყო ჩემი ფიქრი, ჩემი განცდა, ჩემი გულისთქმა ისე, როგორც სინას მთაზე დაემორჩილა პირველსავე აღქმას მოსე — ეს ენაბრგვნილი ნათელმხილველი, მოსე — ზღაპრიდან გადმოსული უფლის რჩეული. და მე ვინა ვარ?! ერთი მოგვი, ერთი წარმართი, სულ რომ მძვინვარებს ჩემს ძარღვებში ეს ბილნი სისხლის ანასხლეტი და მახსენებს ბაბილონის ხრიკს სანახებს, მენამული ზღვის მენამულ ცას და მოსეს კვერთხით განაპობილს მერე ისე ვუყურებ, როგორც ზღაპარს, თუ გნებავთ — სიზმარს... არადა, მინდა, დავიჯერო, რომ მართლა იყო ეს ყველაფერი, რომ მოსეს კვერთხი სასწაულებს მართლა ახდენდა, მაგრამ იმდენად ღრმადაა ჩემში წარმართის რწმენა, მოგვთა უმსგავსი ბუტბუტიდან — გულის ქვევრში სისხლის დულილის ბუტბუტამდე ისეთი დიდი უფსკრულია, მხოლოდ რწმენის ხიდილა იხსნის. ის თუ შეძლებს, რომ შეაერთოს, რომ შეარიგოს, შეამხანაგდეს ქრისტეს ნათელთან მოგვთა ცეცხლის გადამღერება. — მოგვი ვიყავი, მოგვი იყო ჩემი პერპერაც, — ვწერდი ერთხელ, იმ სისხლიან ღამეთა ფიქრებს როცა ვებრძოდი

და ძველ რწმენას ვანადგურებდი, რომ ვტოკავდი, რომ ვცახცახებდი, რომ ქარებსაც ვეტოლებოდი, რომ და ათასი „რომ“ რომ იყო იმ უძინარ ფიქრთა ღამეში და მერე თავად ქრისტე ღმერთი როცა ვიხილე, მზე შემოიჭრა ჩემი სისხლის იორდანეში.

მცნება მეორე

არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა, ქუეშე ქუეყანისა: არა თავყუანი სცე მათ, არცა მსახურებდე მათ.

ესეც კერპია, რასაც ახლა ვგრძნობ და განვიცდი ამ შუალამის უძინარ ფიქრთა გაგაიფებისას, ჩემი კერპი მყავს — უძილობა — ტანჯვის სავანე და საკუთარ თავს ახლა არა, მაგრამ თუმცა მთელი ცხოვრება ვუყურებდი ხოლმე გარედან ისე, როგორც კერპს და ჩემთვის თითქოს კერპი იყო მთელი სამყარო:

ვარსკვლავები, რომლებსაც მუდამ ვადარებდი ანთებულ სანთლებს, მთვარე, რომელსაც მიჯნურების კერპად ვსახავდი და უფრო მეტიც — კერპად ვიქციე მზის ამოსვლა, ცისკრის ციმციმი,

რადგანაც ვგრძნობდი, სწორედ ისინი მაძლევდნენ ძალას, ჩემი სულის შლეგი ვნება თუ ნაზი ჩურჩული მხოლოდ მათთვის გამემხილა, მათთვის მეამბო, თუ რას ვგრძნობდი,

რას განვიცდიდი... და ის პირველი სიყვარულიც მთვარეს გავანდე, მახსოვს, როგორც კერპს, სწორედ ისე დაუწოქე შუალამისას გაზაფხულის მოყვავილე ბაღის კიდედან და ვეჩურჩულე, ვეჩურჩულე, მას გავენდე, მას მივენდე და როგორც შეძლო, მანაც ისე მანუგეშა და გამამხნევა. და იმ ღამიდან ის იყო კერპი უმთავრესი ჩემი ფიქრების, მითუმეტეს — უძინარ ფიქრთა თავიგულების, რომლებიც მუდამ თან მომქონდა, როგორც სურნელი ჩემი ყმანვილურ სიმარტოვიდან... და არა მარტო მთვარე, მერე ყველა დანარჩენს ვუხრიდი ქედს მთელი ცხოვრება, მათ — ჩემი გულის, ჩემი ფიქრების, ჩემი დარდების, თუ უთქმელი სიხარულების უნაზეს კერპებს — მათ ვთავყვანებდი... ახლა კი ვდგავარ დამა ღამის უძინარ ფიქრებს ერთ კალაპოტს ვუძებნი მხოლოდ: იქნებ როგორმე მივცე გზა-კვალი და ფონადაც რომ დავუფინო შუალამის ნათლის სიზმარი, რომელიც ჯერაც არ მინახავს და რომელიც, ვიცი, უთუოდ დამესიზმრება.

მცნება მესამე

არა მოილო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამოსა ზედა.

არა, ვერ ვიტყვი, რომ დამეგმოს იგი ოდესმე, ჯვარი მწერია, არა, ამას ფიქრშიც კი ვერ დავუშვებდი, მაგრამ ერთ ღამეს, იმ ფიქრიან უძინარ ღამეს, როცა სხეული საკუთარი ნებითვე ვაცვი ძელზე, რომელიც თვით გამოვწოროკენ ჩემივე ცოდვათა უჯიშო ხიდან, ვუსაყვედურე და მერეც ხშირად ვსაყვედურობდი, როგორც კი რამე გულს მატკენდა, ან რაიმე სიძნელეს თუ ვერ გადავლახავდი, იმნამსვე მას ვსაყვედურობდი, თითქოს ჩემი ბრალი არ იყო ის, რაც იმ წუთში ჩემში, ანდა ჩემთან ხდებოდა... ამას კი ვგრძნობდი, მაგრამ, აბა, საკუთარ თავს ხომ არ გავამტყუნებდი და არც ისეთს რამეს ვიტყვოდი, რაც თავადვე გამამტყუნებდა. ჰოდა, სწორედ იმ წუთებში, ასეთი კი ბევრი იყო ჩემს ცხოვრებაში, გაზეპირებულ ფრაზებს ვამბობდი: — ო, ღმერთო, როგორ გამიმეტე, ო, ღმერთო, როგორ არ დამეხმარე... და იცვლებოდა მერე ტექსტი საყვედურების ათასი ფორმით. ვსაყვედურობდი ღმერთს, რომელსაც არ ვიცნობდი, გულში არ მყავდა, ასე ზერელედ გავყურებდი ამ ცოდვილი დედამინიდან ძე შეცთომილი, მე უღირსი და უსამართლო და არგუმენტად ვიმგვლიებოდი საყოველთაოდ ცნობილ აზრს, რომ უფლის ნებით ხდება ყოველი — ავიც და კარგიც. თითქოს მიშლიდა ვინმე, კარგი მეკეთებინა.

მცნება მეოთხე

მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა-ყავ იგი: ექუს დღე იქმოლე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი არს უფლისა ღვთისა შენისა.

არადა, სულ პირიქით იყო... ჩემი იყო მუდამ შაბათი... შაბათი ვნების, ქარიშხლების, ლხინისა და დროის ტარების, შაბათი გიჟი აღზევების, სულის ქროლვების... თუმცა კი ვგრძნობდი, მისი იყო და არა ჩემი, უფლის შაბათი... როგორ ვაქციე ვნების შაბათად, ცოდვის შაბათად, სისხლის შაბათად. ისე, ვითომც არაფერი არ მომხდარიყოს... დაღამებულზე, შაბათის ღამეს, ბედნიერი და დაქანცული სიამოვნების კასკადებით მივწვებოდი ბილნ საერცელზე და ვიხსენებდი იმ გიჟურ წუთებს, მთელი დღე რითაც თავს ვინონებდი, ამით ვტკებოდი, ამით ვხარობდი და ვოცნებობდი, რაც შეიძლება კიდევ მალე დამდგარიყო დღე შაბათისა, რომ გავმძლარიყავ სიბილწეთა მართონებზე როკვა-თამამით, რომ ბოლომდე გამომეცალა აბორგებული უხამსობის ყველა ფიალა,

რომლის მიღმაც მუდამ იდგა შაბათის ღამის ცოდვით სახვე შხამის სურნელი, რომელიც ცხვირში ძმრად მადენდა ყველა იმ ვნებას, რასაც შაბათს ვუკავშირებდი. ჩემო შაბათო, უხამსობის ნავსაყუდელო, სულ მეგონა რომ ჩემი იყავი და აი, მხოლოდ ახლა მივხვდი, ჩემი კი არა, უფლის ყოფილხარ!..

მცნება მესამე

პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქუეყანასა ზედა.

მიკვირს, აქამდე როგორ მოვედი... დღეგრძელი მქვია... იქნებ ეს მხოლოდ სასჯელია იმისათვის, როგორც ვიცხოვრე,

რომ ახლა მაინც დავინახო ყველა ის გზა — მრუდე და ბილნი, რომელიც მუდამ მაშორებდა საუფლო გზასთან. ვერა, ვერ ვეცი პატივი მამას, ნაჯაფარ ხელებს არ ვუკოცნიდი, ნაჯაფარ მხრებზე არასოდეს მივფერებოვარ და მის დაღლილ მკერდს და დაღლილ მკერდში ნკიპზე მფეთქავი გულისათვის ყური არასდროს მიმიგდია,

მკერდზე თავი არ მიმიდია და არ მითქვამს, რომ ამ გულის ფეთქვა მესმოდა... უფრო მეტიც, არასოდეს მესმოდა მისი და როს ნაღმა გზას მიჩვენებდა,

საპირისპირო გზას ვადგებოდი — მრუდეს, უკეთურს, ცოდვებით სახვეს, მისი გულის ფიქრისაგან გავგრობდი მუდამ... და არც დედის გულის ძგერა მესმოდა დიდად, თბილი სიტყვაც მენანებოდა მოხუცისთვის, რომლის გული, სული, სხეული ჩემს სიყვარულს დაატარებდა მთელი ცხოვრება და ვინ იცის, როგორ ელოდა, რომ მასაც ეგრძნო სიყვარული შვილისაგან, რომლის შობა, გაზრდა და აღზრდა უპირველესი იყო მისთვის და თავისი გულის მზეს მუდამ ჩემს თვალებში აკიაფებდა,

უფრო სწორად — ცდილობდა, ასე ყოფილიყო. მე კი თვალებში ღამის ბურუსს ვიფენდი მუდამ, რომ ეს შუქი არ დამენახა... უკეთური ძე ვიყავი... ძვირძველი, მიკვირს, აქამდე როგორ მოვედი, დღეგრძელი მქვია?!

მცნება მეექვსე

არა კაც-ჰკლა.

ო, რამდენი კაცი მომიკლავს არა დანით, არა თოფით, მაგრამ ეს რა შეღავათია? დაუფიქრებლად, ავი სიტყვით ან თუნდაც ისე, გულუბრყვილოდ ნასროლი ფრაზით, რამდენის გული განმიგმირია... არადა, მუდამ კარგად მახსოვდა: სიტყვით მოკვდება ადამიანი და სიტყვითვე ცხონდება იგი... მე კი ცხოვნების რა მოგახსენოთ, მაგრამ სიტყვით ყოველთვის ვკლავდი. ბრაზმორეული არ ვინდობდი არც შინაურს და არც გარეულს, მერე დაცლილი სიბრაზისგან მივიდიოდი და ჩემს გრძობებს გზას ვუკვალავდი სიამოვნების ოაზისისკენ ისე, ვითომცდა ჭიანჭველისთვის არასდროს დამეგდა ფეხი. არადა, ღმერთო, აღსარების მეექვსე მცნება, ალბათ, ყველაზე დამთრგუნველია იმ დანარჩენ ცოდვათა შორის, რომელიც ასე უხვადაა ჩემი ცხოვრების ოკეანეში.

მცნება მესამე

არა იმრუშო.

მთელი ცხოვრება მრუშობაა და რადგან ახლა ეს მრუშობაც ისე დამკვიდრდა ამ ცოდვით სახვე სამყაროში, რომ მრუშობად აღარ ითვლება, როცა სიყვარულს ჩაენაცვლა სექსი და გრძობის ალვირახსნილი თავისუფლება, უკვე აღარც კი მეჩვენება ქალისა და კაცის ლტოლვა უნამუსობად, უნდა გამოვტყდე, აღარა ვთვლი ამას მრუშობად. „იგი სხვააო“ — სიყვარულზე იტყვის რუსთველი, — და სიძვა სხვაა, შუა დიდი უზისო ზღვარი... მაგრამ ო, ღმერთო, ახლა წუთით რომ გაცოცხლდა და დაანახვა, რაც ირგვლივ ხდება, ალბათ, მეორედ მოკვდებოდა კაცი უკვდავი. ჩვენ კი ცოცხლები სულ ვმრუშობდით და ახლაც ვმრუშობთ, და მომავალშიც მუდამ ვიმრუშებთ, რადგან ვნებათა უღელტეხილზე ბევრს არ ძალუძს, საცალფეხო ბილიკიდან ვნების უფსკრულში არ ჩაიჩეხოს. ო, რა ღრმაა ვნების უფსკრული.

მცნება მარვა

არა იპარო.

არ იპაროო, — მეუბნება ეს მერვე მცნება,
 არადა მუდამ ვიპარავდი ყველა რაღაცას.
 მეც ვიპარავდი, პირველ რიგში, ალბათ სიყვარულს,
 ვპარავდი ყველას, მეკუთვნიოდა თუ არ მეკუთვნიოდა
 და კიდევ მახსოვს,
 პატარობისას მეზობლების ბაღებში
 როცა ალუბლები დამნიფდებოდა,
 როგორ მიყვარდა იქ შეპარვა და
 ბლის კუნწულებს არა მარტო შევექცეოდი,
 ყურებზედაც კი ვიკიდებდი,
 მერე უბნებშიც პერანგს ქვემოთ ვიყრიდი ხოლმე.
 გაუმადლობის ჟინით შეპყრობილს,
 მეგონა, რომ მიმყვებოდა ბლის ჭიშკრამდე
 დაყურებულ ალუბლების მთელი მარცვლები,
 მაგრამ როგორც კი გადავდგამდი ნაბიჯს, მაშინვე
 ჩემი პერანგის სიქათქათიდან
 ნითელი წვენი გამოჟონავდა,
 მე რომ მუდამ სისხლი მეგონა
 და დედაჩემის შეშოთებულ თვალებში ჩანდა
 ჯერ შიში, მერე კი სიბრაზე —
 ქურდი შვილის ნაქნარის გამო.
 ზოგჯერ წიგნებიც მომიპარავს,
 რაც მართალია, მართალია,
 ჩემს წიგნმრავალ წიგნთსაცავში
 მოპარული რამდენიმე წიგნიც აწყვია.
 სხვა არაფერი მაგონდება,
 თუმც ესეც კმარა და თუმცა ახლა
 აღარც წიგნებს და, მითუმეტეს, არც ალუბლებს
 აღარ ვიპარავ,
 რა ვქნა, ეს ჩვევა ვერ გადავაგდე,
 სიყვარულის ქურდი ვარ დღემდე.

მცნება მაცხრა

*არა ცილი-სწამო მოყუასსა შენსა ზედა
 ნამებთია ცრუთია.*

ლამეულ ფიქრებს, ამ უძინარ ფიქრებს კი ახსოვთ,
 რამდენჯერ მოყვასს ჩემსას გული ისე ვატკინე,
 ისე დავნამე, ისე ვცოდე, ისე ვამტკიცე ის, რაც
 ნამდვილად არ ყოფილა ისე და ისე...
 ისე დავნამე ცილი მაშინ, უკანაც კი არ მოვიხედე.
 და ახლა, როცა მოვიხედე უკან და ჩემმა
 ნამოქმედარმა სინანულის საბურველი ჩამომახია,
 ღამეულ ფიქრთა ჯვარცმის ჯვარზე
 ერთი მთავარი სამსჭვალავი ესეცაა და
 ისე მემსჭვალავის, ისე მიხვრეტს ხელის მტევნებს და
 ფეხის გულეებს,
 რომ ტანჯვა ჩემი ქარებსაც კი აღარ აკვირვებთ,
 რომლებიც მუდამ ბოხოქრობდნენ
 ღამეების იმ ჯურღმულეებში.


მცნება მათი

*არა გული ვითქმედეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა,
 არა გული ვითქმოდეს სახლისათვის მოყუასისა
 შენისა, არცა ყანისა მისისა,
 არცა კარაულისა მისისა,
 არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა,
 არცა ყოვლისა მისთვის,
 რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა.*

არადა, მუდამ ის სურვილები გვაცოცხლებდა,
 რაც მოყვასის სიყვარულს ვნებდა.
 გულის სიტყვებიც თითქმის მუდამ ასეთი მქონდა...
 და თუმც დასავით ვუყურებდი მოყვასთა ცოლებს
 და მათი სახლის სიკეთეც სულ მსიამოვნებდა,
 მაინც როდესაც იმათ ყანებს გადავხედავდი,
 ულამაზეს მინდვრის ყვავილთა
 სურნელებით დამშვენებულებს,
 სოსნებიან რილო-ჭრილოებს,
 მსურდა სულ მუდამ, იმ ყანების უებრო სურნელს
 ჩემს ნესტოებში შემოვლნია
 თითქოს ჩემს ყანებს არ სდიოდათ მსგავსი სურნელი.
 ხარბი იყო ეს ჟინატეხვა
 და ღამეულ ფიქრებში ახლა თუ რამ მაშფოთებს,
 უპირველესი ესეცაა —
 სხვისი ყანის სურნელების მითვისება,
 წამში შესრუტვა... ფერთა რიალში, ალმასივით
 ძვირფასი ნათლის ჩემი შავი ფიქრებით მორთვა.

დასასრული

და აი, ახლაც შუალამეა
 და ჩემი სულის ათი მცნების სულში შემოჭრის
 შლეგი ჟამი ისე მოიწევს
 ჩემი სულის დარბაზებისკენ,
 თითქოსდა სურდეს მოფერება,
 სინამდვილეში ყველა სიავე, რაც კი გულში
 ფიქრით და საქმით ჩამიდენია,
 ჩემს სასთუმალთან დახვავებულა
 და დაუნდობლად შემომბლავის ზე
 ამა სოფლიდან, მე კი
 ჩემი ათი მცნების ორივე ფიცარს
 გულში ვიხუტებ,
 რომ იქნებდა მოწყალეების კარი გაიღოს
 და ჩემს სენაკში შემომბრწყინდეს შუალამის მზე.



ბოკო ჭილაძე

 მინდა იქ, სადაც არასდროს
 ვყოფილვარ,
 შენთან ერთად შევიდე,
 როცა სიძულვილის უგრძესი ენა კისერზე
 დასახრჩობად შემომეხვევა,
 შენმა ზუსტმა და ტკბილმა სიტყვამ
 გაჭრას ყოველივე,
 გაჭრას სევდა
 და გაჭრას დარდი,
 რომ კვლავაც სიხალისი ჟრჟოლამ
 ამიტანოს ასე გამბედავი
 და ასე უნდო,
 მინდა შენს ყელზე აშრილდნენ
 ჩვენი დღეები,
 ვერშემდგარი, ვერჩასახული
 რა ხანია,
 მთელ ტანს
 მიფარავს,
 ძალა იყავ ჩემი და შენი,
 რითაც გამძიმებ,
 რითაც ვმძიმდები,
 იქნებ ოდესმე სიყვარულზე
 მსუბუქიც იყოს.




 რამ დაკანრა ჩემი გონება,
 რამ დაკანრა ჩემი სული,
 ბედნიერების თვითპროდუქცია,
 გამოსადეგი და ხელსაყრელი,
 მაგრამ მაინც თვითპროდუქცია,
 „თვით, თვით, თვით, —
 თვით, თვით, თვით“
 შელოცვასავით უნდა აღედგეს
 მათ გულეებში მოუშლელიობა,
 ისევე სჯერათ, ბედნიერების
 შელახული ტყუპი ზედაპირზე
 ამოცურდება,
 შეეშვი მანდ ძრომიალს,
 ქარის უსწრაფესად უნდა დაილუპო,
 ქარის უსწრაფესად უნდა გაშიშვლდე,
 რადგან დაკანრეს, რაც დასასერი
 თითქოს არ ჩანდა,
 რადგან ნაგართვეს, რაც ნაღდად
 გქონდა,
 ორივე თვალთ იმავს ვხედავ
 და ვეგუები,
 შენით შექმნას და, მითუმეტეს,
 შენში შექმნას, ნუ შეეცდები,
 ეს იგივეა, კუდი დაუშვა
 და არ გჯეროდეს;

სხვა ინილადებს შენს სიგიჟეს და
 გიჟურჩულებს,
 „მე ყველაზე ტკბილ სიზმარში ვარ“.

 ქურები მექცნენ უარყოფის მოწმეებად
 და არ იმჩნევენ,
 ყოველ ჯერზე „მე“ იგივე ვარ,
 „შენ“ — იცვლები,
 მარტო კი ამ ტურს
 ვერ გავივლი
 და სამყარო ისევე და ისევე
 ჩემს ერთ ოთახად მომეჩვენება,
 ისეთი ძალით გამოიქეცი,
 ნაქცევა და დაჭერაც შეეძლო,
 ტორსზე მომეკარი,
 ზურგი შემიკარი
 შენი კიდურებით
 და ორ დიდ ნულში,
 ორ დიდ ტყუილში
 იმდენ ხანს მიყურე,
 სანამ ტირილით არ დავინმინდები,
 მაინც იცოდე, ჩემი აღარ დაიჯერება,
 ახლოს როცა ვარ,
 ხანდახან ვთრთოლავ,
 როცა შევხვდებით და
 ხეებიც მხიარულად იშრილებენ,
 შესაბრალებლად არ ექნებათ
 ერთი მიზეზი,
 შენი შეხება, რაც შევექმენი,
 იმას დალუნავს,
 ეს ის ციხეა,
 შიგნიდან რომ ველარ გატყდება,
 ეს ის ციხეა,
 შიგნით ბიჭი რომ იმალება,
 აზრზე სწრაფად,
 შენ თუ აქ ხარ,
 ქარზე სწრაფად,
 შენ თუ აქ ხარ,
 ორ დიდ ნულში,
 შენ თუ არ ხარ,
 ორ ტყუილში,
 შენ თუ არ ხარ,
 ვიბადები,
 შენ თუ აქ ხარ,
 აღარ ვღელავ,
 შენ თუ აქ ხარ,
 ვიბადები,
 შენ თუ აქ ხარ,
 არსად ვქრები,
 შენ თუ აქ ხარ.

 რამდენჯერ ქარი,
 რამდენჯერ სიო,
 გაიშრილებს კისერთან ახლოს,
 რამდენჯერ შენი ბედნიერება,
 რამდენჯერ შენი ღამაზი თვალი,
 ამოდრავებს ცაზე სხვის დარდებს
 და გადაფანტავს დაუნანებლად,
 ჯერ რაც ვიხილეთ, ვერ დაგვაბრმავეს,
 ჯერ რაც გვაშინებს, ვერ მოგვერევა,
 და თუ დრო დადგა,
 დიდზე დიდი,
 შლეგზე შლეგი
 ჩემში „შენი“
 შენში „ჩემი“
 გამოვლიძების,
 ჩვენი ნებით არ მოვდუნდებით,
 ჩვენი ნებით არ დავიძინებთ.

 მოდი, პოეზია შევეშვათ იქ,
 სადაც მისი ადგილი არაა,
 მოდი, გავაჩეროთ იმ კაცის ხელი,
 რომელიდაც სართულზე
 დაუღალავად რომ მუშაობს,
 მოდი, დაეახლოთ ყველა ხმა,
 ყველა ნული, ყველა ზუზუნი
 და მოვუსმინოთ პოეზიას,
 ცხელ ასფალტზე მოსეირნეს,
 მოდი, გავხსნათ ფანჯარა,
 მოდი, გავხსნათ კარი
 და აივნიდან შემოპარულ
 სიცხადეს მშვიდად შევეგებოთ,
 შენს მარტოობას ვერ გაყიდი,
 მხიარულებას ვერ აიფარებ,
 ისევე მჯერა,
 საღამოს მოვარდნილ ქაოსს
 არ ჰქვია ქარი,
 დიდი ქალის გრძელი სუნთქვაა
 დიდი ფილტვებით, დიდი პირიდან,
 მოდი, პოეზია შევეშვათ იქ,
 სადაც არის მისი ადგილი,
 მწუხარებაში.



თამარ ბარბაქაძე

უახლესი მეტაპოეტური ნიბნაზი

სიტყვიერი ხელოვნების წარმოშობა, პოეზიის აუცილებლობა კატეგორიული მოთხოვნის შესრულების პირობას გულისხმობს: „სალიტერატურო ენა განსხვავდებოდა საყველპურო ენისაგან, ხოლო მხატვრული მიზანი — სინამდვილის ასახვა ენის მეშვეობით, ინფორმაციული ასახვისაგან“. პოეტის დანიშნულება, ფუნქცია — ეროვნული ენის წიაღში და მისი მეშვეობით მუდმივად შეინარჩუნოს შემოქმედის, მქმნელის, გარდასახვის უნარი — უცვლელი დარჩა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში; თუმცა ცნობილია, რომ „პოეზიის წარმოქმნა ეროვნული ენობრივი ტრადიციის საფუძველზე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია... ამჟამად ორივე თეორია — „ენასთან ბრძოლის“ თეორიაც და ბუნებრივი ენის მიმართ პოეზიის თვისებრივი სხვაობის უარყოფის თეორიაც — მეცნიერების ადრინდელი ეტაპის გარდაუვალი უკიდურესობად ითვლება“.

ამგვარი განმარტება აუცილებლად მივიჩნევ ბესიკ ხარანაულის შემოქმედებაზე საუბრის დაწყების წინ. პოეტი განსაკუთრებით ზრუნავს მშობლიური ენის მეშვეობით, პიროვნულის, აუცილებლად სათქმელის, ასამეტყველებლად. ფიქრისა და ემოციის გამოსახატავად ყველაზე მეტად თავის მშობლიურ კუთხეს: ფშვსა და ხევსურეთს, ივრისპირის ქართულს ეყრდნობა: „არაა საკვირველი! ამ კუთხეში მხოლოდ პოეზიის ენით მეტყველებენ, რამაც ენას მხატვრულობა და ლაქონიურობა შესძინა, ხალხი კი შეინარა. არაა საკვირველი: როცა ადამიანები პოეზიის მიხედვით ცხოვრობენ“. ამ ნიგნშივე: „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი, ანუ ნიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ — მსჯელობს ბესიკ ხარანაული მეცნიერებისა და პოეზიის უშორესი და უძველესი წინაპრების შესახებ: მეცნიერების შესაძლო მამამთავრად თუ აბელს მივიჩნევთ, ხოლო კაენს — პოეზიის მამად, მაშინ პოეზიის არსის გაგება ასეც შეიძლება: „პოეზია დაუღლე-ლია, ცოდვა არ ასვენებს, დაძრის, დაეძებს... მაინც კი ზემოდან დასცქერის მეცნიერებას პოეზია, მისი მონაპოვარი თავისი ჰგონია“. აქვე ბესიკ ხარანაული გვთავაზობს ამონარიდს ნიგნიდან: „ლექსიკონი უნცრუათ ლეკოს ძისა“. ლექსო ჭინჭარაულის, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, ლექსიკოლოგის, მიერ შედგენილი 25 000-სიტყვიანი ლექსიკონი პოეტს „ძეგლად“ მიუჩნევია. „ძეგლი“ კი მთიეთა მეტყველებაში ერთგვარი თვითგასამართლება იყო, რაიმე დანაშაულის, ცოდვის გამოსასყიდად ხატისათვის აღთქმული შესანიშნავი. ბესიკ ხარანაული მიიჩნევს, რომ „ლექსიკონი, ეს ენა, ეს სიტყვა, ეს პოეზია, ეს ხალხი... თავისია და სხვა არავისი, ამიტომაც პოეტიკა და ენათმეცნიერება — ჰიპერბოლებისა და სინამდვილის მსახურიც: ცოდვის ხსოვნაც და შრომაც ვალად ადევს თანამედროვე პოეტს“.

ბესიკ ხარანაულის პოეტური ლექსიკონიდან ამჯერად მხოლოდ ორ სიტყვაზე გავამახვილებ ყურადღებას. ერთი სულ

ახალი ლექსიდანაა: „თორემ გაიცისამგვანა“: „საქართველო დაიცალა, / სისხლისაგან, ტანისაგან, / ცარიელში მხოლოდ ქარი / ზუზუნებს სატანისაგან. / საქართველო დაიცალა, / ქალისაგან, კაცისაგან, / ცარიელში მხოლოდ ქარი / ზუზუნებს სატანისაგან... მოცნებებ საქართველო მხოლოდ გაიცისამგვანა... მიუზრუნდით საქართველოს / თორემ გაიცისამგვანა“. 2022 წლის 25 ივლისს გამოქვეყნებულმა, ამ ტრადიციული, მშობლიური შაირით (დაბალი და მაღალი შაირი შერეულია მასში, 2/6 სქემა კი ბოლოს გაფრთხილებად გაისმის) დაწერილმა ლექსმა, დღემდე უცნობი, გაკომპოზიტირებული, სამგზის გამეორებული ზმნით, საქართველოს სინამდვილე პოეტის წვლებით, ტანჯვით მოპოვებული ჰიპერბოლით: „გაიცისამგვანა“ — წარმოუდგინა მკითხველს.

ბესიკ ხარანაული თანამედროვე ქართული პოეზიის რეფორმატორია. XX საუკუნის II ნახევრიდან, 60-იანი წლებიდან მოკიდებული, მას დღემდე არ შეუწყვეტია აქტიური ძიება საკუთარი სულისა და გონების პოეტური ფორმულირებისათვის. იგი, თითქმის ყველა ეტაპზე, თეორეტიკოსიც არის თავისი შემოქმედებისა და თამამი ექსპერიმენტატორიც. არასოდეს ერიდება ახლებურად თქმის საშუალებას, თუნდაც ქართული ვერლიბრის კლასიკოსს ტრადიციული, ქართული კლასიკური ლექსის რითმისა და საზომების მკაცრი ჩარჩოები დასჭირდეს. არც იმას უფრთხის, ლექსის წერა ლოცვად რომ მოიხსენიოს, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, პაოლო იაშვილისა და სხვათა მსგავსად.

ბესიკ ხარანაული სულიერ თავშესაფარს ეძებს და პოულობს კლასიკური ქართული, კონვენციური ლექსის ჩარჩოებშიც, თუმცა მისი ვერლიბრი თუ მეტაპოეტური ჩანაწერები, განსჯანი, ასევე, საუკეთესოდ გადმოსცემს ჩვენი თანამედროვე ბრძენისა და „მათქვამის“, მესიტყვის განცდილსა და ნააზრევს. მაგალითად, მშობლიური დიალექტიდან გაცოცხლებული სიტყვა „ფატარი“. ბესიკ ხარანაული განმარტავს, „ფატარი მომზრალი ფეხების ქავილს ნიშნავს ჩვენი დიალექტზე“. პოეტი იგონებს: „ბებო აფრთხილებდა ბავშვობაში, რომ მომზრალი ტერფები „ცეცხლისთვის არ მიეფიცებინა: „მომზრალს რომ უცებ ცხელი მოხვდება, უარესია!“ და აი, განსჯა ამ სიტყვით, „ფატარი“, გამონეული უსიამოვნების არსისა: „და, მრავალი წლის შემდეგ, როგორც იქნა მოპოვებული კმაყოფილება გადაიქცევა უსიამოვნებად, და, დაიწყებ მიზეზების გახსენებას, მიზეზთ-მიზეზების, და ნახვალ სამოციასკენ, ორმოცდაათისკენ, ორმოცისკენ, ოცდაათისკენ, ოცისკენ, თოთხმეტი-თხუთმეტისკენ, რვა-ათისკენ, შობისკენ, სასუფევლისკენ, რომ უკუიქცევა კვლავ დედამიწისკენ, შენი აქამდემშობობის სახლამდე“.

ახლა ხომ ხვდებით ჩემს მდგომარეობას? გახსენებმა, სხვა და სხვა მიზეზითაც, სიმსუბუქე იცინა, ფრთები აქვთ და არსად

გაფრენა არ ეზარებათ, და, — სადაც კანჭს მოიკიდებენ, იქ რაღაც განძია ადამიანისათვის. ყინვა და შიმშილი, ტანჯვა და წვალეა რომ არა, ამდენი ანგელოზი არ მიატოვებდა ჩვენს დედამიწას“.

ამ ტექსტს შინაგან რიტმს, პოეტურობას, ანიჭებს სამგზის გამეორებული და კავშირი, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფების მე-4 ტაქტის წინ დართული „და“ და პოემაში გამოხატული სიხარულის მეტაფორა: „...ცამცა გაიდარბაზესა“ გვახსენდება; მერე კი „გაიცისამგვანას“ შორს მიმავალი ტკივილის ახსნაში გვეხმარება პოეტი და მეცნიერი: ქართველი ემიგრანტების მიერ ამჟამად მოპოვებული კმაყოფილება სამომავლოდ გადაიქცევა უსიამოვნებად და დაიწყება მიზეზების გახსენება: „ფატარი“ და „გაიცისამგვანა“ — ხორციელი კმაყოფილება და სულიერი უსიამოვნება, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ბედნიერების საპირისპიროდ; ადამიანებისაგან და ცლილი საქართველო და მხოლოდ ზეცისაკენ, წარსულისაკენ მზერა სანუგეშო ვერ იქნება... ბესიკ ხარანაულის პოეზიას „სიბრძნის ერთი დარგის“ თვისება გამორჩეულ ელვარებას ანიჭებს: ტროპული, სინტაქსური ფიგურები მკითხველის გონებრივ თვალსანიერს აფართოებს და ახალ ცოდნას, სამყაროს მხატვრულ-სახეობრივ შემეცნებად გადაიქცევა: პოეზია მატერიალურის (ოქროს, ალმასის), ფიზიკურის არსებობის ფორმისა და მოძრაობის ამქვეყნიური გამოხატვის (სიჩქარე, მასა, მოცულობა) ყველაზე მარჯვე ხერხია, საშუალებაა. თქმის ხელოვნების, მესიტყვის საქმეს კი შემფასებელთა მოწონება-დანუნება ვერაფერს დააკლებს.

*პოეზია მიგნიდან შედის გარეთა ფორმაში, პოეზია გარედან არ შედის ფორმაში...
...
პოეზიას ერთი ნაბიჯით რომ გაცდებდა, ყველაფერი სხვადასხვაა და არც ერთი არაა ქვეშარიტი. ნამი თუ არ დაიგემოვნე, ნუთი დაგახრჩობს და დღეს რაღას უზამ?*

„აი, მესიტყვის ლოცვა“ პოეტის მთავარი ამოცანაა პოეზიის ერთგულება: სოციალური თუ ყოფითი პრობლემები კი არა, თვით სიტყვის ესთეტიკის საკითხებზე მსჯელობაც კი, შესაძლოა, დამლუპველი აღმოჩნდეს მესიტყვისათვის: ბესიკ ხარანაულის ამ ვერლიბრისათვის აუცილებელი გრამატიკული პარალელიზმები ერთდროულად ცოდნასაც გვაზიარებს და ესთეტიკურ სიამოვნებასაც გვანიჭებს. თუ შემოქმედებითი გზის დასაწყისში ბესიკ ხარანაული პოეზიისათვის გრძობის, ემოციის უპირატესობას მიანიშნებდა: „ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზე!“ XXI საუკუნის 20-იან წლებში პოეტი თავის მრწამსს ასე აყალიბებს: „ნაცარზე დაწერ თუ ფურცელზე, / სულ ერთია, ფიქრს იგერიებ, წერა არის მოგერიება“, „ადამიანი: ხომ არა ვარ მეც ისეთივე“. ნაწერი კი, ბესიკ ხარანაულის



აზრით, „სინათლის ხაზია შენ მიერ შეთხზულ ქაოსში“ („თარგმანი ამერიკულიდან. მეტაპოეტური ნაწერი“. იური ტინიანოვი აღნიშნავდა: „ყოფა მიემართება ლიტერატურას, პირველ ყოვლისა, თავისი ენობრივი სპეციფიკით...“ ბესიკ ხარანაული „მეტაპოეტურ ნაწერში (თარგმანი ამერიკულიდან)“ ზუსტად განსაზღვრავს თავის ენობრივ პოზიციას: „მკითხველს თავისი ენით უნდა ელაპარაკო, არა შენითა!“

ბესიკ ხარანაულის მეტალიტერატურული, მეტაპოეტური ტექსტები საუკეთესო საშუალებაა მკვლევრებისა და მკითხველისათვის არა მარტო ავტორის, არამედ, საზოგადოდ, ქართული პოეზიის ანმეოსა და მომავლის, მისი მიზნისა თუ ფუნქციის გასარკვევად. ბესიკ ხარანაულის პოსტმოდერნიზმულ მეტაპოეზიაში, როგორც მოსალოდნელია, პოსტმოდერნიზტული მსოფლალქმისათვის: „მოვლენები აღარ ვითარდება ღმერთის ან ბუნების მიერ დადგენილი, ტრადიციული წესით“. პოეტი თვითონ გვთავაზობს მოდელირებულ სინამდვილის ამბავს, თუ როგორ მოხდა „პოეზიის დაკრძალვა ქართულ სივრცეში“. აგრესიული, ძალადობრივი რეალობა, პანდემიური შიშისთვის მუშტმოდერებული დრო, უგუმბათო ტაძრის მეტაფორით შენიღბული პოეზია თავის მსახურთა რიცხვს უსასრულოდ ამცირებს: უშნეო, უილაფო, უთავშესაფრო პოეტი ვერც ღვთის საიდუმლოს შეიმეცნებს და ვერც ვერავის ანუგეშებს სამყაროს კანონზომიერების აუცილებლობით; ამ აზრის, ფიქრის გადმოსაცემად მეტაპოეტური ტექსტი, შესაბამისად, ვერც მხოლოდ ტრადიციულ სალექსო პარამეტრებს (საზომს, სტროფს, რითმას) შეაფარებს თავს და ვერც ფონიკას, ბგერათა კეთილზომიერებას დაეყრდნობა; თუმცა „შ“ ბგერის ალიტერირებით მაინც ჩნდება განწყობა-განცდა შიშისა, „პოეზიის დაკრძალვამ“ რომ უნდა გამოიწვიოს:

*და გაინაბნენ დედამიწის მამუნებლები, შიმშა დაუარათ, რომ სიმცირე იხილეს თავისი:
...
— რაღას ვაშენებდით, თუ გუმბათი არ გვექნებოდა?!
„პოეზიის დაკრძალვა ქართულ სივრცეში“*

ბესიკ ხარანაულის პოსტმოდერნული ეპოქის მეტატექსტები, ზოდრიარის თეორიის მსგავსად, სინამდვილის წინმსწრები, სიმულაკრული მოვლენებია. „პოსტინდუსტრიული საზოგადოების“ (მომხმარებელთა, მედიასაზოგადოება, ინფორმაციული, მაღალტექნოლოგიური, ელექტრონული) პოეზიის „გარდაცვალებისა“ და პოეტის „მშენებლის“, უფუნქციობის აღსარებად უნდა მივიჩნიოთ ბესიკ ხარანაულის ეს სიტყვები: „კომპიუტერი უნდა გვეცვათ, გვეხუროს, ჩვენთან დადიოდეს, ჩვენით სუნთქავდეს. ის უნდა იყოს შეერთებული ჩვენი სხეულის ენერგიაზე, ჩვენს აზრზე და ტვინის სკაზე — შესაძლოა, სულიც ვიხილოთ. იქნებ აზრი ჰქაერში უნდა იკრებებოდეს და არა ფურცელზე? იქნება უნდა დაფრინავდეს და არა იდოს?“

მომეცით მე საშუალება და სულს აღმოვაჩინე!

...და მაინც: პოეტი არის მახარებელიც და მხსნელიც, არქიტექტორიც და მშენებელიც, სიტყვის მადიებელიც და თავის ტექსტებში მისი შემხახავიც, ამიტომ ბესიკ ხარანაულის XXI ს. მეტატექსტები, მეტაპოეტური ნაწარმები, თუნდაც ლექსით არ იყოს წარმოდგენილი, პოეზიაა. „უნდა მიჰყვე პოეზიას — სრულიად და, ლექსს — რამდენადმე“, — აღნიშნავს ბესიკ ხარანაული, რომლის ტექსტების სტრუქტურას პარალელური პრინციპი განაპირობებს. „პოეზიის სტრუქტურა უწყვეტ პარალელიზმს ემყარება, ებრუნება პოეზიის პარალელიზმს, მებრუნება და საეკლესიო მუსიკის ანტიფონებით დანწყებული, ბერძნული, იტალიური თუ ინგლისური ლექსის ურთულესი ხვეულებით დამთავრებული. მაგრამ პარალელიზმი აუცილებლად ორგანოა: ისეთი, რომელშიც დაპირისპირება მკვეთრად არის გამოკვეთილი (ლექსის სტრუქტურა: რიტმი — მარცვალთა გარკვეული თანმიმდევრობით გამეორება, საზომი — რიტმის გარკვეული თანმიმდევრობით გამეორება; ალიტერაცია, ასონანსები, რითმები), დაპირისპირება უფრო გარდამავალია, ანუ, ასე ვთქვათ, ქრომატიულია“. რომან იაკობსონი თავის ცნობილ ნაშრომში „ლინგვისტიკა და პოეტიკა“, რომლის შესანიშნავი თარგმანი ქართულად ირაკლი კენჭოშვილს ეკუთვნის, იბრუნებს ჰოპკინსის განსაზღვრებას: „უეტაპო კომპოზიციას“ (ვერსელეს ცომპოზიციონ), ანუ ნაბატვრული სიტყვიერების პროზაულ ნაონსახეობას, რომელიც პოეტიკურად უფრო რთული და პრობლემურია. საუბარია გარდამავალ უბანზე წმინდა პოეტურ და წმინდა რეფერენტულ ენას შორის. ვლადიმერ მაიაკოვსკის აზრით, პოეტურობა არის არა მეტყველების შევსება რიტორიული სამკაულებით, არამედ მეტყველებისა და მისი ყველა კომპონენტის სრული გადაფასება. „პოეზია ერთგვარი ენაა“ (რანსომი), ამიტომ ბესიკ ხარანაულის ენაც ერთდროულად უნდა იკვლიონ ლინგვისტებმაც და პოეტის სპეციალიტეტებმაც.

ბესიკ ხარანაულმა „პროზისა და პოეზიის პირსახეობა“ უწოდა იმ ნოვაციურ, ალტერნატიულ ჟანრს, რომელიც XXI საუკუნის 10-20-იანი წლებიდან, რამდენიმე კრებულის მეშვეობით, დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში.

ბესიკ ხარანაული თავის მეტაპოეტურ კრებულებში („კო, ბესარიონ“ — 2020, „ბოლომემართული შაში გრძობას ვერ აგნებს“ — 2020, „დიდი სმა“ — 2019 და სხვა) უახლესი, კრიზისული პერიოდის, არა მხოლოდ პანდემიით გამოწვეულ, ადამიანის სულის მოძრაობაზე, ეროვნულ ტკივილზე, იცნების ქროლაზე საუბრობს საკუთარ თავსა და მკითხველთან.

„მეტაპოეტურ ნაწარს“ ბესიკ ხარანაულმა „თარგმანი ამერიკულიდან“ დაარქვა და ამ სათაურით დაბეჭდა 2014 წელს ჟურნალ „არილის“ პირველ ნომერში. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ „მეტაპოეტურ ნაწარს“ „მეტაპოეტური მკითხველიც“ სჭირდება, რომელიც პოეზიისათვის აუცილებელ პარალელიზმებს უხვად დაძვინის თავისი მესიტყვისა და ამერიკული თუ ქართული მხატვრული ტექსტების შედარებისას.

„თარგმანი ამერიკულიდან“ პოსტმოდერნისტული მწერლობისათვის დამახასიათებელ ინტრიგას აღვივებს და ამერიკელი პოეტების ნაცნობი შედევრების გასხენებას იწყებს: შეიძლება, რობერტ ფროსტის „თოვლი“ მოგაგონდეს, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში თარგმნა გიორ-

გი ნიშნიანიძემ. სწორედ ამ თარგმანით მასოვს დღემდე ბატონი მეზერვი და თოვლი — სიმართლე, ჭეშმარიტება, გადამალული სულის ბრწყინვა. ბესიკ ხარანაულის გაფრთხილება: „სული თეთრი ხბოსავით უნდა შეინახო. არ უნდა გადახადო, ხალხს არ უნდა დაანახვო, იმ წუთში თვალის გუგებში წამოიღებენ შხამიან ისრებს“.

„ცხოვრებას ჩვენსას გავემართლებთ იმდენად, საგნებს ჩვენ რამდენადაც ვუპასუხებთ გულის სიღრმიდან. თავისი ხიბლი ახლავს ყველა განმეორებას. თავად არ იძვრის ეგ ფურცელი — სიოს ბიძგს ელის“ ... „თოვლი“

რობერტ ფროსტის (1874-1963) სახელს ხშირად ასე მოიხსენიებენ: „ფროსტი — ეს „ამერიკაა!“ XXI საუკუნის 20-იანი წლების ქართველი მკითხველიც ფიქრობს: „ბესიკ ხარანაული — ეს საქართველოა!“ ბესიკ ხარანაულის მეტაპოეტური ჩანაწერის კითხვა პარალელს ბუნებრივად მოგაძებნინებს „მადლის კაცებს“ შორის, რომელთაც „კი არ უნდა უყურებდე, უნდა უსმინდე“ (ფროსტი, „თოვლი“).

მეტაპოეტური ჩანაწერებით, ბესიკ ხარანაული ალტერნატიული პოეტიკის საფუძველს ქმნის. „პროზისა და პოეზიის პირსახეობა“ ნაირსახეობაა XXI საუკუნის სინამდვილეში აღორძინებული „გარდამავალი ჟანრისა“ — „ლექსი პროზად“. იგი, როგორც ცნობილია, ეყრდნობა არა ნარატივს, არამედ სუბიექტურ-შეფასებით ასპექტს. ჟანრის თეორიის ცნობილი მკვლევარი, ნორტონ ფრაი, აღნიშნავს, რომ ლექსის ფორმა გავლენას ახდენს სემანტიკურ სტრუქტურაზე, შთანთქავს მნიშვნელობას. ანდრეი ბელის აზრით კი, რიტმი მიჩნეულია ფაქტად, რომელიც წინ უსწრებს „სიტყვიერი შერჩევის“ მომენტს. ანდრეი ბელი რიტმს ეძებს როგორც ლექსში, ისე პროზაში და ამით ანგრევს მათს ჟანრულ ბუნებას.

პროზისა და პოეზიის ჟანრული სპეციფიკის უარყოფით, ბესიკ ხარანაული ქმნის ინოვაციურ, ახლებურ მეტატექსტებს.

ამ პოსტმოდერნისტული, ტრაგიკული ირონიულობით ხაზგასმულ, ზოგჯერ უცენზურო, ეპატაჟურ ტექსტებში სემანტიკა და რიტმი ერთიანდება აზრის თავისუფალი, სრულყოფილი, შეუზღუდავი გამოხატვის პრინციპით. ავტორი ბოლომდე თავისუფალია თვითგამოხატვისას. ტრადიციული ჟანრული შეზღუდვები პროზისა თუ პოეზიის, მით უფრო, ლექსისა, მოხსნილია.

საგულისხმოა, რომ გალაკტიონის პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“ ერთმანეთს უპირისპირდება ლექსი და პროზა კი არა, არამედ: ლირიკა და პროზა: გამოსახვის ფორმისა და საშუალებების ნაცვლად, მხატვრული სინამდვილის წარმოჩენის განსხვავებული პოზიციის ავტორისა, პოეტისა, რომელიც ახსტრაქციის უნარითა და რწმენით, სამყაროს გრძობისმიერი აზროვნებით ათვისებული სურათით უფრო ღრმია, ვიდრე პროზა.

ბესიკ ხარანაულის მეტაპოეტურ ტექსტში „ნიგინი ამბა ბესარიონისა“ ვკითხულობთ: „რაც სასარგებლოა, არს პოეტიკოსათვის“, ის საზიანოა პოეტისათვის“. ამ ნიგინის 79-ე თავში ბესიკ ხარანაული მსჯელობს პოეზიის საყრდენზე — გულზე:

„სადაც სახლობს სუყველა გრძობა“ ... ბესიკ ხარანაულის „პანდემიის დროის სიმღერები“ და „პანდემიის დროის ფრაგმენტები“ „არამხატვრული სივრცის“ პოეზიით დამარცხების, მისი ათვისების ახალი ფორმაა, მომავალი „გზის პოემები“. პოეტმა მსოფლიო, პანდემიისამოვლილი კაცობრიობის სულიერი კრიზისისა და შფოთვის დაძლევის საშუალებად ამბისა და ემოციის, ნარატივისა და „განფრდილი (მეშინებელი) სულის“, პროზისა და ლირიკის გამთლიანების აუცილებლობა აღიარა.

ბესიკ ხარანაულის ნოვაციური მეტატექსტების პოეტიკური ტრადიცია XIX საუკუნის ორიგინალური თუ თარგმნილი პოეზიისა (ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკა, ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის თხზულებების) და გალაკტიონის ლირიკულ პოემისა („საუბარი ლირიკის შესახებ“) და, საზოგადოდ, უმდიდრესი ქართული პოეზიის (ხალხურსა თუ სალიტერატურო ლექსში) წიაღში არის საძირკველი.

ალექსიკა, რაჭულად — ალექსიკა. არავის არაფერს უშავებდა. თითქმის არ ლაპარაკობდა, მხოლოდ ილიმდა ხოლმე — სულ ილიმდა. დილაუთენია შემოიცვამდა ხაკისფერ, გაცრეცილ „ტელეგრეიკას“, თავზე „უშანკა“ ქუდს ჩამოფხატავდა და გზის პირას, სოფლის სანახშოზე პირველი გამოცხადდებოდა ხოლმე. შილიფად ჩაქვილიც მასსოვს, მაგრამ მესხიერებას რატომღაც ასეთი ალექსიკა შემორჩა. ნელ-ნელა გროვდებოდნენ უბნელები: ვინ რაიონში მიმავალ ავტობუსს ელოდებოდა, ვინ ბავშვებს აცილებდა სკოლაში, ვინ საქონელს მიერეკებოდა საძოვარზე, ვის საფეხველი მიჰქონდა წისქვილში და ცოტახნით აქ უნდა დაესვენა... ალექსიკა განაპირას იდგა, ჯიბეებში ხელბეჩანყობილი შორეთს გასცქეროდა და ილიმდა.

ბებომ მიაბნო: — შეხედული და ნიჭიერი ბავშვი ყოფილა ალექსიკა, თბილი და ბეჯითი. 14 წლისა იქნებოდა თურმე, სტუმრად სხვა სოფელში მყოფი, ღამით ვილაცას შეუშინებია.



შიში ისეთი მძაფრი და ძლიერი ყოფილა, გონება არევია. ვერ უშველია მკურნალობას. გონებამ განვითარება შეწყვიტა და ასე ჩარჩენილა ბავშვობაში.

ჩემს ცნობიერებაში უკვე ასაკოვანი შემოვიდა. ძმა ჰყავდა, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად ქალაქში ცხოვრობდა. ყოველ შაბათ-კვირას ამოდიდოდნენ სოფელში. მთელი კვირის სანოვაცეს ამოუტანდნენ, სახლს დაულავებდნენ, სარეცხს გაურეცხავდნენ. ემუდარებოდნენ, ნაკყოლოდა ქალაქში, არც თბილი ლუკმა მოგაკლდებოდა ჩვენც მშვიდად ვიქნებოთ, მაგრამ ალექსიკა ვერ ელეოდა მამა-პაპისეულ სახლს. ვერც შორეულ წარსულში ჩარჩენილ ლანდებს ელეოდა. ადგილის დედამ გამოიკერა თავის კალთაზე და ესეც ერთგულმდგა. არ მახსოვს, ვინმეს დაეცინოს და უკადრებელი ეკადრებინოს. სოფელი თბილი და ძლიერია, თავის ფრთებქვეშ ერთნაირად იფარებს ჯანმრთელსა და ავადმყოფს, სუსტსა და ძლიერს. ალექსიკაც უბნის ორგანული ნაწილი და მეზობლების მარჯვენა ხელი იყო:

ლექსო, დღეს სათოხარში მომეხმარე... ლექსო, სიმინდის აჭრაში მოგვემეცე...

ლექსო, რთველში გამოგვეყვი... ალექსიკაც დაუზარებლად ედგა გვერდით ყველას. საღამოს ოჯახთან ერთად მიუჯდებოდა ვახშამს. მახსოვს, როგორ საგულდაგულად იხანდა ხელებს, ძალიან უნდა დაგეძალენა, რომ ორიოდე ლუკმა გაეღეჭა, მორიდებულად მიაყოლებდა ღვინოსაც. მერე სასმლისგან სახეანითლებული ხელებს მიტყუებულ მუხლებს შორის მოიქცევდა და ჩვეულ, ბავშვურ ღიმილს აიკრავდა სახეზე. იჯდა ერთხანს ასე. დროდარო ლუმელს მიაფიცებდა ხელებს. გაზეთის ნაგლეფსაც კი არ დატოვებდა ნაუკითხავს. მერე „მადლობაო“ ჩაბუტბუტებდა, ეზოს გასცდებოდა და აი, მაშინ იღვიძებდა მასში ჩარჩენილი 14 წლის მამაცი ბიჭი — შუალამემდე, უბნის თავიდან უბნის ბოლომდე ბოლთას სცემდა, შემთვრალი არარსებულ მტრებს ეომებოდა და ემუქრებოდა. კეთილი ვარსკვლავები, გაოცებული მთვარე და აქა-იქ გამკრთალი ციციანათელები იყვნენ მისი სიმამაცის მხილველნი და მოწმენი. ამ დამეული, გაოცებულნი ნარმოსახვის შედეგი იყო, რომ ბავშვებს ფანატურად გვემინოდა მისი. დილით კი ისევ პირველი ესტუმრე-

ბოდა გზისპირა სანახშოს. ისევ ისე იდგა ჯიბეებში ხელბეჩანყობილი, მიღმიერ სამყაროს თვალმიტერეხული და მორცხვად მოლიმარი. თავისებურად შეენოდა სოფელს და თავის მხრივ, სოფელიც იხედნდა და პატრონობდა ალექსიკას.

მე ჩემი პატარა ამბავი მაკავშირებს მასთან.

სოფელში თითქმის ყველა სახლს, მთავარი ჭიშკრის გარდა, სამეზობლო კარებიც აქვს. ამ კარებით ერთმანეთშიც მიდიმოდინან მეზობლები და გზას იმოკლებენ. ერთი ღობე ყოფდა ჩვენი და ალექსიკას ეზოებს.

შემოდგომის ყვითელი საღამოა. საღამო რა — შედამებულა უკვე. ზემოუბანში ვიყავი მეგობართან. სახლის კენ მიმავალს ალექსიკას ეზოზე უნდა გამეგელო. ვხედავ, ბუხრის საკვამურიდან კვამლი ამოდის და პალატში შუქი ანთია. სახლი მინის პირასაა და, შესაბამისად, ფანჯრებიც დაბალზეა დატანებული. წამძლია ცნობისმოყვარეობამ და ფანჯარას მივეპარე. ვხედავ, ალე-



ქსიკა აგუზგუზებული ბუხრის წინ სამიფხა სკამზე ზის და ბუტბუტებს, გვეგონება, მის წინ ცეცხლის ენები კი არა, ლანდები რიანის და ხელებს იმევილებს. კარგა ხანს ვუყურე. ის-ის იყო, ფეხი მოვინაცვლე, რომ უფრო მოხერხებულად დავმდგარიყავი და ფეხქვეშ, სავარაუდოდ, ხმელი ფოთლები და ქვეტი ამიჩქამდნენ. ალექსიკამ თავი მოატრიალა და უცებ თვალები არამქვეყნიური გაუხდა. ფეხზე წამოდგა და ფანჯრისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. შიშმა ამიტანა, ადგილზე ვაკვირებ და გაქცივის ნაცვლად მინას მეტად ავეკარი. ცეცხლის ენებმა ბუხრიდან მის თვალში გადაინაცვლა. რალაც უცნაური სიხარულით ალტყინებული მიყურებს და მეტუტბუტება. არც კარებისკენ მიდის და არც ფანჯარას უახლოვდება მეტად. ბავშვი ვიყავი და მაინც ვიგრძენი — მე მიყურებდა და მე არ მხედავდა... წლების მერე ვაკვირებ — იმ წუთებში ბავშვობაში ჩარჩენილი ძვირფასი ადამიანის ხატება გავუცოცხლე, ვინ იცის, ვისი... იქნებ პირველი, უმანკო, ბავშვური სიყვარულის ზმანებას შევასხი ფრთები, მისი მიღმიერი სამყარო მეტად ხელშესახები გაგხადე. მოკლედ, მის განზომილებაში გადავინაცვლე...

შიშისგან გაყინულსა და გამეშვებულს დედარემის ხმა ჩამესმა, მეძახდა. გულმოცემული მოვწყდი ალექსიკას ფანჯარას და წამებში გავჩნდი ჩემს ეზოში. წლები გავიდა. რამდენჯერ დაებრუნებოდა ვეფხვით ჩემი ბავშვობის ამ ეპიზოდს. ცხოვრებამ თავადაც მასწავლა დროდარო აჭრილი ყოფისგან გაქცევა და გამოგონილ სამყაროში შეკეტვა. მიფიქრია ხოლმე, იქნებ სულაც არ არიან საბრალონი ალექსიკასნაირი ადამიანები, იქნებ ჩვენგან განსხვავებით მეტ ფერებს ხედავენ და იმ შორეთში ჩვენზე ბედნიერადაც გრძნობენ თავს... ვინ იცის...

80-ს გადაცილებული გარდაიცვალა ალექსიკა. უხეტოვლიანი ზამთარი იყო რაჭაში. გულთღაირი სოფელია. მე ვერ წავიცი დაკრძალვაზე. ამბობდნენ, ის თავისი ჩვეული მორცხვი ღიმილი ჰქონდა შეყინული სახეზე. გადაულებლად თოვდა თურმე და მშვიდი ფანტელები აერთიანებდნენ რეალურ და ირეალურ სამყაროებს. ფიფქისფერთმიანი მოხუცის სხეულს კი, თავზე დაჰფარავდა 14 წლის ბავშვის სული...



პუბლიცისტიური ტექსტების დანიშნულება და შესაძლებლობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირების პროცესში განსაკუთრებულია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ეს ლიტერატურა ცნებებით აზროვნებს და მისი ავტორის დამოკიდებულება აქტუალური საკითხების მიმართ „სახეებით აზროვნებაზე“ არანაკლებ გავლენიანია. მეოცე საუკუნის დასასრულისა და 21-ე საუკუნის ქართულმა პუბლიცისტიკამ საუკეთესოდ შემოინახა ყველა ტრადიცია, რომლის მთავარი აქცენტები ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ყოფაზე არის პროექტირებული. პუბლიცისტიკაში უნდა იყოს სამეცნიერო-ისტორიული ლიტერატურის პარალელურად, თავის თავზე აიღოს ქვეყნის იდეოლოგიური რეკონსტრუქციის მემკვიდრის ფუნქცია. მიუხედავად ამისა, მკვლევრები მაინც შენიშნავენ, რომ „უკანასკნელ ხანს ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება გაჩნდა პუბლიცისტიკის ჟანრის მიმართ, თითქოს მონიშნავდა სტატიის ფელეტონი ან ნარკვევი მხოლოდ კომუნიკაციური „ნარსულის გადმონაშთები“ იყვნენ“. ჟანრული თავისებურებანი ეპოქის შესაბამისად განიცდის ცვლილებას და ეს კანონზომიერება მხოლოდ პუბლიცისტიკაზე არ აისახება. ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს ხუთ ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც კონსტიტუციური რჩება ნებისმიერ ეპოქაში და მისი რევიზია შეუძლებელია. ეს გახლავთ: „ცნებებით აზროვნება, ტენდენციების გამჟღავნება პირდაპირ და შეუნიღბავად, აქტუალურობა, განზოგადება და აუდიტორიაზე ზემოქმედება“. ეს უკანასკნელი პუბლიცისტიკის მათორგანიზებული თვისებაა და იგი განსაკუთრებულად ღირებულია, როცა ავტორის ეთიკურ-პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციასთან თანაარსებობს. სწორედ ასეთ ავტორთა შორისაა მაკა ჯოხაძე, რომელიც გამომსახველობითი ხელნერი, ნაციონალური პრობლემებზე ობიექტური რეაგირების უნარით უაღრესად სანდო მწერლად შეიძლება ვაღიაროთ. მისი პუბლიცისტიკა თვითმყოფადია თავისი ღრმააზროვნებით, პრობლემურობით, მგრძობელობით, რომლის რეგისტრი განსაკუთრებით მაღალია, როცა საქმე ჩვენი სახელმწიფოებ-

რივი და ეროვნული ყოფის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხება. მაკა ჯოხაძის სამწერლობო გზა 70-იანი წლებიდან იწყება, იბეჭდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. იგი რამდენიმე მოთხრობების კრებულის, მონოგრაფიისა და პიესების ავტორია. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. მაკა ჯოხაძის შემოქმედება კარგა ხანია აღიარებულია მკითხველის მიერ, დიდა ინტერესი მკვლევართა და კრიტიკოსთა მხრიდანაც. მასზე დაუწერიათ: როსტომ ჩხეიძეს, ინგა მილორაგას, მაია ჯალიაშვილს, იოსებ ჭუმბურიძეს, გურამ პეტრიაშვილს, ნანა კუციას, მურმან ჯგუბურიასა და სხვებს. მწერლის შემოქმედებითი არეალი ვრცელია, ჩვენ მხოლოდ მისი პოსტსაბჭოთა პერიოდის პუბლიცისტიკით შემოვიფარგლებით, რომელსაც თავი მოუყრია კრებულებში: „გამარჯვება შიშზე“ (1999), „სამოთხე უსიყვარულოდ“ (2009), „ჩანაწერები — ჩაძირული დღესასწაული“ (2013). ისინი ღირებულია თავისი დოკუმენტურობით, გამორჩეულია ემოციურობითა და მხატვრობით, რომელიც განსაკუთრებულ ფონს უქმნის ავტორის მთავარ სათქმელს. მიუხედავად ამისა, რომ მაკა ჯოხაძის მსჯელობა ყოველთვის ეყრდნობა ემოციურ არგუმენტებს, იგი პარმონიულად თანაარსებობს ფაქტების მართებულ, რაციონალურ გააზრებასთან. მწერლის შემოქმედების მკვლევარნი განსაკუთრებულად აღნიშნავენ ფაქტს ემოციურ ნოტებსა და ლიტერატურულ ფორმას მის პუბლიცისტიკაში. „გრჩება განცდა, რომ ცალკეული ესეები კრიალა კენჭებივით ქმნიან სამყაროს ერთიან, ფერადოვან მოზაიკას, ყოველი ფერი თვითკმარია, განუმეორებელი, ერთადერთი. აქ ფერი აქვს ყოველს — ადამიანს, სიტყვას, საგანს“ — აღნიშნავს ნანა კუცია. რაზედაც უნდა წერდეს ამ „ფერადოვანი ესეების“ ავტორი, ყველგან იკვეთება სამშობლოს ხატი, მისი სააზროვნო სივრცის უმთავრესი, განმსაზღვრელი ფენომენი. იოსებ ჭუმბურიძე თავის ესეში „გაფცქნილი სამშობლოს სევდა“, რომელიც მწერლის პუბლიცისტიკას ეძღვნება, ამ ტენდენციას სამ სიტყვაში აერთიანებს: „მაკა ჯოხაძის სამშობლო“ და გულწრფელად ამოთქვამს: „არაერთხელ

გამოცვლია: რამ მოუყარა თავი ამ ქალბატონში ერთი მხრივ, ასეთ სინაზეს და სათნოებას, მეორე მხრივ კი ასეთ შეუპოვრობას, როცა საქმე სამშობლოს ინტერესების დაცვას ეხება“. იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკის მთავარი სათქმელი, უსათუოდ დაგვჭირდება „მაკა ჯოხაძის სამშობლოს“ 90-იანი წლების სოციალურ-პოლიტიკური რეალობის მცირე რეტროსპექტივა. პოსტსაბჭოთა პერიოდში სისტემის დემონტაჟის ყველაზე მძიმე სეგმენტი მენტალური გადაწყობა აღმოჩნდა. ღირებულებების აქამდე არსებული ორიენტირები ჩამოიშალა და ჰომოსოციალური სის აზროვნება პირისპირ აღმოჩნდა იმ განსაცდელის წინაშე, რომელსაც ერთდროულად ქმნიდა თავისუფლების განცდა, ღმერთის აღმოჩენა და ეროვნული თვითშეგნების დაბადება. ეკონომიკური გამოწვევებითა და სხვადასხვა მენტალური საცდურით სავსე საქართველოში პუბლიცისტურ ჟანრს განსაკუთრებული მისია დაეკისრა, ვინაიდან ჯერ კიდევ შორი იყო სოციალური ქსელების და ტელემედიის მასობრივ ზეგავლენამდე. ვიდრე პუბლიკაციები ციფრულ მაუწყებლობაში გადაინაცვლებდნენ, ავტორთა ძალისხმევა გაცილებით შრომატევადი და ფასეული იყო იმის გათვალისწინებითაც, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების პარალელურად მომრავლდა ბულვარული გამოცემებიც, რომელთა გამოიჭენა რიგითი მკითხველისთვის ადვილი არ იყო. ამ არაერთგვაროვან, ჯერ კიდევ დაულაგებელ გარემოში მაკა ჯოხაძის შემოქმედებითი ესთეტიკა და დამოკიდებულებები ქვეყანაში არსებული პროცესების მიმართ თანმიმდევრულად აღმოჩნდა ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზის განვითარებისა. მისი მგრძობელობის შემოქმედისთვის ეს სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან ოთარ ჭილაძისა არ იყო, „ჩვენ არ მივეუბრებოდით იმ ბედნიერ ქვეყნების რიცხვს, სამშობლოს თავისუფლება რომ არ ეოცნებებათ“. ამ ისტორიული მოცემულობიდან გამომდინარე, ქართველი მწერლისთვის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო და მომავალშიც შეუძლებელი იქნება ამ განცდის გარეშე აზროვნება. თუმცა ის

თავისებურებანი, რომელიც მაკა ჯოხაძის შემოქმედებაში შეინიშნება, გამომსახველობითი თვალსაზრისით მისეული და უაღრესად შთამბეჭდავია. მაკა ჯოხაძის ესეისტიკაზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ის მახასიათებლები, რომელიც განსაკუთრებულად პროდუქტიულ ხდის მის შემოქმედებას. ეს გახლავთ: 1. ინფორმაციულობა, რომელიც სცდება ნაციონალურ სამანებს და გლობალური შემეცნებითი ფუნქცია აქვს. 2. კომპოზიციის აგების უნიკალური ტექნიკა. 3. მხატვრული სახეებითა და მეტაფორებით აზროვნება, რომელიც ზოგადად პუბლიცისტური ჟანრისთვის დამახასიათებელი არ გახლავთ, მაგრამ მაკა ჯოხაძესთან ის ქმნის განსაკუთრებულ ემოციურ ფონს და კარგად თანაარსებობს ესეს სივრცეში. 4. დოკუმენტური ფაქტების ჩართვა სულიერი დროის განაზრებისათვის. ეს უკანასკნელი მისთვის, როგორც მწერლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 5. სამშობლოს მეტაფორას უპირობო არსებობა პიროვნულში, პიროვნულისა და საზოგადოებრივის იგივეობა. ერთ-ერთ ინტერვიუში მაკა ჯოხაძე აღნიშნავს, რომ მისი სტილი „მეტაფორული აზროვნება“, ხოლო „მეტაფორა პოეტის სიმართლეა, რომლისთვის მან პასუხი უნდა აგოს“. მიუხედავად ამისა, რომ ამ ინტერვიუში იგი თავის რომანებზე საუბრობს, იგივე თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ მის ესეისტიკას, რადგან მეტაფორა აქაც მისი სააზროვნო სივრცის საყრდენია, რომელზეც მწერალი თავის მკითხველს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან იდეოლოგიურ ორიენტირებს მოუნიშნავს. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საბჭოურ სისტემაში მეტაფორული აზროვნება გადარჩენისა და სათქმელის მკითხველამდე მიტანის გარანტი გახლდათ. მწერლებისთვის ეს იყო შემოქმედებითი თვითგადარჩენის საუკეთესო საშუალება. ამდენად, ქართულ მწერლობას მეტაფორების სარგებლიანობის დიდი გამოცდილება გააჩნია. თავის „ჩანაწერებში“ მაკა ჯოხაძე მკითხველთან ურთიერთობას რეალობიდან ირეალურში გადასვლას ადარებს, მან „ნამდვილი ქირურგივით ბოლომდე უნდა გადახსნას მოუშუშებელი ჭრილობა და ზედმინევი ზუსტი სიტყვებით განმინდოს, გაასუფთაოს ის, ამ პროცესის გამგებად და თანამოზიარედ გაქცეოს შენც და მკითხველიც“. პროფესორი ნოდარ ტაბიძე, რომელიც ყოველთვის ერთგულად აკადემიური პუბლიცისტიკის ჟანრულ სპეციფიკას, გულგრილი ვერ რჩება და მოიწონებს კიდევ მაკა ჯოხაძის ესეისტიკის სპეციფიკას: „მის შემოქმედებაში საოცარი შერწყმა მოხდა მწერლობისა და ჟურნალისტიკის. მწერლის სიტყვა ამოღებული მახვილია, მაგრამ დისტანციაზე გათვლილი, ჟურნალისტის სიტყვა კი ისარია, რომელიც დღეს, ამ ნუთას, ამ მომენტში უნდა მოხვდეს მიზანს და მაკა ჯოხაძესთან ორივე პროფესია შეერთებულია“. მაია ჯალიაშვილიც ზუსტად მონიშნავს მწერლის შემოქმედებით იმ მახასიათებლებს, რომელიც უზრუნველყოფს მის ნარმატებულ კომუნიკაციას მკითხველთან: „ყოველთვის მომცველია ამ ჩანაწერების სულიერი დრო — სივრცე, რომელიც საოცარი სისავსით ირეკლავს მაკა ჯოხაძის, როგორც გამორჩეული თანამედროვე მწერლის, პიროვნულ ტკივილს, ერის ჭირ-ვარამსა და კაცობრიულ სატკივარს. ფიქრის ნაკადები ისე ნატიფადაა გადართული ერთმანეთთან, რომ ბუნებრივად გადაედინება პიროვნული განცდა ზეპიროვნულში“. მურმან ჯგუბურიაც ვერსად გაექცევა პროზაიკოსი ქალის ნიჭიერებას და აღიარებს: „ბარემ აქვე ვიტყვი: პროზაიკოსი ქალის დიდად ამ მწამს. მარგარეტ იურსენარის მოვლენა ისეთია, როგორც არის დაახლოებით ის, რომ კანონს გამოიკლისიკა გააჩნია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მწერლობაშიც მაკა ჯოხაძის მოვლენაც გამოიკლისია“. როსტომ ჩხეიძეს მწერლისა და პიროვნების ფენომენი ინტერკულტურულ სივრცეში გადააქვს და მისი აღიარებისთვის საჭირო ყველა მოცემულობაზე დამაჯერებლად საუბრობს: „შემიძარებია ჟანა დ'არკისთვისაც, მარგარეტ იურსენარისა და ვირჯინია ვულფისთვისაც შემადარებია. კი მაგრამ... ეს ხომ სხვადასხვა პოლუსებია? ეტყობა, არც ისე სხვადასხვა, რადგან ამ თვისებებმა შესაძლოა ერთ ადამიანში

მოიყაროს თავი, როცა ის პიროვნება მკაცრად დახვეწილი სტილისა ყოფილი რეალობაშიც და მხატვრულ სინამდვილეშიც და მემამბოხე ყოველგვარი სიცრუის, სიყალბის და ფარისევლობის წინააღმდეგ.


ცხადია, თუ რა განაპირობებს თანამედროვეთა მხრიდან მწერლის ასეთ მაღალ შეფასებას. მათი მოსაზრებები არ ეყრდნობა მხოლოდ ჟანრულ თავისებურებებს, შემოქმედებით ოსტატობას, არამედ უპირველესად თემატიკას, რომელიც მწერლის ყველა რეფლექსიის საფუძველია. მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკაზე საუბრისას მისი თემატიკური პრიორიტეტები შეიძლება ასე ჩამოტყდეთ: 1. სულიერი საქართველო როგორც ჩვენი ეროვნული არსებობის მთავარი საყრდენი. 2. სამშობლოსთვის თავდადებული — „გაუზზარავი, მთლიანი პიროვნებები“. 3. გლობალურ სამყაროში ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საფრთხეები (ანუ „ღრუბლებსაც თავისი სამშობლო აქვს“). 4. მწერლობის მისია და მისიონერები. 5. უფლის განცდა, როგორც ადამიანურობისა და სამშობლოს სიყვარულის უმთავრესი ნიშანი.

„მისი უზენაესობა სამშობლო“ მაკა ჯოხაძესთან არის მთავარი საკითხი, რომელიც ყველგანმყოფობს და დომინირებს. მისი პატრიოტიზმის ესთეტიკა დახვეწილი, რაფინირებულია, ვერსად გადავანყდებით სიყალბის უნებლიე, მცირე მონასმსაც, რომელიც ხშირად იპარება პატრიოტული მოტივების გაშუქებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ეროვნული კულტურის კრიტიკისა და ნიჭილი ზმის ქადაგების მცდელობებმა შედეგი მაინც გამოიღო, საგრძობლად შემცირდა მის მიმართ მგრძობელობა და შესუსტდა გამოხატვის ესთეტიკისადმი პასუხისმგებლობა. პატრიოტიზმი გახდა სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორების მძევალი. ასეთ ვითარებაში მაკა ჯოხაძის ესთეტიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი უნარების მქონე მწერლებს უდიდესი მისია ეკისრებათ, მათ უნდა შეძლონ გამარჯვება იმ ყოფითი მეტაპროზების ავტორებთან ორთაბრძოლაში, რომლებიც პატრიოტიზმს ეკატაქის მექანიზმად იყენებენ. „დღეს ხომ სამშობლოს სიყვარული ისევე საშიშია, როგორც სიტყვა პატრიოტიზმი. ნეტა რა აშინებს, ამ სიტყვის ფონეტიკური ჟღერადობა, „სტარტოვკასავით“ რომ გაუღის ტკაცატკუცი, თუ საკუთარი სიმბდალე“. ასე განიცდის მაკა ჯოხაძე თავის წერილში „ხელოვანი და კოსმოპოლიტიზმი“ ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში შექმნილ რეალობას და შემდეგ დასძენს: „კოსმოპოლიტიზმს, როგორც პრიორიტეტს ისე აღიქვამენ ინტელექტუალები, ანუ ძველი სახელი რომ ვინმართ მათი მისამართით — მნიშვნელოვან-ფარისევლნი, ამ თვალსაზრისით მე უნუგემო პროვინციულად ვრჩები, რადგან ფუტკარსაც კი ეროვნულობის ჭრილიდან ვუყურებ და ასე მგონია, სანთლის საუფლოში გამოკვეთილი მათი ვარძია, პანია თაღები, სიმეტრიული სარკმლები, ერთი სიტყვით, ფიჭის უჯრედული ნყოფაც კი, საერთაშორისო სტანდარტებს არ ემორჩილება, არქიტექტურის თვალსაზრისითაც კი ეროვნულია“.

ამასთან, მაკა ჯოხაძის რეფლექსიები ნაციონალურ თვითგადარჩენაზე არასოდეს ასოცირდება იზოლაციასა და მარგინალიზაციასთან. აღნიშნული ხომ ხშირად სინთეზირდება ეროვნულ საკითხებთან და ერთგვარად იდენტობის შენარჩუნების სურვილს უკავშირდება. მაკა ჯოხაძესთან ქართული სამყარო მოიაზრება მსოფლიო კულტურული ნესრიგის შემქმნელი და ნაციონალურ ყოფის მსოფლიო ინტელექტუალური თანამოაზრეობის გარეშე არასოდეს განიხილავს. „ქართული შემოქმედებითი ფენომენი თავისი ფანტაზიით არასოდეს ყოფილა შეზღუდული, ლოკალური, იმთავითვე თავყაროს კუთვნილებას წარმოადგენდა. თავის მხრივ, მთელი სამყარო მას ეკუთვნოდა“. ესეში „ჩვენი დროის აბო“, რომელიც არტურ ლაისტს ეძღვნება, მაკა ჯოხაძე შენიშნავს, რომ პოეზიის საერთაშორისო ენას — „კაცად ყოფნის საერთაშორისო პაროლს“ შეუძლია სრულიად უცხო ადამიანი აქციოს შენიანად და ნათესავად. განსხვავებით „დღევანდელი ეგრეთ წოდებული კოსმოპოლიტი გლობალისტებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდებთან თუ ნებისმიერ ორგანიზაციებთან საქართველოს სრული მიერთებითა და კაბალიზაციის პროცესით რომ არიან გართულნი და მამული-ენა-სარწმუნოება

საკუთარი შეზღუდული საზოგადოებრივი სისტემისა და პროვინციული სწობიზმის გამო ლოკალური მნიშვნელობის პატარ-პატარა მონაპოვრები ჰგონიათ“.

მაკა ჯოხაძისთვის ნაციონალური სიმყარის მთავარ დასაყრდენი სულიერი საქართველოა. მას მუდამ „მთლიანი, ჯანსაღი საქართველო“ ენატრება. სულიერ საქართველოზე მისი მსჯელობანი უპირველესია, ყველა განსაცდელის წყაროდ სწორედ აქ შექმნილ კრიზისს მოიაზრებს და ეკონომიკურ კოლაფსს მხოლოდ მის თანმდევ მოვლენად განიხილავს. მისი 90-იანი წლების საქართველო ასეთია: „პრობლემები ვენებგადახსნილი მომავლებით ყრავ ყოველნაბიჯზე“, „ქვეყანა, რომელიც ცვედნები კაცებს თამაშობენ და კახპები — წმინდანებს“, „სადაც სიჩუმის საფასურად გენერლობა ნაბოძები“, „სადაც ერთ დროს მზისა და ვარდების ქალაქი ნაცრისფერი, უთოვლო ზამთრის ღამეები უიმედოდ ღაფავენ სულს“, „დედაქალაქს რახანია, დაეკარგა ხობისფერი, თბილისი ახლა კვამლისფერია, თბილისი ახლა ნავთისფერია“. მწერლის მსჯელობანი დამდგარ შედეგებზე თავს იყრის აფირმაციაში: „ეკონომიკურ-




ფსიქოლოგიური ზენოლა თავისთავად უღმერთობისა და ზნეობრივი გადაგვარების შედეგია“. სწორედ ასეთ დროს მაკა ჯოხაძე ხელოვნებას და განსაკუთრებით მწერლობას, უპირობო ლიდერის როლს ანიჭებს. რაც მთავარია, თავად იძლევა ამის მასტერკლასს და, მისივე თქმით, „ყველაზე სამშობლო კონტრასტად“ შემორჩენილი საბართლიანობისათვის იბრძვის. 90-იანი წლების საქართველოს რეალობა ათქმევინებს მწერალს ერთი შეხედვით უცნაურ ფრაზას: „სამშობლოში სამშობლო მენატრებოდაო“ და თავისუფლების პირისპირ აღმოჩენილ საქართველოში შიშს „თავისუფლების მარად ძველ და მარად ახალ ჯალათს“ უწოდებს. მოგვიანებით, 1999 წელს ერთ-ერთი პუბლიცისტურ-ესეისტური კრებული მან ასე დაასათაურა — „გამარჯვება შიშზე“ და იქვე განმარტა, რომ ეს შიში სწორედ სამშობლოს დაკარგვის მიმართ იყო ასოცირებული: „სამშობლოს დეკარავით გამოწვეული შიში ყველაზე უკეთ წარმოაჩენს ჩვენს დაფარულ არსს, ჩვენი არსებობის, კაცად ყოფნის უმთავრეს მიზანსა და დანიშნულებას“.

სამშობლო მაკა ჯოხაძესთან მეხსიერებაა, რომელიც „წინ ნასულებს“ მუდმივად უნდა გვახსოვდეს. „მამ, წინ ფესვებისკენ“ მწერლის მთავარი თეზისია, რომლის გარეშე არ არსებობს ეროვნული სინდისი, ხოლო სინდისის გარეშე — სამშობლო. მისი სამშობლოს ხატი ყველაზე წმინდაა, „ჰანგებს გამოსცემს, მუსიკად იქცევა“. ემოცია იმდენად დიდია, რომ მწერალი სიტყვა სამშობლოს ბგერათმეხამებაშიც კი ახერხებს ასახოს ეროვნული თანხმობის გარეშე დარჩენილი ქვეყნის დრამა. ესეში „ხსოვნის ფიციტი“ ვკითხულობთ: „უცნაურია მეხსიერება. იქნებ ყველაფერმა დაკარგა აზრი? ყველა ფერმა, რადგან სადაც თავგანწირვით მიქრის საბედისწერო სიტყვა — სამშობლო, როგორც გზაბნეული მგზავრის ექო, პორიზონტზე მდგარი, დაისის მენამულ შუქში ვეღარ გასტყორცნი სიტყვას ქართული — მიცურავს, მიდის სივრცეში გაშვებული სამი სფერო, სამი ხმოვანი — ა, უ, ი; ქარიშხლიან დღეებში რომ დაეკარ-

გათ თავ-თავიანთი თანხმობები — მეორე ნახევართა რწმენა, იმედი და სიყვარული“.


მაკა ჯოხაძის ესეისტურ-პუბლიცისტური წერილები ეპოქალური რეალობის ანარეკლია. 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შეფასება და „უფლის ნებას“ ამოფარებულ პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის გააზრება მისთვის „სულიერი ჭრილობების“ შეხორცების მექანიზმია. ეს მისთვის „სულიერი საქართველოს“ ალორძინების პირობაა: „სამშობლოს სახელით მოთამაშეთაგან განსხვავებით, მამა-ზეციერი დღემდე რჩება ქვეყნიერების შემქმნელ ყველაზე თავისუფლებისმოყვარე (დემოკრატი) რეჟისორად და თავისივე შექმნილ ადამიანებს არჩევანის უფლებას გვიტოვებს. პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, იგი როლებს არ ანაწილებს, ჩვენს არჩევანს, ჩვენს თავისუფალ ნებას ადევნებს თვალს, ჩვენ კი, როლებს თავისივე ხელით ვირგებთ ამა ქვეყნის ძლიერთა ხელში, ამიტომაც ვჩანვართ ღირსებადაკარგულები, პიროვნებანართმეულები, ქედნახრილი მონებივით ამიტომ ვთამაშობთ უნიგნურებს, ბრმებს, ხეობრებს, საჭურისებს“.



სამშობლოს მეტაფორა უპირობოდ ყველგანმყოფობს მაკა ჯოხაძის საზოგადოებრივ და სასიცოცხლო სივრცეში, ეროვნული მარცხით გამოწვეული ტკივილი იგივეობრივია მისი პროვინციული ტკივილისა, მორღვეულია ზღვარი პიროვნულსა და საზოგადოებრივს შორის. ასეთი თანაბრებობა მწერლისთვის იმდენად ორგანულია, რომ მის ესეებში მუდმივად მეორდება მეტამორფოზა — სამშობლოს ხატი — „ადამიანური არსებობის ყველაზე ღრმა და სათუთი შრე“ უპირობოდ ჩნდება ყველგან — ფეხბურთისმატჩის დროს, ემანსიპირებულ ქალებზე საუბრისას, დედის მონატრებისას, შვილის მომავალსა და მეუღლეზე ფიქრისას. მაკა ჯოხაძის ესეებში ხშირად შევხვდებით მის თანამეცხედრებს, ცნობილ თეოლოგს, მწერალს — აკაკი მინდიაშვილს. მათ შემოქმედებითი ალიანსიც აქვთ, სიტყვის სიყვარული აერთიანებს, სიტყვას როგორც ცოცხალ, ქმედითი ენერჯის მატარებელ ორგანიზმად განიხილავენ და სამშობლოს ამსახურებენ. საქართველოს აჩრდილი დაჰყვება აკაკი მინდიაშვილის ყოველ გამოჩენას ესეებში, მის ქმედებასა და მსჯელობას, ასეთ დროსაც იკითხება მაკა ჯოხაძის „ნადველი სამშობლოზე“. პასუხს კითხვაზე, თუ რა განაპირობებს მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკის ამ მახასიათებელს, მისსავე ესეში მოვიძიებთ: „ისეთი დიდი და გაუსაძლისია ჩვენი საკუთარი მარცხით მოვრდილი ჭრილობა, რომ ბორხესივით მეც ყველაფერში ჩემი სამშობლოს ნამცერებს დავეძებ, ჩემი სამშობლოს ხატი მელანდება“.

სამშობლოს საყრდენი „გაუზზარავი, მთლიანი პიროვნებები“ მაკა ჯოხაძის საქართველოს პანოზე მნიშვნელოვანი სეგმენტია. მწერლისთვის ისინი ეროვნული საზრისის შეცნობისა და ქმედების მთავარი პერსონაჟებია. პრინციპი, რომლის მიხედვით არჩევს იგი თავის რეციპიენტებს გახლავთ ის, რომ ამ ადამიანებს თავიანთი ცხოვრების რთულ რელიეფზე უპირველესად სამშობლო ინტერესებად და „არასოდეს დამორჩილებანი ზერელობის მაუნ-

ყებელ ტემპს ცხოვრებისას — დროს გამოდევნებულ ამ პროვინციულ სწობიზმს, როცა ყველა და ყველაფერი მოსწრებაზეა — გაცნობაცა და გადავინყვებაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც, ჩაცმაცა და გახდაც, საფლავის ქვაცა და სანთლის დანთებაც დასწრებაზეა“. მაკა ჯოხაძის პერსონაჟთა გალერეაში არიან: ოთარ ჩხეიძე, რეზო ინანიშვილი, გენო კალანდია, რეზო თაბუკაშვილი, ნუგზარ ლორთქიფანიძე, გივი ალხაზიშვილი, ანა კალანდია და სხვანი. ესენი არიან „სიმართლისათვის აღმფრთხილები“ ადამიანები, რომლებმაც თავისი ნიჭილიზმით არ დაუშვეს სამშობლოს „სულიერი დამბლა“. ასეთი პერსონაჟები მაკა ჯოხაძისთვის მთავარი საყრდენი, სიმძიმის ცენტრია ქვეყნის ჯანმრთელი საზრისისთვის. „ამგვარად ხელდასხულ ადამიანებს ცრუ თავმდაბლობისთვის აღარ სცალიათ.“ ბრძოლა მათი ცხოვრების წესია და ამიტომაც თავის მისიასაც ბრძოლაში ხედავს: „მე როგორც მწერალი ვიბრძვი, რომ არ ვეკუთვნოდე სინამდვილეს“. ამ სინამდვილეში მწერალი სწორედ „ზერელის მაუნყებელ ტემპს“ ანუ კონფორმიზმს უნდა მოიაზრებდეს.



ქართული მწერლობისთვის დამახასიათებელია უფლისა და სამშობლოს განცდის იგივეობა. ასეთი სინკრეტიზმი არა მხოლოდ ისტორიულ ბედისწერით იყო განპირობებული, ქართველი კაცის სულიერი საზრისი უფლის მცნების გააზრებას ეყრდნობოდა და მიუხედავად სულიერი კრიზისების უამისა, მაინც არასოდეს განრიდებია მასთან ყოფნის აუცილებლობას. მაკა ჯოხაძემ კარგად იცის ამ სულიერი გამოცდილების ფასი. ის, რომ „მისი მონყენილი სამშობლო“ ვერ იარსებებს ამ განცდის გარეშე. „საქართველო ღმერთთან მოსაუბრე რეპტებით იყო განებივრებული“ — აღნიშნავს იგი ესეში, რომელიც გენო კალანდიას ეძღვნება და ქმნის საუკეთესო შესაძლებლობას, ისაუბროს „სოსუმის ომზე“, რომელიც მისთვის „საიდუმლო იყო, თავდაპირველად ბურუსით მოცული. მერე ყველაფერი გამჭვირვალე და გასაგები გახდა“. მიუხედავად ამისა, მაკა ჯოხაძისთვის ქვეყნის ისტორიის ეს დრამატული ფურცელიც უფლის იმედად რჩება: „ღმერთს თავის გეგმა აქვს“, „რა ხანია გუმანი მკარნახობს, რომ ვეღარაწიანი ავტორი ტელეტი, ვეღარაწიანი საერთაშორისო ძალეები, ვეღარაწიანი ინტერგაციისა თუ იზოლაციის პოლიტიკა ვეღარაფერს შეცვლის და ვეღარაფერს იზამს, გარდა უფლისა“.

ჩემის მხრიდან დავძენდი, რომ მაკა ჯოხაძეც „უფლის ნებაა“, რადგან იგი იმ შემოქმედთა შორისაა, რომლებიც ადასტურებენ ქართული მწერლობის განვითარების ნაყოფიერ და აკადემიურ დინამიკას. მან სრულად შეინარჩუნა ყველა ის თვისება, რომელიც საზოგადოებრივ-აქტიუალური საკითხების წარმოჩენის პარალელურად ნაციონალური ღირსების შენარჩუნებისა და ერის თვითაშორისი კვების საქმეს ემსახურება. პუბლიცისტიკა, როგორც უანრი, ექვემდებარება ტრანსფორმაციას, თუმცა საქართველოში მან უპირობოდ უნდა შეინარჩუნოს ეროვნულ საკითხებზე მძაფრი რეაგირების უნარი, რომლის საუკეთესო ილუსტრაციაა მაკა ჯოხაძის პუბლიცისტიკა უნდა დავასახელოთ.

რევაზ ტაკიძე



მაჯამაზი

ვხედავ ტყე შიშველია,
ვხედავ ტყეში შველია.

სიკვდილს შევხვდებით გაგებით
და არა ფეხქვეშ გაგებით.

მუმიებისთვის მინიმუმი,
დიდი ლენინის მინი მუმი.

ქსარომტაზი

ვეფეროთ წარსულს — ჩვენი ვალია,
ის ხომ ყოფილი მომავალია.

მჯერა ლალატი რომ მელის,
მაგრამ არ ვიცი რომელის.

ქელეხშიაც არ თაკილობს,
ტონას შეჭამს ვითა კილოს.

ცხოვრებაა ცვალებადი
და საკმაოდ წვალებადი.

ახლა ისეთი პირობებია,
დაგავინყდება მგელიც, ბებიაც...



ის

ის არც ისე დიდი იყო, რომ ნაომრობის დიდგულობა დაეჩემებინა. პირიქით, ძალიან პატარა იყო. ტკივილი კი დიდი იცოდა. დიდი ტკივილით გაჩნდა. ისეთი მწარე ტკივილით, კბილთა ღრჭენა და თვალთა კვესება რომ მოსდევს თან. მერე ოდნავ დაეყუჩა. მაგრამ შეძრავდა თუ არა რაიმე, ტკივილით იღვიძებდა ისევ, იღვიძებდა და კარგა ხანს ფეთქავდა შემდეგ. სიტყვები არ ესმოდა, თუ არ სურდა გაგონება, ვერ გაიგებდით. ყოველ შემთხვევაში სიტყვით მისი დამშვიდება შეუძლებელი ჩანდა. ცრემლი მოჰქონდა ძალიან მწარე, ლამის ქვითინად ქცეული. თავად ვერ შველოდა თავის თავს, მშველელის მოხმობაც ტკივილით შეეძლო მხოლოდ — მე ხომ ტკივილით გავჩნდი და სანამ ვიქნები, ტკივილით ვიქნები, მარტო ჩემი გაქრობით დასრულდება ტკივილი.

ჰო, მისი შველა მისი სიკვდილი იყო მხოლოდ. მამ რად გაჩნდაო, იკითხავს ვინმე, თუ გაჩენაც ტკივილიანი ჰქონდა და მთელი მისი არსებობაც ტკივილია მხოლოდო. მას რომ შესძლებოდა, ალბათ უპასუხებდა — მე ჩემს გაჩენას არავინ შემეკითხაო. ანდა როგორ უნდა ეკითხათ, სანამ გაჩნდებოდა, ხომ არ არსებობდა მანამდე. გაჩნდა და ტკივილიც მოიტანა. თავიდან ტკივილი ძლიერი იყო. დრო თავის სვლასთან ერთად შველოდა ტკივილს. კიდევ კარგი, დრო არ ჩერდება, თორემ მისი ტკივილი გაუსაძლისი გახდებოდა. თუმცა დრო გადიოდა. ხან თენდებოდა, ხან ლამდებოდა. დღის ხმაური ტკივილს დაეინყებდა მისცემდა ხოლმე მცირე ხნით, მოზღვავებულ ჟრია-მულს სხვა რამეზე გადაჰქონდა ყურთასმენა თვალთახედვისა. საღამოს კი ღამე მოჰყვებოდა უცილობლად. მარტოდ დარჩენილი ფიქრი ტკივილსაც განაახლებდა ხოლმე დროთა მდინარეებში. ისევ ტკივილით ითხოვდა შველას.

მერე მზრუნველობის წუთებიც მოიტანა დრომ. რალაცაში განზანეს, უფეროში და მძაფრსუნინაში. მერე შედებეს. ტკივილით უპასუხა, მძაფრით, როგორც შეეძლო. ფერისცვალება მეორედებოდა დროდადრო. თავიდან მწარე იყო, შემდეგ ყუჩდებოდა. უკვირდა თავიდან, მე ხომ ჩემი ფერი მაქვს, ცვალება რალად მინდაო. დრომ მიახვედრა ისევ, ღიმილით მომზირალმა, ყოვლის მკურნალმა, ყოველთა სულდგმულთა და უსულდგმულთა თანამგზავრმა შეუცვლელმა. უცნაურად დანყებული ფერისცვალება, დიდი ტკივილით დანყებული უპირველესად ყოვლისა, აყურებდა, უცვლიდა ფერს, ნელ-ნელა, თანდათან, მაგრამ უნაკლოდ, უკანდაუხველად, ღრმად. გრძნობდა სიძლიერეს დიადს ფერისცვალებისას, რადგან ყურდებოდა, ილეოდა, ქრებოდა და სიკვდილი მისი უდიდეს შევებასა და სიხარულს შობდა. რომ შესძლებოდა, გაიღიმებდა, ისეთივე ღიმილით, ყოველმკურნავი დრო რომ შეჰყურებდა ირგვლივ ყოველივეს, რადგან ხვდებოდა, რომ ღირდა იმ დიდი ტკივილით მოსვლა და არსებობა, ფერისცვალებით მოგვიღამ უდიდეს შევებად და სიხარულად.

ცოტა ხანში აღარ იყო არც ის და არც — ტკივილი. დროდადრო მხოლოდ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე დარჩენილი მოთეთრო ზოლი და იოდის ხსნარის მოყავისფრო წარჩენი თუ გაგახსენებდათ, რომ აქ ფეთქავდა ოდესღაც დიდი ტკივილით გაჩენილი პანანინა იარა.

მან სხვაზე უკეთ იცოდა

მის დანახვაზე ყველას შუბლი ეჭმუხნებოდა. ბევრი გინებდასაც არ აკლებდა. მის აქ ყოფნას ვილაყვებს აბრალებდნენ, მაგათი დედაცო, ამბობდნენ. მერე ცდილობდნენ, მისთვის გვერდი აევლოთ, თითქოს კეთროვანი ყოფილიყო. არადა, არ იყო კეთროვანი. ნამდვილად არ იყო. სხვა ადგილას და სხვა დროს აღფრთოვანებაშიც მოიყ-



მამუკა ლიპარტელიანი

ვანდა ბევრ მათგანს. ლექსსა და სადღეგრძელოსაც მიუძღვნიდნენ. რის სიმბოლოდ არ გამოაცხადებდნენ. ასეც იყო, სანამ აქ აღმოჩნდებოდა. რამდენს სურათიც გადაუღია მასთან ერთად. რამდენს კონკურსიც მოუგია მისი ფოტოს წყალობით. არასდროს არავისთვის არაფერი მოუთხოვია სამაგიეროდ. ახლა კი... აი, ასე — შეხედავდნენ და აგინებდნენ. ყველაზე მეტად ის აოცებდა, ვილაყვებს რომ აბრალებდნენ მის აქ ყოფნას. გვერდს ფრთხილად, შორიდან უვლიდნენ, თან თვალს არ აშორებდნენ და შემდეგ, როცა ოდნავ გაშორდებოდნენ, სწრაფად აგრძელებდნენ გზას უკანმოუხედავად. ის კი რჩებოდა და მორიგ შეურაცხყოფელს ელოდა მოთმინებით. და ის მორიგიც, რა თქმა უნდა, არ აყოვნებდა. დაინახავდა თუ არა, შენი დედაცო, იტყოდა... პასუხის გაცემა რომც შესძლებოდა, მაინც არ გასცემდა. კარგად იცნობდა უსაფუძვლოდ ლანძღვა-გინების მოყვარულთა მოდგმას. იქნებ ადრე ჩემს ქებას და ჩემზე ლექსებსაც უსაფუძვლოდ ამბობდნენო, ფიქრობდა. სიმღერებს? რა სიმღერებს უმღეროდნენ. განა ეს ყველაფერი უსაფუძვლოდ ხდებოდა? მაშინ რა საჭირო იყო მისი ქება და მისით აღტაცება? არა, ალბათ მართლა მოსწონდათ. და თუ ასეა, ახლა ყველა მოხანს? რამ შეაძულა იგი ასე უცებ არალა მათგანს? და მიხვდა! იგი მათ უბრალოდ გზაზე გადაადლოდა, ხელი შეუშალა მათ ლალ და აჩქარებულ წინსვლას. ადრე კი უბრალოდ გვერდზე იდგა, გვერდზე იყო გამდგარი, ფონს ქმნიდა მათთვის, ერთგვარი გამლამაზებელიც კი იყო მათი არსებობისა. და როგორც კი გზაზე გადაადლოდა მათ, ყველაფერი მორჩა. უსაფუძვლოდ ლანძღვა-გინების მოყვარულთა მოდგმა მათ ასეთი მეგობრობა იცინა, მანამ არიან მეგობრები, სანამ სჭირდებათ, სანამ ეს მათ პირად კომფორტს ესალბუნება.

როგორც კი მეგობარი ოდნავ შეცდომას დაუშვებს, ნებსით თუ უნებლიედ, იგი საძულველი არსება ხდება. ესეც შენი მეგობრობა! არა, ყველაზე მეტად სასაცილო ის იყო, რომ ყველა მათგანმა იცოდა, რომ გზაზე თავისი ნებით არ გადადობია, ნამდვილად — არა! დრომ და ჟამთა დინებამ შეუწყო ამას ხელი. ისიც ყველამ იცოდა, რომ ოდნავი ხელის წაშველება იყო საჭირო, ოდნავი თავის შენუხება მათი მხრიდან, რომ გვერდზე გაენიათ და აღარ იქნებოდა მათი წინსვლის შემაფერხებელი, უფრო მეტიც, იგი ისევ ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდებოდა და პოეტთა და სადღეგრძელოს მოყვარულთა შთაგონების წყარო გახდებოდა ისევ, უბრალოდ, რომელიმე მათგანის უბრალო თავის შენუხება იყო საჭირო. მაგრამ — არა! ახლა ამის გულითვის თავი შეიწუხე, ხელი შეაშველე... კარგი რა! მითუმეტეს, როცა ამისთვის ვილაყვას შეიძლება ფულსაც უხდინა. ხო, ხო — ვილაყვ ამისთვის ფულს იღებს, შენ კიდევ ადექი და მათი საქმე უფასოდ აკეთე. კი რა, თუ ძმა ხარ! იყოს, ამის დედაც. მაგრამ იცოდა, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, იცოდა, მანაც იცოდა, და ალბათ სხვაზე უკეთაც კი, რომ ყველაფერს აქვს დასაწყისი და... დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ მშვენივრად მიხვდით... დასასრული. დიახ!

ერთ მშვენიერ დღესაც მის წინ მანქანა გაჩერდა... მანქანიდან ვილაყვადმოვიდა, მასთან მივიდა, ხელში აიტაცა, დააცქერდა, რა ლამაზიაო, თქვა და გზის გვერდით, მდინარიდან ამოწვდილი ხევის პირზე გადაადო რამდენიმე დღის მანძილზე შუა გზაზე დაგდებული და ამ გზაზე მოძრავი ავტომობილების მგზავრთა ლალი და აჩქარებული წინსვლის ხელისშემშლელი, საავტომობილო ტრასის თავზე გადმომდგარი ლამაზი კლდიდან მოწყვეტილი მოზრდილი ქვის ნატეხი.



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4